Tamar kvirikaSvili, aleqsandre laSxi,
baCuki mesabliSvili, Tornike qadeiSvili

kompiuteruli maTematika

saxelmZRvanelo saqarTvelos teqnikuri universitetis
informatikis fakultetis studentebisaTvis



stu 2012

winasityvaoba

kursi “kompiuteruli maTematika” (“maTematika kompiuteruli mecnierebebisaTvis“) ukve didi xania iswavleba msoflios wamyvan universitetebSi. saqme imaSia, rom kompiuteruli mecnierebis (informatikis) saWiroebebisaTvis ar aris sakmarisi maTematikis standartuli kursis (ZiriTadad – kalkulusis da wrfivi algebris) sakiTxebi, aucilebelia codna Tanamedrove maTematikis iseTi dargebidan, rogorebicaa – zogadi algebra, logika, diskretuli maTematika, grafTa Teoria, kombinatorika da sxv.

erTerTi pirveli aseTi kursi Seiqmna stenfordis universitetSi kompiuteruli mecnierebebis “gurus” (swored ase ixsenieben mas) donald knutis mier. misi saxelmZRvanelo CONCRETE MATHEMATICS, rac ar niSnavs “konkretuls”, aramed “uwyvet”-CONtinuous da “diskretul”-disCRETE maTematikas, didi xania bestseleria am dargSi





amJamad arsebobs bevri kargi saxelmZRvanelo am saganSi:







saqarTveloSi kompiuteruli maTematikis kursi pirvelad dainerga da ukve 5 welia ikiTxeba Cvens kaTedraze (saqarTvelos teqnikuri universitetis 104 kaTedra). informatikis fakultetis ukve ramdenime aTasma studentma gaiara es kursi da, imedi gvaqvs, SeiZina kvalificiuri informatikosisaTvis aucilebeli codna da unarebi.

winamdebare teqsti ar warmoadgens kursis ukve dadgenil da dasrulebul saxelmZRvanelos. saerTod, axali saleqcio kursis saxelmZRvanelos daweriT dawyeba upasugismgeblo saqmed migvaCnia. kargi saxelmZRvaneloebi ase iqmneba – ramdenime wlis ganmavlobaSi wakiTxuli leqciebis konspeqtebi ixveweba, ivseba da mokldeba, xdeba saerTaSoriso gamocdilebis gaTvaliswineba, uaRresad mniSvnelovania studentebisagan ukukavSiriT miRebuli informacia, da mxolod amis Semdeg bedavs kvalificiuri avtori saxelmZRvanelos gamoSvebas. ai, am procesis garkveul etapze gTavazobT Cveni leqciebis metnaklebad Sejerebul, gamdidrebul – Semoklebul, magram aradasrulebul variants. es aradsrulebuloba SeiZleba Rirsebadac CaiTvalos, radgan rigi sakiTxebisa paralelurad aris gadmocemuli gansxvavebuli TvalTaxedviT da meTodikiT, rac mkiTxvels aZlevs saSualebas sxvadasxva kuTxiT gaecnos masalas.

kursSi gadmocemulia maTematikis is sakiTxebi, romelTac aqvT uSualo gamoyenebani Tanamedrove informatikaSi (kompiuterul mecnierebaSi). es sakiTxebia: simravleTa Teoria, mimarTebebi da asaxvebi, kombinatorika, maTematikuri logika, bulis algebrebi, zogadi da wrfivi algeba, diskretuli maTematika, geometria, grafTa Teoria. aqve SevniSnavT, rom avtorebi swored am dargebSi momuSave maTematikosebi arian. garda amisa, kursSi mocemulia maTematikis am sakiTxTa gamoyenebebi uSualod kompiuterul mecnierebaSi: kodirebis Teoria, kriptografiis sakiTxebi, kompiuteruli tomografiis maTematika, globaluri pozicionirebis sistemis (GPS) maTematika. studenti daeufleba agreTve kompiuterul programebs MAPLE, MATHLAB, romelTa meSveobiTad xdeba ZiriTadad amocanebis amoxsna.

T. qadeiSvili, a. laSxi, T. kvirikaSvili, b. mesabliSvili

Tbilisi, maisi, 2012 weli

სიმრავლეთა თეორია

§ 1. სიმრავლეები და მათი სპეციფიკაცია

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, ჩვენ გვსურდა აგვეგო მათემატიკური თეორია საკმაოდ მკაცრად, მაგრამ ამ დროს დასაბუთების თვალსაზრისით წარმოიქმნება გარკვეული სიძნელეები. ამის ნაცვლად ჩვენ ვიწყებთ ისეთი საწყისი ცნებების აღწერით, როგორიც არის სიმრავლე. მიუხედავად იმისა, რომ მასალა შეიძლება მოგვეჩვენოს მარტივად, ეს კეთდება იმისათვის, რომ მკითხველმა გაარჩიოს პარაგრაფის ბოლოს მოყვანილი მაგალითები.

სიმრავლე – ეს არის გარკვეული განსხვავებული ობიექტების ერთობლიობა, სადაც ნებისმიერი ობიექტისთვის შეიძლება დავადგინოთ, მიეკუთვნება თუ არა ეს ობიექტი მოცემულ სიმრავლეს.

სიმრავლე, რომელიც ემორჩილება მხოლოდ ასეთ შეზღუდვას, შეიძლება შეიცავდეს თითქმის ნებისმიერი ხასიათის ობიექტებს. მაგალითად:

- სიმრავლე ლონდონის ყველა მიწისქვეშა სადგურისა;
- სიმრავლე მარცხენა ფეხსაცმელებისა;
- სიმრავლე ნატურალური რიცხვებისა $1, 2, 3, 4, \ldots$.
- სიმრავლე სპეციალური საბეჭდი მოწყობილობებისათვის საჭირო სიმბოლოებისა;
- სიმრავლე კონკრეტული კომპიუტერის ოპერაციების კოდებისა.

საბოლოოდ, ჩვენთვის საინტერესო იქნება შემდეგი სიმრავლეები:

- სიმრავლე იდენტიფიკატორებისა, რომლებიც გვხვდება გარკვეულ პროგრამაში;
- სიმრავლე ოპერაციებისა იმავე პროგრამაში;
- სიმრავლე ოპერაციებისა, რომლებიც შეიძლება შესრულდეს მოცემული ინსტრუქციის შემდეგ იმავე პროგრამაში.

ამასთან, ეს სიმრავლეები საკმაოდ რთულია კვლევისათვის. უმეტესად გამოვიყენებთ ზოგიერთ აბსტრაქტულ სიმრავლეს. ისეთებს, როგორიცაა რიცხვთა სიმრავლეები.

სიმრავლეებს, ჩვეულებრივ აღნიშნავენ დიდი ლათინური ასოებით: $A, B, \ldots$ და ჩაიწერება ორიდან ერთი ხერხით. თუ სიმრავლე შეიცავს რამდენიმე ელემენტს, მაშინ, უბრალოდ, ვწერთ მის ყველა ელემენტს. მაგალითად, თუ A-ს განვსაზღვრავთ როგორც 6-სა და 10-სშორის მკაცრად მოთავსებულ მთელ რიცხვთა სიმრავლეს, მაშინ ეს შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$A = \{7, 8, 9\}$$

და წავიკითხავთ ასე:

“A არის სიმრავლე, რომელიც შეიცავს 7,8,9-ს”.

აქ “=” სიმბოლო გამოიყენება გარკვეული აზრით: A უდრის სიმრავლეს … შემდეგში გამოვიყენებთ გამოთქმას: “უდრის თუ არა A …”. ამიტომ უნდა შემოვიტანოთ ამ ფაქტის სამართლიანობის დადგენის პროცედურა. სხვა სიტყვებით, სიმრავლე შეიძლება დავახასიათოთ გარკვეული თვისებებით. ამგვარად, A სიმრავლე შეიძლება განვსაზღვროთ როგორც

$$A = \Big\{x :\ x \text{ არის მთელი რიცხვი},\ 6 < x < 10\Big\}$$

და წავიკითხოთ ასე:

“A არის ყველა ისეთი x-სა, რომ …”.

A სიმრავლეს ეკუთვნის მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც არის 6-ზე მეტი და 10-ზე ნაკლები მთელი რიცხვები. ე. ი. 7, 8 და 9. ამრიგად, გვაქვს 7,8,9 როგორც წინათ.

სიმრავლეებს ხშირად განიხილავენ, როგორც “ელემენტების არადალაგებულ ერთობლიობას”, თუმცა ზოგჯერ საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ, მაგალითად,

$$\{7, 8, 9\}, = \{8, 9, 7\} = \{9, 7, 8\}, \ldots$$

ელემეტების დალაგებაზე არავითარ პირობას არ ვაყენებთ. ამიტომ არასწორი იქნებოდა დაგვეშვა რაიმე განსაზღვრული დალაგება.

ნებისმიერი მოცემული ობიქტისათვის შეიძლება განვსაზღვროთ ეკუთვნის თუ არა იგი A სიმრავლეს. კერძოდ, თუ რიცხვი ეკუთვნის სიმრავლეს, მაშინ ვიტყვით, რომ “ეს რიცხვი არის სიმრავლის ელემენტი”. მაგალითად, თუ 7 არის A სიმრავლის ელემენტი, მაშინ ეს ფაქტი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$7 \in A.$$

ხოლო ფაქტი “6 არ არის A-ს ელემენტი”, ჩაიწერება ასე:

$$6 \notin A.$$

“$\in$” სიმბოლო წარმოდგება ბერძნული ასო ε-დან. უარყოფა აღინიშნება $\notin$ სიმბოლოთი. ოპერაციის (ან ოპერაციული სიმბოლოს) უარყოფის ასეთი აღნიშვნა ზოგადად მიღებულია მათემატიკაში და ხშირად იქნება გამოყენებული შემდეგში.

აღვნიშნოთ, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სიმრავლეთა სპეციფიკაციას. თითოეული სიმრავლისათვის უნდა ჩაიწეროს მისი სპეციფიკაცია. სიმრავლის წარმოქმნის პროცესი შეიძლება გრძელდებოდეს უსასრულოდ დიდხანს. შედეგად ვღებულობთ სიმრავლეს, რომელიც შეესაბამება განსაზღვრას. ნაწილობითი სპეციფიკაცია იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სასარგებლო, როცა გარკვეული არ არის ეკუთვნის თუ არა მოცემული ელემენტი სიმრავლეს. აქამდე გვხვდებოდა სიმბოლოები: $\{\vdots\}$, $\{\ldots\}$, $\in$ და $\notin$. მათი გამოყენება საკმაოდ მარტივად გვეჩვენება, მაგრამ მოითხოვს გარკვეულ ჩვევებს, რომლებიც ილუსტრირებული იქნება შემდეგ მაგალითებზე

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.1. სიმრავლეთა მოყვანილი განსაზღვრებებიდან რომელია სწორი:

$$
\begin{aligned}
&A=\{1,2,3\},\\
&B=\{5,6,6,7\},\\
&C=\{x:\ x\notin A\},\\
&D=\{A,C\},\\
&E=\big\{x:\ x=1 \text{ ან } x=\{y\} \text{ და } y\in E\big\},\\
&F=\big\{\text{სიმრავლეები, რომლებიც არ წარმოადგენს თავის თავის ელემენტს}\big\}=\\
&\quad=\big\{x:\ x \text{ სიმრავლეა და } x\notin x\big\}.
\end{aligned}
$$

A სიმრავლის წევრთა რაოდენობა ადვილად გამოითვლება და სიმრავლის ელემენტები არ მეორდება, მაშინ განსაზღვრება სწორია.

B სიმრავლე გამოიყურება აგრეთვე სწორად, მხოლოდ იმის გამოკლებით, რომ რიცხვი 6 გვხვდება ორჯერ. ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ ეკუთვნის თუ არა ელემენტი სიმრავლეს. ამგვარად, ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა სიმრავლის განსაზღვრებაში შესრულებულია. მაშასადამე, შეგვიძლია ეს წაწერა განვიხილოთ როგორც სწორი და $\{5,6,7\}$-ის ეკვივალენტური. ამასთან, ამ სიტუაციაში წარმოიქმნება შემდეგი პრობლემები. თუ განვიხილავთ B-ს პირველ განსაზღვრებას და ამოვაგდებთ სიმრავლიდან ერთ-ერთ 6-ს, მაშინ ცხადია, გვექნება $6\in B$ და $6\notin B$. წარმოიქმნება წინააღმდეგობა. ამიტომ სიმრავლეთა განსაზღვრებაში სიმბოლოების გამეორებას განვიხილავთ, როგორც ერთი და იმავე სიმბოლოს მოხსენიებას, ხოლო მის დუბლირებას, როგორც უყურადღებობას. გამეორებული სიმბოლოების ამორება წარმოქმნის შემდგომი მათემატიკური მსჯელობის საფუძველს.

A სიმრავლე შეიცავს რიცხვებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, რადგან რიცხვები არ არსებობს, უფრო ზუსტად, ჩვენ ვიყენებთ რიცხვთა სიმბოლოებს. ეს სიმბოლოები იწოდება ისევე, როგორც რიცხვები. ამიტომ B არის სახელების სიმრავლე და სახელებს, ჩვეულებრივ, ვიყენებთ, რათა წარმოვიდგინოთ ის ობიექტები (ელემენტები), რომლებზეც ვუთითებთ. გამოთვლებში სახელებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, განსაკუთრებით პროგრამული ენების სემანტიკის შესწავლაში (პროგრამის არსის). აქ არ არის ამ პრობლემების დეტალური განხილვის ადგილი.

ავიღოთ, მაგალითად, სიმრავლე

$$
\begin{aligned}
X=\big\{&\text{“პასკალის შესავალი”},\\
&\qquad\text{“სტრუქტურული მონაცემების საფუძვლები”},\ \text{“პასკალის შესავალი”}\big\}.
\end{aligned}
$$

ეს არის ორი წიგნის დასახელების სიმრავლე, რომლის ერთი ელემენტი უყურადღებობის გამო ორჯერ არის წაწერილი, ან ეს არის სამი წიგნის სიმრავლე, რომელთაგან ორს ერთი და იგივე დასახელება აქვს. თუ ეს ასე, მაშინ ორი წიგნი “პასკალის შესავალი” რაიმე ხერხით უნდა გავყოთ. მოცემული ინფორმაციით არ შეიძლება გავარკვიოთ სწორი პასუხი, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ფრთხილად უნდა ვიყოთ.

C სიმრავლის განსაზღვრებაც, ისევე როგორც A-ს, სწორია, რადგან თუ $x \in A$, მაშინ $x \notin C$ და თუ $x \notin A$, მაშინ $x \in C$. C სიმრავლე ძალიან დიდია: ის შეიცავს "ყველაფერს" 1, 2 და 3 რიცხვის გარდა. აღნიშვნა "ყველაფერს" გამოყოფილია და, როგორც მალე ვნახავთ, მათემატიკური თვალსაზრისით "საშიშია".

რადგან A და C განსაზღვრებები სიმრავლეებს წარმოადგენს, აქედან ვლებულობოთ, რომ D-ს განსაზღვრებაც, აგრეთვე, სწორია. შევნიშნოთ, რომ ეს სიმრავლეთა კლასი (არაფერი არასწორი ამაში არ არის!) ისეთია, რომ მას აქვს მხოლოდ ორი ელემენტი, კერძოდ, $1 \notin D$, თუნდაც $1 \in A$ და $A \in D$. ეს ადვილად შეიძლება შევამოწმოთ, რადგან $1 \neq A$, $1 \neq C$ და მხოლოდ A და C წარმოადგენს D სიმრავლის ელემენტებს.

E სიმრავლე არის რეკურსულად განსაზღვრული სიმრავლის პირველი მაგალითი. იგი განისაზღვრება (ნაწილობრივ) თავისივე ტერმინებში. მისი აგების პროცესი უსასრულოდ გრძელდება, ამიტომ ელემენტების განსაზღვრისთვის უნდა გვქონდეს წესი. მათ ჩაწერას ვერ შევძლებთ ცხადად. შევნიშნოთ, რომ E არ განისაზღვრება მთლიანად E-ს ტერმინებში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ სიმრავლეზე რაიმე, რაც არ არის დამოკიდებული განსაზღვრებაზე. ამ შემთხვევაში ეს არის ის რომ $1 \in E$. გვაქვს:

$$\begin{aligned} &1 \in E, \ \text{ამიტომ}\ \{1\} \in E,\\ &\{1\} \in E, \ \text{ამიტომ}\ \{\{1\}\} \in E,\\ &\{\{1\}\} \in E, \ \text{ამიტომ}\ \{\{\{1\}\}\} \in E \ \text{ და ა. შ.} \end{aligned}$$

თუმცა აგების პროცესი შემოსაზღვრული არ არის, ვირებთ რა ნებისმიერ ელემენტს და თუ გვაქვს საკმაო დრო, შეიძლება განვსაზღვროთ შედის თუ არა ეს ელემენტი E სიმრავლეში.

ახლა გადავიდეთ F სიმრავლეზე. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა. რომ დავინახოთ, თუ რატომ არ შეიძლება არსებობდეს F, დასაწყისში დავუშვათ მისი არსებობა, ხოლო შემდეგ ვაჩვენოთ, რომ არსებობს ისეთი ელემენტი (იგი აღვნიშნოთ y-ით), რომლისთვისაც არ შეგვიძლია განვსაზღვროთ $y \in F$ თუ $y \notin F$. საერთოდ, "უხერხული " მაგალითის გამოკვლევა, რომელზეც შეგვეძლება ლოგიკური ნაკლის ჩვენება, ადვილი არ არის. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ თვით F სიმრავლე. საკითხის გასარკვევად აღვნიშნოთ ეს სიმრავლე G-ით. თუ, როგორც დავუშვით, F საძიებელი სიმრავლეა, მაშინ ან $G \in F$, ან $G \notin F$. განვიხილოთ ორი შესაძლო შემთხვევა: ა) $G \in F$, მაშინ G აკმაყოფილებს პირობას: $G \notin G$, და, მაშასადამე, $G \notin F$.

ბ) $G \notin F$, ეს ნიშნავს, რომ G არ აკმაყოფილებს F სიმრავლეში შესვლის პირობას, ე. ი. $G \in G$, მაშასადამე, $G \in F$.

მაშასადამე, ყველა შემთხვევაში მივდივართ წინააღმდეგობამდე. ამიტომ F არ შეიძლება არსებობდეს. სა იქნა დაშვებული შეცდომა? სიმრავლეთა სიმრავლეები, შესაძლებელია, ამოიხსნება, უსასრულოდ დიდი სიმრავლეებიც (მაგალითად, ზემოთ განხილული E სიმრავლე), აგრეთვე ამოიხსნება, მაგრამ "ყველა სიმრავლეთა სიმრავლეებზე" მუშაობა არ შეიძლება სიმრავლეთა ჩვეულებრივი თეორიით. ეს მოითხოვს სხვა სახის მათემატიკას. სიმრავლეთა თეორიის ეს ანომალია

ცნობილია როგორც რასელის პარადოქსი. თუ უკვე გვაქვ H სიმრავლე, მაშინ შეგვიძლია განვსაზღვროთ I.

ამგვარად, ჩვენ გამოვიკვლევთ მხოლოდ იმ სიმრავლეებს, რომლებიც შეიძლება ცხადად ჩაიწეროს ან აიგოს კარგად განსაზღვრული პროცესებით. ამიტომ სიმრავლეები არც ისეთი ტრივიალურია, როგორც ეს დასაწყისში შეიძლება გვეჩვენოს. ამასთან, თუ ზემოთ მოყვანილ წესებს მივყვებით, მათზე მუშაობა არ იქნება განსაკუთრებულად რთული. შეეცადეთ დამოუკიდევლად გააკეთოთ შემდეგი სავარჯიშო:

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1.1.

1. განიხილეთ სიმრავლის ინტერპრეტაციის ორი შესაძლო ვარიანტი მაინც

$$\{\text{სმიტი, სმიტი, ბრაუნი}\}.$$

განსაზღვრეთ თითოეული მათგანი იმდენად ცალსახად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

2. განიხილეთ შემდეგი ოთხი სიმრავლე:

ა) $\{1, 2, 3, 4\}$;
ბ) $\{\mathrm{I}, \mathrm{II}, \mathrm{III}, \mathrm{IV}, \mathrm{V}\}$;
გ) $\{1, \text{ერთი}, \text{one}, \text{uno}, \text{ein}\}$;
დ) $\{5, \mathrm{V}, \text{ხუთი}, \text{five}\}$.

გაარკვიეთ ამ სიმრავლეების ჩაწერა როგორ შეიძლება გამარტივდეს და მათ შორის რომლებია ეკვივალენტური. განიხილეთ ყველა შესაძლო ინტერპრეტაცია, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოთ აღწერილ ვარაუდებს.

3. შეამოწმეთ შემდეგი მტკიცებულებების სამართლიანობა:

“ეს მტკიცებულება არასწორია” და “მე მატყუარა ვარ”

მტკიცებულებაში რომელი სიტყვები მოითხოვს საკუთრივ (ე. ი. მათემატიკურად ზუსტ) განსაზღვრებას. იმისათვის, რომ პასუხები გავხადოთ მათემატიკურად მკაცრი?

4. ვთქვათ, X არის $\{1, 2\}$ სიმრავლე, ხოლო Y – $\{x :\ x \in y+z;\ y,\, z \in X\}$ სიმრავლე. განსაზღვრეთ ცხადი სახით Y სიმრავლე. როგორია ეს სიმრავლეები

$$\{y :\ y = x + z;\ x,\, z \in X\} \ \text{და}\ \{y :\ x = y + z;\ x,\, z \in X\}.$$

5. დავუშვათ, რომ x არის ელემენტი და არა სიმრავლე. მაშინ $y \notin x$ ნებისმიერი y-თვის და აქედან გამომდინარეობს, რომ $x \notin x$. შეიძლება თუ არა გავამარტივოთ $\{x, \{x\}, \{\{x\}\}\}$ სიმრავლე? რა შეიძლება ითქვას $\{x, y, \{x, y\}\}$ სიმრავლის მიმართ?

6. ვთქვათ, A არის ყველა მტელ რიცხვთა სიმრავლე. აღწერეთ სიტყვებით შემდეგი სიმრავლე:

$$X = \{x :\ x \in A \ \text{და}\ x = 1 \ \text{ან}\ (x-2) \in X\}.$$

§ 2. უმარტივესი ოპერაციები სიმრავლეებზე

როგორც 1.1 მაგალითში "მცდარი სიმრავლის" განხილვისას ვნახეთ, სიმრავლეების განსაზღვრისას საჭიროა გამოვიჩინოთ სიფრთხილე. მიუხედავად ამისა, მოცემული სიმრავლეებიდან მარტივი წესებით ახალი სიმრავლეების აგებისას შეიძლება უმტკივნეულოდ მივიღოთ მრავალი საინტერესო მაგალითი.

მოგვიანებით მოვიყვანთ იმ ფორმალურ წესებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სიმრავლეებზე განსაზღვრული ოპერაციები, ხოლო ახლა შემოვიტანთ ზოგიერთი აღნიშვნა. დავიწყოთ უმარტივესი ოპერაციებიდან.

განსაზღვრება. ვთქვათ, მოცემულია A და B სიმრავლე. A **და** B **სიმრავლეების თანაკვეთა** ეწოდება ყველა იმ ელემენტის სიმრავლეს, რომელიც ეკუთვნის როგორც A-ს, ასევე B-ს და აღინიშნება შემდეგნაირად: $A \cap B$; ამგვარად,

$$A \cap B = \{x : \ x \in A \text{ და } x \in B\}.$$

ანალოგიურად, A **და** B **სიმრავლეების გაერთიანება** აღინიშნება $A \cup B$ სიმბოლოთი და განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$A \cup B = \{x : \ x \in A \text{ ან } x \in B\}.$$

თანაკვეთისა და გაერთიანების განსაზღვრებები გამომდინარეობს შესაბამისად, "და" და "ან" სიტყვებიდან, ამიტომ როგორც შედეგი გვაქვს:

$$A \cup B = B \cup A, \quad A \cap B = B \cap A$$

და რაც, ალბათ, ნაკლებად ცხადია

$$A \cup A = A, \quad A \cap A = A.$$

ეს იგივეობები მნიშვნელოვანია. შემდგომი მათემატიკური მსჯელობებიდან გამოჩნდება, რომ ზოგჯერ საჭიროა $A \cup A$ (შესაბამისად, $A \cap A$) დავიყვანოთ A-ზე, ან პირიქით, A გავაფართოვოთ $A \cup A$ (შესაბამისად, $A \cap A$)-მდე.

განსაზღვრება. A **და** B **სიმრავლეების სხვაობა** (რომელსაც, აგრეთვე, ეწოდება B-ს დამატება A-მდე) ჩაიწერება $A \setminus B$ სახით და განისაზღვრება თანაფარდობით

$$A \setminus B = \{x : \ x \in A \text{ და } x \notin B\}.$$

ამიტომ, თუ $A = \{1, 2, 3\}$ და $B = \{2, 3, 4\}$, მაშინ $A \setminus B = \{1\}$ და $B \setminus A = \{4\}$.

შემდეგი განსაზღვრება ჩართულია სისრულისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მას უშუალოდ იშვიათად გამოვიყენებთ, ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ოპერატორს დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანურ არითმეტიკაში.

განსაზღვრება. A და B ელემენტების **სიმეტრიული სხვაობა** ანუ $A \triangle B$ განისაზღვრება, როგორც

$$A \triangle B = (A \cup B) \setminus (A \cap B).$$

შესაძლებელია $\cup$, $\cap$, $\setminus$, $\triangle$ აღნიშვნებმა მკითხველი დააბნია, ან შეიძლება ეგონოს, რომ ისინი იმდენად ელემენტარულია, რომ მათ არავითარი პრაქტიკული გამოყენება არ აქვთ. შემდეგი მაგალითები მოგვეხმარება ამის გარკვევაში.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.1. ვიგულისხმოთ, რომ გვაქვს P და Q ორი პროგრამა. A არის P პროგრამის მონაცემთა ყველა მნიშვნელობის სიმრავლე, ხოლო B – Q პროგრამის სიმრავლე, მაშინ $A \cap B$ იქნება მონაცემთა ყველა მნიშვნელობის სიმრავლე, რომელიც მისაწვდომია P და Q-თვის; $A \cup B$ მონაცემთა ყველა მნიშვნელობის სიმრავლეა, რომელიც მისაწვდომია P-თვის ან Q-თვის (ერთ-ერთისთვის მაინც), $A \setminus B$ არის ყველა იმ მონაცემთა სიმრავლე, რომელიც მისაწვდომია P-თვის, მაგრამ არა Q-თვის. $B \setminus A$ მისაწვდომია Q-თვის და არა P-თვის, $A \triangle B$ არის ყველა იმ მონაცემთა სიმრავლე, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ ერთი, ან P ან Q, პროგრამისთვის.

შედგომი მსჯელობის წინ მოსახერხებელი იქნება განვსაზღვროთ ორი სპეციალური სიმრავლე. პირველი მათგანია ცარიელი სიმრავლე.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ცარიელი სიმრავლე (აღინიშნება $\varnothing$-ით), რომელსაც თვისებით (???????)

$$x \notin \varnothing, \quad \text{ნებისმიერი } x\text{-თვის.}$$

მეორე სიმრავლეს, რომლის განსაზღვრაც ამოცანაზეა დამოკიდებული, უნივერსალური სიმრავლე ეწოდება.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . უნივერსალური სიმრავლე (აღინიშნება $\mathcal{E}$-ით) არის მოცემულ ამოცანაში განსახილველი ყველა ელემენტი სიმრავლე.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ორი A და B სიმრავლე **არ თანაიკვეთება**, თუ $A \cap B = \varnothing$.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ყოველ შემთხვევაში, როდესაც მოცემულია $\mathcal{E}$ უნივერსალური სიმრავლე, განვსაზღვროთ A **სიმრავლის დამატება** (აღინიშნება A'-ით), როგორც

$$A' = \mathcal{E} \setminus A = \{x : \ x \notin A\}.$$

$\varnothing$, $\mathcal{E}$ და A' სიმრავლეების განსაზღვრებებიდან გამომდინარეობს

$$A \cup A' = \mathcal{E}, \quad A \cap A' = \varnothing$$

იგივეობების სამართლიანობა.

შემდეგში ნაჩვენები იქნება, რომ მოცემულია $\mathcal{E}$-თვის ეს იგივეობები საკმარისია, რათა ცალსახად განვსაზღვროთ A'.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.2. ვთქვათ,

$$\mathcal{E} = \{1, 2, 3, 4\}, \ \ A = \{1, 3, 4\}, \ \ B = \{2, 3\}, \ \ C = \{1, 4\}.$$

განსაზღვრებიდან ადვილად ვიპოვით, მაგალითად, A', $B \cap C$, $C \setminus A$ და ა. შ. ამასთან, შეიძლება დაგვჭირდეს უფრო რთული გამოსახულებების გამოკვლევა, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ ოპერაციას. რადგანაც ამ შემთხვევაში ისმება

საკითხი, როგორ განვსაზღვროთ რიგი, რომლითაც სიმრავლეებზე უნდა მოვახდინოთ ელემენტარული ოპერაციები, ამიტომ გამოვიყენებთ ფრჩხილებს. ფრჩხილებში ჩასმული თითოეული გამოსახულება უნდა შესრულდეს მანამ, ვიდრე მისი შედეგი იქნება გამოყენებული სხვა გამოთვლებში. მაგალითად, $(A \cap B)'$ გამოსახულებაში. თანაკვეთა გამოითვლება უფრო ადრე, ვიდრე დამატება.

ეს შეთანხმება, ცხადია, საკმარისია.ამასთან, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ფრჩხილების დიდი რაოდენობა, არ მოვითხოვთ ფრჩხილებს მაშინ, როცა გვინდა შევასრულოთ დამატების ოპერაცია სიმრავლეებზე ნებისმიერი $\{\cup, \cap, \setminus, \triangle\}$ ოპერაციის წინ. ამიტომ $A \cap B'$ ნიშნავს $A \cap (B')$ და ა. შ. მაშასადამე,

$$A \cap B' = A \cap \{1, 4\} = \{1, 4\},$$
$$(A \cap B)'\{3\}' = \{1, 2, 4\},$$
$$(B \setminus A) \cup C\{2\} \cup C = \{1, 2, 4\}.$$

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, მსჯელობა რატომ არის აგებული სიმრავლის და არა რიცხვის ცნებაზე. მართლაც, აქამდე ჩვენ რიცხვებს ვიკვლევდით მხოლოდ როგორც სიმრავლეთა ელემენტებს. ეს მხოლოდ იმისთვის კეთდებოდა, რომ მკითხველი გაცნობოდა იმ ობიექტებს, რომლებთანაც მას მოუხდება მუშაობა. საქმე იმაშია, რომ არსებობს უფრო რთული სიმრავლეები, ვიდრე რიცხვთა სიმრავლეა. ჩვენ შეგვიძლია რიცხვები მივიღოთ სიმრავლეებიდან და არა პირიქით. ამასთან, შემდგომი თეორიის მრავალი დამატებებისათვის უნდა გავაკეთოთ ზუსტი მტკიცება ზოგიერთი სპეციალურ რიცხვთა სიმრავლეზე. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საფუძველი, რომლის საშუალებითაც აგებული იქნება ასეთი სიმრავლეები, განვსაზღვროთ მთელი დადებითი რიცხვების (ნატურალური რიცხვების) $\mathbb{N}$ სიმრავლე:

$$\mathbb{N} = \{1, 2, 3, \ldots\}.$$

$\mathbb{N}$ სიმრავლის ზუსტი განსაზღვრა "$+$" და "$-$" არითმეტიკულ ოპერაციებთან მოცემული იქნება ქვემოთ. ამასთან, ამ თავში ვივარაუდებთ, რომ მკითხველისთვის ცნობილია $\mathbb{N}$ სიმრავლის ზოგიერთი თვისება. ანალოგიურად, $\mathbb{Z}$-ს, როგორც ყველა მთელ რიცხვთა სიმრავლეს:

$$\mathbb{Z} = \{\, \ldots, -2, -1, 0, 1, 2, \ldots \,\}.$$

რა თქმა უნდა, $\mathbb{N}$ და $\mathbb{Z}$ სიმრავლეები არ შეიძლება ჩაიწეროს ცხადად. ამასთან, გამოსახულება "$\ldots$" უნდა გავიგოთ როგორც "და ასე შემდეგ".

ახლა განვიხილოთ სიმრავლე

$$A = \{1, 2, 3, \ldots, n\} = \{x : \ x \in \mathbb{N}, \ 1 \le x \le n\}.$$

მას გააჩნია n ელემენტი. ვიტყვით, რომ ამ სიმრავლის **სიმძლავრე** (ან **ზომა**, **ნორმა**, **სიგრძე**) არის n. ეს აღინიშნება ასე:

$$|A| = \mathrm{card}(A) = n.$$

შედეგში ნებისმიერ B სიმრავლეს, რომელსაც ელემენტების იგივე რაოდენობა გააჩნია, რაც A სიმრავლეს, ექნება იგივე სიმძლავრე და, ცხადია, საჭირო არ იქნება ამ ელემენტების ჩამოთვლა. მცირე სიმრავლეებისათვის საკმაოდ ადვილია ელემენტების ჩამოთვლა, მაგრამ სხვა სიმრავლეებისთვის (მაგალითად, $\mathbb{N}$

სიმრავლისათვის) ეს შეიძლება იყოს შეუძლებელი. ქვემოთ მოცემული იქნება ელემენტების რაოდენობის გამოთვლის, მაგრამ, ამავე დროს, არაფორმალური წესი.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვიტყვით, რომ X სიმრავლე **სასრულია**, თუ $X = \varnothing$ ან თუ რომელიმე $n \in \mathbb{N}$ ნატურალური რიცხვისთვის არსებობს ისეთი $\{1, 2, \ldots, n\}$ სიმრავლე, რომელსაც აქვს ელემენტების იგივე რაოდენობა, რაც X სიმრავლეს. თუ $X \neq \varnothing$ და არანაირი n არ მოიძებნება, მაშინ X სიმრავლეს ეწოდება **უსასრულო**.

ახლა, როცა შემოვიტანეთ რამდენიმე განსაზღვრება, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე სავარჯიშო. სიმრავლეები ადვილად ჩასაწერი რომ გავხადოთ, ელემეტებისათვის კვლავ გამოვიყენებთ რიცხვებს და ასოებს, მაგრამ გვემახსოვრება, რომ იგივე ოპერაციები შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი სიმრავლეებისთვის.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2.1.

1. ვთქვათ,

$$\mathcal{E} = \{1, 2, 3, 4\}, \;\; X = \{1, 5\}, \;\; Y = \{1, 2, 4\}, \;\; Z = \{2, 5\}.$$

ვიპოვოთ სიმრავლეები:
ა) $X \cap Y'$; ბ) $(X \cap Z) \cup Y'$; გ) $X \cup (Y \cap Z)$; დ) $(X \cup Y) \cap (X \cup Z)$; ე) $(X \cup Y)'$; ვ) $X' \cap Y'$; ზ) $(X \cap Y)'$; თ) $(X \cup Y) \cup Z$; ი) $X \cup (Y \cup Z)$; კ) $X \setminus Z$; ლ) $(X \setminus Z) \cup (Y \setminus Z)$.

2. ვთქვათ,

$$\mathcal{E} = \{a, b, c, d, e, f\}, \;\; A = \{a, b, c\}, \;\; B = \{f, e, c, a\}, \;\; c = \{d, e, f\}.$$

ვიპოვოთ სიმრავლეები:
ა) $A \setminus C$; ბ) $B \setminus C$; გ) $C \setminus B$; დ) $A \setminus B$; ე) $A' \cup B$; ვ) $B \cap A'$; ზ) $A \cap C$; თ) $C \cap A$; ი) $C \triangle A$.

3. მოცემულია A და B ორი ისეთი ნებისმიერი სიმრავლე, რომ $A \cap B = \varnothing$. რას წარმოადგენს $A \setminus B$ და $B \setminus A$ სიმრავლეები?

4. მოცემულია C და D ორი ისეთი ნებისმიერი სიმრავლე, რომ $C \cap D' = \varnothing$. რა შეიძლება ითქვას $C \cap D$ და $C \cup D$ სიმრავლეებზე?

5. მოცემულია ნებისმიერი X სიმრავლე. ვიპოვოთ სიმრავლეები:
ა) $X \cap X'$; ბ) $X \cup X'$; გ) $X \setminus X'$.

6. შემდეგი მტკიცებულობებიდან რომელია სამართლიანი? ვიპოვოთ სიმრავლეები:
ა) $0 \in \varnothing$; ბ) $\varnothing = \{0\}$; გ) $|\{\}| = 1$; დ) $\{\{\varnothing\}\} \in \{\{\{\varnothing\}\}\}$; ე) $|\{\{\varnothing\}\}| = 2$.
ეს "მზაკვრული" კითხვაა. შეიძლება მოგვეჩვენოს მარტივად ცარიელი სიმრავლე და მისი თვისებები არ არის საკმაოდ მნიშვნელოვანი.

7. ვთქვათ, M და N არის ორი კომპიუტერი ფიქსირებული პროგრამებით. ვთქვათ, A არის მონაცემთა მნიშვნელობების სიმრავლე, რომელიც მისაწვდომია M კომპიუტერისათვის და, თუ $x \in A$ და M მანქანა მუშაობს x შესასვლელი სიტყვით, მაშინ M ჩერდება და იძლევა შედეგს. ანალოგიურად, ვთქვათ, B არის

მონაცემთა მნიშვნელობების სიმრავლე, რომლებიც იწვევს N კომპიუტერის გაჩერებას და შედეგის მოცემას. თუ A სიმრავლის ნებისმიერი ელემენტი მისაწვდომია M და N კომპიუტერისათვის, რა შეგვიძლია ვთქვათ B' სიმრავლეზე? ავხსნათ ეს სიტუაცია სიმბოლოების საშუალებით და განვმარტოთ ამ ინფორმაციის უსარგებლობა.

8. სიმრავლეთა ტერმინებით ავხსნათ 2.1 მაგალითი რატომ არის სწორი.

9. გაერთიანების ოპერაციის განსაზღვრის დროს აღნიშნული იყო, რომ ვიყენებდით “ან”-ს. როგორც შეიძლება სიმრავლეთა ტერმინებში გამოვსახოთ გამომრიცხავი “ან”.

10. გამოთვლებში ხშირად ახალი სიმრავლეების შესაქმნელად გამოიყენება არითმეტიკული ობიექტები. ასე, თუ A და B რიცხვითი სიმრავლეებია, მაშინ

$$A+B=\big\{x:\ x=a+b,\ a\in A,\ b\in B\big\}.$$

ანალოგიურად გამისაზღვრება $+$, $-$, $/$ ოპერაციები რიცხვთა სიმრავლეებს შორის. ვიპოვოთ შემდეგი სიმრავლეები:

ა) $\{1,2\}+\{1,3\}$; ბ) $\{1,2\}\cup\{1,3\}$; გ) $\{1,2\}*\{1,3\}$; დ) $\{1,2\}\cap\{1,3\}$; ე) $\{1,2\}-\{1,3\}$; ვ) $\{1,2\}\setminus\{1,3\}$; ზ) $\{2,4\}/\{2\}$; თ) $\{2,4\}\setminus\{2\}$; ი) $\{2,4\}-\{2\}$.

11. იმისათვის, რომ შევძლოთ სიმრავლეებზე ოპერაციების ტექნიკის გამოყენება კონკრეტულ ამოცანაში, რაღაც ეტაპზე საჭირო იქნება “არამათემატიკური” მტკიცება გადავიყვანოთ მათემატიკურში. ჩვეულებრივ (მხოლოდ არა ყოველთვის), ამით აღწერა ხდება უფრო კომპაქტური. ამასთან, მათემატიკური გამოსახულება ყოველთვის იქნება მათემატიკურად მკაცრი. მაშინ, როდესაც საწყისი გამოსახულება შეიძლება ასეთი იყოს (სადაც ეს ხდება, საჭიროა ვიპოვოთ რა აკლია ტავდაპირველ ფორმულირებას). ახლა საჭიროა:

ა) შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მტკიცებულობები სიმრავლეთა ენაზე:

- მოცემულია A, B და C სიმრავლეები. განვსაზღვროთ სიმრავლე, რომელიც თავის თავში შეიცავს ამ სიმრავლეებიდან მხოლოდ ორს.
- წინა ამოცანა ამოვხსნათ იმ პირობით, რომ A, B და C სიმრავლეები ურთიერთარათანამკვეთია.
- მოცემულია V, W, Y, X და Z სიმრავლეები. განვსაზღვროთ სიმრავლე, რომელიც შეიცავს V, W, X და Y სიმრავლეებიდან ორს მაინც და არ შეიცავს Z-ს.

ბ) ანალგიურად აღვწეროთ სიტყვებით შემდეგი სიმრავლეები

$$\big(J\cap(K\cup L)\big)'\cup(H\setminus L),$$
$$(P\cup R\cup Q)\setminus\big(P\cap(Q\setminus R)\big),$$
$$\big((E\setminus F)\cup(F\setminus E)\big)'\cup G.$$

§ 3. ვენის დიაგრამები

ხშირად სასრგებლოა გვქონდეს სიმრავლეთა გეომეტრიული წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენები ვერ შეცვლის დამტკიცებებს, მაგრამ, შეიძლება სასარგებლო იყოს იმისათვის, რომ სწრაფად და მარტივად დავრწმუნდეთ სამართლიანია

თუ არა კონკრეტული მტკიცებულება. დიაგრამებს, რომლებსაც ჩვენ გამოვიყენებთ, **ვენის დიაგრამები** ეწოდება (ინგლისელი მათემატიკოსის ჯონ ვენისა სახელის მიხედვით) და აიგება ისე, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

პირველ რიგში დავხაზოთ დიდი $\mathcal{E}$ მართკუთხედი (ნახ. 3.1). შემდეგ მართკუთხედის შიგნით ჩავხაზოთ წრეები (ან სხვა შესაბამისი შეკრული წირი), რომ წარმოვიდგინოთ სიმრავლეები. ისინი უნდა იკვეთებოდნენ ამოცანაში მოთხოვნილ ყველაზე უფრო ზოგად შემთხვევაში და, შესაბამისად, უნდა იყოს აღნიშნული (ნახ. 3.2). წერტილები, რომლებიც მდებარეობს დიაგრამის სხვადასხვა არის შიგნით შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაბამის სიმრავლეთა ელემენტები. თუ სიმრავლეებში ელემენტების რიცხვი მცირეა, მაშინ ცალკეული ელემენტი შეიძლება ჩაიწეროს შესაბამისი არეების შიგნით, რეოგორც ეს ნაჩვენებია 3.1 მაგალითში.



ნახ. 3.1



ნახ. 3.2



ნახ. 3.3

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.1. ვთქვათ, $\mathcal{E} = \{b, c, d, e\}$, $A = \{b, c, d\}$, $A = \{c, c\}$. შესაბამისი დიაგრამა გამოსახულია 3.3 ნახაზზე. ამ სურათით სრულად არის ილუსტრირებული 3.1 მაგალითი. თუ, მაგალითად, $A \in \mathcal{E}$, მაშინ გაუგებარია, რისი გამოსახვა შეიძლებოდა დიაგრამაზე. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება სიმრავლეთა უფრო რთული კონსტრუქციები, უნდა ვერიდოთ დიაგრამების სახით მათ გამოსახვას.

როდესაც გვაქვს, შესაბამისად, აგებული დიაგრამა, მისი გარკვეული არე შეიძლება დავშტრიხოთ ახალწარმოქმნილ სიმრავლეთა განსასაზღვრავად.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.2. იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ $A \cup (B' \cap C)$ სიმრავლე, დავიწყოთ 3.4 ნახაზზე ნაჩვენები ზოგადი დიაგრამით. B' დავშტრიხოთ ერთი მიმართულებით დიაგონალური ხაზებით



ნახ. 3.4



ნახ. 3.5

ხოლო C – სხვა მიმართულების დიაგონალური ხაზებით (ნახ. 3.5). ორმაგად დაშტრიხული ფართობი წარმოადგენს $B' \cap C$ სიმრავლეს.

დიაგრამის ახალ ასლზე ეს არე დავშტრიხოთ ჰორიზონტალური ხაზებით, ხოლო A – ვერტიკალურით. 3.6 ნახაზზე მთლიანად დაშტრიხული არე წარმოადგენს $A \cup (B' \cap C)$ სიმრავლეს. თუ ცალკეულ შემთხვევაში განსახილველ სიმრავლეებზე გვაქვს დამატებითი ინფორმაცია, ის შეიძლება გამოვიყენოთ ვენის დიაგრამის გასამარტივებლად.



ნახ. 3.6

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.3. ვთქვათ, $A \cap B = \varnothing$. ეს შეესაბამება 3.7 ნახაზის დიაგრამას.

შევნიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევაში სიმრავლეები შეიცავს საკმაოდ ბევრ ელემენტს და, მაშასადამე, ეს ელემენტები არ შეიძლება წარმოვადგინოთ ცალკე.



ნახ. 3.7

ამიტომ უფრო მოსახერხებელია ამ შემთხვევაში ვილაპარაკოთ თითოეულ სიმრავლეზე, როგორც მთელზე და არ ვახსენოთ ცალკეული ელემენტები.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3.1.

1. დახაზეთ დიაგრამა, რომლითაც ილუსტრირებული იქნება 2.1 სავარჯიშოს პირველ ამოცანაში განსახილველი სიმრავლეები.

2. როგორც შეიძლება წარმოვადგინოთ ვენის დიაგრამების საშუალებით შემდეგი სიმრავლეები:

$$\{A,\{A\}\},\ \ \{\{a\},\{b\}\},\ \ \{X,Y,Z\},$$

სადაც

$$X=\big\{x:\ x=1 \text{ ან } (x-2)\in X\big\},$$
$$Y=\big\{x:\ x=3 \text{ ან } (x-3)\in Y\big\},$$
$$Z=\big\{x:\ x=2 \text{ ან } (x-2)\in Z\big\}.$$

§ 4. ქვესიმრავლეები

თანაკვეთის, გაერთიანების, სხვაობის და დამატების ოპერაციები გვაძლევს ახალი სიმრავლეების ფორმირების საშუალებას. მაგრამ, როგორც წესი, არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ როგორ შეეფარდება ერთი სიმრავლე სხვებს. მაგალითად, ვთქვათ, მოცემულია ორი X და Y სიმრავლე. $X\cap Y$ თანაკვეთა გარკვეული აზრით “ნაკლები” (ან უკიდურეს შემთხვევაში არ აღემატება) X სიმრავლეზე. მართლაც, $X\cap Y$ სიმრავლის ყველა ელემენტი, აგრეთვე, მიეკუთვნება X სიმრავლეს. ამ დაკვირვებიდან შეიძლება ფორმალურად განვსაზღვროთ სიმრავლეთა და სხვადასხვა გამოსახულებების ტოლობა იმავე სიმრავლისათვის. ამ განსაზღვრებების საშუალებით შეგვიძლია, აგრეთვე, დავწეროთ იმ მნიშვნელოვანი ფაქტების შესაფერისი ლოგიკური დასაბუთებები, რომლებიც სიმრავლეებს შეეხება.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვთქვათ, A და B სიმრავლეები ისეთია, რომ თუ $x\in A$, მაშინ $x\in B$. მაშინ ამობობენ, რომ A **არის B-ს ქვესიმრავლე** და აღნიშნავენ შემდეგნაირად: $A\subseteq B$. შესაბამისი ვენის დიაგრამა გამოსახულია 4.1 ნახაზზე. ამასთან, თუ არსებობს B-ს ისეთი ელემენტი, რომელიც არ ეკუთვნის A-ს, მაშინ A-ს უწოდებენ B-ს **საკუთრივ ქვესიმრავლეს** და ჩაიწერება $A\subset B$ სახით. ეს ნიშნავს, რომ რაღაც აზრით B უფრო დიდია ვიდრე A, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთმა ტერმინმა შეიძლება დაგვაბნიოს. მაშასადამე,

ამ ტერმინის გამოყენების სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. ეს თანაფარდობები შეძლება, აგრეთვე, ჩაიწეროს შებრუნებული რიგით

$$B \supset A \text{ და } B \supseteq A.$$

მაშინ ამბობენ, რომ B მოიცავს A-ს.



ნახ. 4.1

ცხადია, რომ ნებისმიერი A სიმრავლისთვის სამართლიანია შემდეგი სამი თანაფარდობა:

$$\varnothing \subseteq A, \quad A \subseteq A, \quad A \subseteq \mathcal{E}.$$

აქედან მეორე თანაფარდობა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ამობობენ, რომ A და B სიმრავლეები **ეკვივალენტურია** (ჩაიწერება $A = B$), თუ

$$A \subseteq B, \quad B \subseteq A.$$

ეს ნიშნავს, რომ A-ს ყველა ელემენტი არის B-ს ელემენტები, ხოლო B-ს ყველა ელემენტი – A-ს ელემენტი.

სიმრვლეთა ეკვივალენტურობის განსაზღვრების გამოყენებით დავამტკიცოთ ზოგიერთი სიმრავლის იდენტურობა, რისთვისაც გავარჩიოთ ხუთი მაგალითი. ეს მაგალითები წარმოადგენს დამტკიცებების მაგალითებს. ამიტომ ვალდებული ვართ მოკლედ განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა ვიზრუნოთ დამტკიცებებზე კომპიუტერულ მეცნიერებაში. მკაცრად რომ ვთქვათ, როგორც ეს ჩვეულებრივ კეთდება, ჩვენ რაღაც უნდა დავამტკიცოთ მხოლოდ ერთჯერ. შემდეგ გამოვალთ იქიდან, რომ ინფორმაციის ეს ნაწილი სამართლიანია და, მაშასადამე, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ლაქტი. ამასთან, როგორც გამოთვლითი მეცნიერების უმრავლეს შემთხვევაში ხდება, მეთოდი, რომლითაც შედეგებს ვღებულობთ, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თვით შედეგი. დამტკიცებების ანალიზის შემდეგ ნათელი ხდება გამოთქმული ვარაუდები და ის შედეგები, რომლებთანაც ამ ვარაუდებს მივყავართ. აგრეთვე, გასაგები ხდება დასკკვნების გამოტანის პროცესები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ამოცანების ამოხსნისას.

შეიძლება, აგრეთვე, შევნიშნოთ, რომ თეორემების დამტკიცება აყალიბებს ავტომატურად გადასაწყვეტი ყველა ამოცანის საფუძველს. მაგრამ ამას განვიხილავთ მოგვიანებით. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

4.1 მაგალითში უშუალოდ მტკიცდება შემდეგი ორი თანაფარდობის სამართლიანობა:

ა) $A \cap (B \cup C) \subseteq (A \cap B) \cup (A \cap C)$;

ბ) $(A \cap B) \cup (A \cap C) \subseteq A \cap (B \cup C)$.

თითოეულ ამ დამტკიცებათაგან შედგება შემდეგი სახის მტკიცებულებებისგან:

$$\text{“თუ } P, \text{ მაშინ } Q\text{”}.$$

(თუ P მართებულია, მაშინ მართებულია Q). მოხერხებულობისათვის ეს მტკიცებულება ჩავწეროთ, როგორც “$P \Longrightarrow Q$” და წავიკითხავთ:

$$\text{“}P\text{-დან გამომდინარეობს } Q\text{”}.$$

ამრიგად, თუ გვაქვს $P_0, P_1, \ldots, P_n$ ისეთი მიმდევრობა, რომ $P_0 \Longrightarrow P_1$, $P_1 \Longrightarrow P_2, \ldots, P_{n-1} \Longrightarrow P_n$ (P_0-დან გამომდინარეობს P_1, P_1-დან გამომდინარეობს $P_2, \ldots, P_{n-1}$-დან გამომდინარეობს P_n), მაშინ გვაქვს პირდაპირი მტკიცებულება $P_0 \Longrightarrow P_n$.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.1. A, B და C სიმრავლეებისთვის დავამტკიცოთ, რომ

$$A \cap (B \cup C) = (A \cap B) \cup (A \cap C).$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა .

$$x \in A \cap (B \cup C) \Longrightarrow x \in A \ \text{ და } \ x \in (B \cup C) \Longrightarrow$$

(ასეთი დაჯგუფება აუცილებელია, რადგან ფრჩხილები ნიშნავს, რომ გაერთიანება უნდა გამოვთვალოთ თანაკვეთის წინ)

$$\Longrightarrow x \in A \ \text{ და } \ (x \in B \ \text{ ან } \ x \in C) \Longrightarrow$$
$$\Longrightarrow (x \in A \ \text{ და } \ x \in B) \ \text{ ან } \ (x \in A \ \text{ და } \ x \in C) \Longrightarrow$$
$$\Longrightarrow (x \in A \cap B) \ \text{ ან } \ (x \in A \cap C) \Longrightarrow x \in (A \cap B) \cup (A \cap C).$$

ამრიგად,

$$A \cap (B \cup C) \subseteq (A \cap B) \cup (A \cap C).$$

ახლა დავამტკიცოთ შებრუნებული ჩართვა:

$$x \in (A \cap B) \cup (A \cap C) \Longrightarrow (x \in A \cap B) \ \text{ ან } \ (x \in A \cap C) \Longrightarrow$$
$$\Longrightarrow (x \in A \ \text{ და } \ x \in B) \ \text{ ან } \ (x \in A \ \text{ და } \ x \in C) \Longrightarrow$$
$$\Longrightarrow x \in A \ \text{ და } \ (x \in B \ \text{ ან } \ x \in C) \Longrightarrow x \in A \ \text{ და } \ x \in B \cup C \Longrightarrow$$
$$\Longrightarrow x \in A \cap (B \cup C).$$

მაშასადამე,

$$(A \cap B) \cup (A \cap C) \subseteq A \cap (B \cup C).$$

ამიტომ

$$A \cap (B \cup C) = (A \cap B) \cup (A \cap C).$$

ამ კერძო შემთხვევაში დამტკიცების მეორე ნაწილი ზუსტად ემთხვევა პირველს და, მაშასადამე, შეიძლება ჩავწეროთ

$$x \in A \cap (B \cup C) \Longleftrightarrow x \in A \ \text{ და } \ x \in B \cup C \ \text{ და ა. შ.}$$

აქ “$\Longleftrightarrow$” სიმბოლო აღნიშნავს, რომ $P \Longrightarrow Q$ და $Q \Longrightarrow P$. ეს შეიძლება წავიკითხოთ ასე “მაშინ და მხოლოდ მაშინ” და აღნიშნავს ორი P და Q მტკიცებულებების ეკვივალენტურობას.

მაგრამ ყოველთვის არ არის ასე ადვილი არგუმენტის და შედეგის შექცევა. ზოგადად დამტკიცება უნდა ჩატარდეს ორივე მიმართულებით ცალკ-ცალკე. შევნიშნოთ, რომ ეკვივალენტურობა შეიძლება ადვილად მივიღოთ ვენის შესაბამისი დიაგრამიდან.თუმცა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ისეთი დიაგრამის დახაზვა, რომლის მიმართ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ იგი იმდენად პასუხობს მოთხოვნებს, რამდენადაც საჭიროა. ამიტომ აუცილებელია უშუალო დამტკიცება. ეს დამტკიცება დამოკიდებულია “და” და “ან”-ს მნიშვნელობებს შორის შინაგან ურთიერთკავშირზე. შემდგომში, როცა განსაზღვრული იქნება ზგიერთი ალგებრული სტრუქტურები, ვაჩვენებს, რომ ეს არ წარმოადგენს სირთულეს.

4.2–4.5 მაგალითებში ასევე ვიყენებთ პირდაპირ დამტკიცებებს, მაგრამ ეს დამტკიცებები ჩაწერილია რამდენიმე სხვა სახით.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.2. მოცემულია $\mathcal{E}$ სიმრავლის მიმართ ნებისმიერი A ($A \subseteq \mathcal{E}$) სიმრავლის დამატება ერთადერთია.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ვიგულისხმოთ, რომ არსებობს ორი B და C სიმრავლე, რომელთაგან თითოეული მათგანი აკმაყოფილებს A სიმრავლის დამატების მოთხოვნას, ე. ი.

$$B \cap A = C \cap A = \varnothing \ \text{და} \ B \cup A = C \cup A = \mathcal{E}.$$

მაშინ

$$\begin{aligned} B = B \cap \mathcal{E} = B \cap (C \cup A) = (B \cap C) \cup (B \cap A) = \\ = (B \cap C) \cup \varnothing = B \cap C, \end{aligned}$$

ამიტომ

$$x \in B \Longrightarrow x \in B \ \text{და} \ x \in C \Longrightarrow B \subseteq B \cap C \Longrightarrow B \subseteq B \ \text{და} \ B \subseteq C.$$

მაგრამ ვიცით, რომ $B \subseteq B$. ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ

$$B \subseteq C.$$

ანალოგიურად (შევუცვლით რა როლებს B-ს და C-ს), მივიღებთ:

$$C \subseteq B.$$

საიდანაც $B = C$, ე. ი. $B = C = A'$ და A' ერთადერთია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი თავის თავში შეიცავს ძირითად მათემატიკურ მიდგომას, რომელიც გამოიყენება ერთადერთობის დასამტკიცებლად. დასაწყისში იგულისხმება, რომ არსებობს ორი ასეთი ობიექტი, ხოლო შემდეგ მტკიცდება, რომ ისინი ერთმანეთს ემთხვევა.

შემდეგ მაგალითში კვლავ მივმართავთ ვარაუდს “ან”-ის შესახებ, რათა შესაძლებლობა გვქონდეს $A \cup B \cup C$ გამოსახულება დავწეროთ როგორც $A \cup (B \cup C)$ ან $(A \cup B) \cup C$, როცა ეს უფრო მოსახერხებელი იქნება საჭირო გარდაქმნებისთვის.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.3. მოცემულია A, B და C სიმრავლეები ისეთი, რომ

$$A \cup B \cup C = \mathcal{E}$$

და A, B და C წყვილ-წყვილად არ ტანაიკვეთება, მაშინ
$$A' = B \cup C, \quad B' = A \cup C, \quad C' = A \cup C.$$

დამტკიცება.
$$A \cup B \cup C = A \cup (B \cup C) = \mathcal{E},$$
$$A \cap (B \cup C) = (A \cap B) \cup (A \cap C) = \varnothing \cup \varnothing = \varnothing.$$

მაშასადამე, $B \cup C$ აკმაყოფილებს A'-ის პირობას, A' ერთადერთია. ამიტომ $A' = B \cup C$. ანალოგიურად ტარდება დამტკიცება B' და C'-თვის.

მაგალითი 4.4. ნებისმიერი X და Y სიმრავლეებისთვის სამართლიანია თანაფარდობა
$$(X \cap Y)' = (X \cap Y') \cup (X' \cap Y) \cup (X' \cap Y').$$

დამტკიცება. ვიგულისხმოთ, რომ 4.3 მაგალითიდან გვაქვს A, B და C სიმრავლეები და
$$C = D \cup E \text{ და } D \cap E = \varnothing.$$
(4.2 ნახაზზე გამოსახულია ვენის დიაგრამა, სადაც $\mathcal{E}$ სიმრავლე დაყოფილია შესაბამისად). მაშინ A, B, D და E სიმრავლეები ურთიერთარათანამკვეთია და
$$A \cup B \cup D \cup E = \mathcal{E}.$$
უფრო მეტიც,
$$A' = B \cup C,$$
ამიტომ
$$A' = B \cup D \cup E.$$



ნახ. 4.2

ახლა ადვილად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ თუ ვიგულისხმებთ
$$A = X \cap Y, \ B = X \cap Y', \ D = X' \cap Y \text{ და } E = X' \cap Y',$$
მაშინ მოთხოვნილი პირობები შესრულდება და ამიტომ საჭირო შედეგი მაშინვე გამომდინარეობს წინა მსჯელობებიდან.

მაგალითი 4.5. ნებისმიერი X და Y სიმრავლეებისთვის მართებულია თანაფარდობა
$$(X \cap Y)' = X' \cup Y'.$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა .

$$x \in (X \cap Y)' \Longleftrightarrow x \in (X \cap Y') \cup (X' \cap Y) \cup (X' \cap Y') \Longleftrightarrow$$
$$\Longleftrightarrow x \in (X \cap Y') \cup (X' \cap Y') \cup (X' \cap Y) \cup (X' \cap Y') \Longleftrightarrow$$

(ერთი წევრი გამეორებულია. ეს შესაძლებელია, რადგან $A = A \cup A$ ნებისმიერი A-თვის)

$$\Longleftrightarrow x \in \big((X \cap Y') \cup (X' \cap Y')\big) \cup \big((X' \cap Y) \cup (X' \cap Y')\big) \Longleftrightarrow$$
$$\Longleftrightarrow x \in \big((X \cup X') \cap Y'\big) \cup \big(X' \cap (Y \cup Y')\big) \Longleftrightarrow$$
$$\Longleftrightarrow x \in (\mathcal{E} \cap Y') \cup (X' \cap \mathcal{E}) \Longleftrightarrow x \in Y' \cup X' \Longleftrightarrow x \in X' \cup Y',$$

ამრიგად, $(X \cap Y)' = X' \cup Y'$.

4.5 მაგალითში მიღებულ და მის მსგავს შედეგს (იხ. 4.5 სავარჯიშო) **დე მორგანის კანონები** ეწოდება. ეს კანონები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მატემატიკურ ლოგიკაში.

4.1–4.5 მაგალითების თანმიმდევრობა გვიჩვენებს, როგორ შეიძლება განვავითაროთ მათემატიკური თეორია მარტივი თეორემების დამტკიცებების გამოყენებით და გამოვიყვანოთ ისეთი მნიშვნელოვანი შედეგები, როგორიც დე მორგანის კანონებია. ვიდრე ამ თავის დასკვნით ნაწილზე გადავალთ, შევეცადოთ გადავწეროთ 4.2–4.5 მაგალითებში განხილული ამოცანების დამტკიცებები ფორმალური სახით, როგორც ეს 4.1 მაგალითში გავაკეთეთ. მოგვიანებით შემოვიტანთ საჭირო ტერმინოლოგიას, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ უფრო მოკლე აღნიშვნები. დასაწყისში შემოვიტანთ ორ განსაზღვრებას.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ამბობენ, რომ A და B სიმრავლეები **არაეკვივალენტურია**, თუ ისინი არ არის ეკვივალენტური. ეს თვისება იმის ტოლფასია, რომ ერთ-ერთი სიმრავლე $A \setminus B$ ან $B \setminus A$ არაცარიელია.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . მოცემული X სიმრავლის ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლეს X **სიმრავლის ხარისხი** ეწოდება და აღინიშნება $\mathcal{P}(X)$-ით. (ზოგიერთი ავტორი იყენებს 2^x აღნიშვნას. ამის მიზეზი გასაგები გახდება მოგვიანებით, როცა გავარჩევთ რამდენიმე მაგალითს.) ფორმალურად

$$\mathcal{P}(X) = \{Y : Y \subseteq X\}.$$

კერძოდ, შევნიშნოთ, რომ რადგან $\varnothing \subseteq X$ და $X \subseteq X$, ამიტომ

$$\varnothing \in \mathcal{P}(X), \quad X \in \mathcal{P}(X).$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.6. ვთქვათ, $A = \{1, 2, 3\}$, მაშინ

$$\mathcal{P}(A) = \big\{\varnothing, \{1\}, \{2\}, \{3\}, \{1, 2\}, \{1, 3\}, \{2, 3\}\big\}.$$

ამ პარაგრაფს დავასრულებთ დამტკიცების ორი ირიბი მეთოდის განხილვით. პირველი მეთოდი არის საწინააღმდეგოს დაშვების მეთოდი. გავიხსენოთ რასელის პარადოქსი (1.1. მაგალითი):

$$F \in F \Longrightarrow F \notin F \text{ და } F \notin F \Longrightarrow F \in F.$$

თუ აღვნიშნავთ $F \in F$ მტკიცებულებებს P-ით, მაშინ მივიღებთ:

$$P \text{ მართებულია } \Longrightarrow P \text{ მცდარია და } P \text{ მცდარია} \Longrightarrow P \text{ მართებულია.}$$

მათემატიკის საფუძველს წარმოადგენს ვარაუდი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება არსებობდეს მტკიცებულება, რომელიც არის ჭეშმარიტი და რომელიც არის მცდარი (ე. ი. ლოგიკური სისტემა უნდა იყოს შინაარსიანი. ჩვენ უარვყოფთ რასელის სიმრავლეს იმიტომ, რომ მისი განსაზღვრება უსაფუძვლოა განსახილველი აზრით.)

ვთქვათ, გვაქვს გამონათქვამთა $P_1, P_2, \ldots, P_n$ ერთობლიობა და გვინდა დავამტკიცოთ (P_1 ჭეშმარიტია და P_2 ჭეშმარიტია და ... და P_n ჭეშმარიტია) $\Longrightarrow Q$ ჭეშმარიტია, ან, უფრო მარტივად,

$$(P_1 \text{ და } P_2 \text{ და } \ldots \text{ და } P_n) \Longrightarrow Q.$$

თუ დავუშვებთ გამონათქვამს (P_1 და P_2 და ... და P_n და არა Q), ე. ი. $P_1, P_2, \ldots, P_n$ ჭეშმარიტია, ხოლო – Q მცდარი და აქედან გამოვიტანოთ რაიმე P მტკიცებულება, რომელიც ერთდროულად ჭეშმარიტიც არის და მცდარი, მაშინ ლოგიკური სისტემა, დაფუძნებული (P_1 და P_2 და ... და P_n და არა Q) გამონათქვამზე, დაუშვებელია. მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$(P_1 \text{ და } P_2 \text{ და } \ldots \text{ და } P_n) \Longrightarrow Q.$$

რადგან (არა Q) დაშვებას მივყავართ წინააღმდეგობამდე. ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.7. დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი A და B სიმრავლეებისთვის ადგილი აქვს თანაფარდობას

$$A \subseteq B \Longleftrightarrow B' \subseteq A'.$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . დავუშვათ, რომ $\mathcal{E}$, $\varnothing$ და ა. შ. სიმრავლეებს თვისებები (ე. ი. განსაზღვრებები) შესრულებულია და, რომ $A \subset B$ და $B' \nsubseteq A'$ (ზემოთ აღწერილი სიტუაციის ტერმინებში Q არის $B' \subseteq A'$). მაშინ

$$A \subseteq B \Longrightarrow \text{თუ } x \in A, \text{ მაშინ } x \in B; \tag{$*$}$$

$B' \subseteq A \Longrightarrow$ არსებობს რაღაც ისეთი y ელემენტი, რომ

$$y \in B' \text{ და } y \notin A'.$$

($*$)-დან გამომდინარეობს თანაფარდობა

$$y \in A \Longrightarrow y \in B \Longrightarrow y \in B' \text{ და}$$

$$y \in B \Longrightarrow y \in B' \cap B = \varnothing (\text{წინააღმდეგობა}),$$

მაშასადამე, მიღებული $B' \nsubseteq A'$ მცდარია, ამიტომ $B' \subseteq A'$. ანალოგიურად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ

$$B' \subseteq A' \Longrightarrow A \subset B.$$

მაშასადამე, გვაქვს:

$$A \subseteq B \Longleftrightarrow B' \subseteq A'.$$

ეს მაგალითი ასევე ვრცელდება ირიბი დამტკიცების მეორე მეთოდზეც.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.8. ვთქვათ, P არის გამონათქვამი "დღეს ხუთშაბათია", ხოლო Q – "დღეს კვირის დღეა". მაშინ $(P \Longrightarrow Q)$ აღნიშნავს "თუ დღეს ხუთშაბათია, მაშინ ეს კვირის დღეა", ხოლო (არა $Q \Longrightarrow$ არა P) იქნება "თუ დღეს არ არის კვირის დღე, მაშინ ეს დღე არ არის ხუთშაბათი".

ეს ორი გამონათქვამი ეკვივალენტურია (ე. ი. ისინი ერთდროულად ან ჭეშმარიტია ან მცდარია).

ამ თვალსაზრისით ვენის დიაგრამები შეიძლება გამოვიყენოთ სიტუაციის გასარკვევად, მაგრამ ყველა შედეგი გამოტანილი უნდა იყოს ამოცანაში მოცემული ვარაუდებიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ რაიმე მტკიცებულება ჭეშმარიტია, უნდა შეგვეძლოს მისი დამტკიცება. თუ მტკიცებულება მართლაც ცხადია, მაშინ ადვილად დავამტკიცებთ მას, თუ არა, მაშინ, როგორც ჩანს, ეს არცისე ცხადია, როგორც გვეგონა და სრულიად შესაძლებელია, მცდარიც იყოს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 4.1.

1. დავამტკიცოთ, რომ

$$A \cap (B \cap C) = (A \cap B) \cap C.$$

2. ვთქვათ, მოცემულია A, B, C: $C \subseteq B$ სიმრავლეები. დავამტკიცოთ, რომ
ა) $A \cap C \subseteq A \cap B$; ბ) $A \cup C \subseteq A \cup B$; გ) $A \setminus B \subseteq A \setminus C$; დ) $C \setminus A \subseteq B \setminus A$; ე) $B' \setminus A \subseteq C' \setminus A$.

3. დავამტკიცოთ, რომ თუ $A \subseteq B$, მაშინ $\mathcal{P}(A) \subseteq \mathcal{P}(B)$.

4. აჩვენეთ შემდეგი ტოლობის მართებულობა:

$$A \cup (B \cap C) = (A \cup B) \cap (A \cup C).$$

5. დავამტკიცოთ, რომ

$$(A \cup B)' = A' \cap B'.$$

(მითითება: აჩვენეთ, რომ $(A \cup B) \cup (A' \cap B') = \mathcal{E}$ და $(A \cup B) \cap (A' \cap B') = \varnothing$.)

6. დაამტკიცეთ შემდეგი მტკიცებულებების ეკვივალენტურობა, ე. ი. რომ თითოეულიდან გამომდინარეობს მეორე
ა) $A \cup B = \mathcal{E}$; ბ) $A' \subseteq B$; გ) $A' \cap B' = \varnothing$.

7. შემდეგი მტკიცებულებებიდან რომელია მართებული:
ა) $0 \in \varnothing$; ბ) $\{\varnothing\} \subseteq \varnothing$; გ) $\varnothing \subseteq \{\varnothing\}$; დ) $\varnothing \subseteq \mathcal{E}$; ე) $\{\varnothing\} \subseteq \{\{\varnothing\}\}$?
ამ კითხვის პასუხები შეადარეთ 2.1(6) სავარჯიშოს პასუხებს. $\in$ და $\subseteq$ სიმბოლოებს შორის არსებობს კავშირი, მაგრამ ისინი ერთიდაიგივე არ არის.

8. ვაჩვენოთ, რომ სასრული A სიმრავლისთვის $|2^A| = 2^{|A|}$. (მითითება: ამოწერეთ $A = \{a_1, a_2, \ldots, a_n\}$ სიმრავლე და განიხილეთ მისი ქვესიმრავლეები.)

§ 5. სიმრავლეთა ნამრავლი

აქამდე ჩვენ ძირითადად არსებული სიმრავლეებიდან უფრო მცირე ზომის სიმრავლეების აგებას ვიხილავდით, ახლა განვიხილავთ დიდი სიმრავლეების აგების

ერთ-ერთ ყველაზე უფრო ზოგად ხერხს. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ჭადრაკის დაფის უჯრედებზე განთავსებული სიმრავლე (სურ. 1.10).



ნახ. 5.1

განვიხილოთ სვეტების სიმრავლე, რომლებსაც აღვნიშნავთ $a, b, \ldots, h$-ით (მარცხნიდან მარჯვნივ), სტრიქონების სიმრავლე, რომლებსაც აღვნიშნავთ $1, 2, \ldots, 8$-ით (ქვემოდან ზემოთ). მაშასადამე, თითოეული უჯრა ცალსახად შეიძლება იყოს მოცემული ორი სიმბოლოთი: ერთი $F = \{a, b, \ldots, h\}$ სიმრავლიდან, მეორე $R = \{1, 2, \ldots, 8\}$ სიმრავლიდან. მაგალითად, $a1$, $b3$, $h5$, $e3$ და ა. შ. ამგვარად, სვეტების F სიმრავლისა და სტრიქონების R სიმრავლისაგან შევქმენით დაფის ყველა უჯრის სიმრავლე.

ეს მაგალითი თავის თავში შეიცავს ახალ იდეებს, რომლებიც სიმრავლეთა ნამრავლის აგებისას გამოიყენება. ამასთან, იმისათვის, რომ შეგვეძლოს განსახილველი სიტუაციის განზოგადება, უნდა ვიყოთ ცოტა უფრო მეტად ზუსტები.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . აღვნიშნოთ n-ელემენტიანი $x_1, x_2, \ldots, x_n$ მიმდევრობა $(x_1, x_2, \ldots, x_n)$-ით. აქ მრგვალი ფრჩხილები გამოყენებულია იმისათვის, რომ მივუთითოთ იმ რიგზე, რომლითაც ჩაწერილია ელემენტები. მაგალითად, თუ $x - 1 \neq x_2$, მაშინ $(x_2, x_1, \ldots, x_n)$ არ ემთხვევა $(x_1, x_2, \ldots, x_n)$ მიმდევრობას. ვუწოდოთ n **სიგრძის ნაკრები**. 2 სიგრძის ნაკრებს ვუწოდოთ წყვილი.

ვთქვათ, მოცემულია $A_1, A_2, \ldots, A_n$ n სიმრავლე. ყველა $(x_1, x_2, \ldots, x_n)$ ნაკრების ისეთ სიმრავლეს, სადაც $x_1 \in A_1, x_2 \in A_2, \ldots, x_n \in A_n$-ს $A_1, A_2, \ldots, A_n$ სიმრავლეთა **პირდაპირი ნამრავლი** ეწოდება. და აღინიშნება $A_1 \times A_2 \times \cdots \times A_n$ სიმბოლოთი. სხვა აღნიშვნების გამოყენების ამ ნამრავლს ჩავწერთ უფრო მოკლედ.

მ ა გ ა ლ ი თ ი 5.1. ვთქვათ, $X = \{0, 1\}$, $Y = \{x, y\}$, $z = \{0, 1, 2\}$, მაშინ

$$X \times Y = \big\{(0, x), (0, y), (1, x), (1, y)\big\},$$
$$Y \times X = \big\{(x, 0), (x, 1), (y, 0), (y, 1)\big\}.$$

ამგვარად, $X \times Y \neq Y \times X$.

მაგალითად,

$$X \times Z = \big\{(0,0),(0,1),(0,2),(1,0),(1,1),(1,2)\big\}$$

$(0,1)$ და $(1,0)$ $X \times Z$ სიმრავლის სხვადასხვა ელემენტებია. ჭადრაკის დაფის მაგალითზე F და R სიმრავლეები არ იკვეთებიან. $(e,3) \in F \times R$, ხოლო $(3,e) \notin F \times R$ $(\in R \times F)$, ამიტომ $3e$ ჩანაწერი უნდა უარვყოთ, როგორც არასწორი ჭადრაკის დაფისთვის.

ხშირად გამოვიყენებთ პირდაპირ ნამრავლს ერთნაირი სიმრავლეებისთვის. ამ შემთხვევაში უფრო მოსახხერხებელი იქნება $A \times A \times \cdots \times A$ ჩავწეროთ A^n სახით.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 5.1.

1. ვთქვათ, $X = \{a,b,c\}$ და $Y = \{a,b,e,f\}$. იპოვეთ $X \times Y$ და Y^2.

2. დაამტკიცეთ, რომ $A \subseteq X$ და $B \subseteq Y$, $A \times B \subseteq X \times Y$.

3. დაამტკიცეთ, რომ $A \times (B \cap C) = (A \times B) \cap (A \times C)$.

4. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი არაცარიელი A და B სიმრავლეებისთვის სრულდება

ა) $\varnothing \times A = \varnothing$; ბ) $\mathcal{E} \times A \neq A$; გ) $A \subseteq A \times A$; დ) $|A \times \{x\}| = |A|$; ე) $A \times B = B \times A$, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $A = B$.

მიმართებები

გამოთვლებში ხშირად საჭიროა ავირჩიოთ სიმრავლეთა ისეთი ელემენტები, რომლებიც აკმაყოფილებს რაიმე “მიმართებას”. ეს ცნება საკმაოდ ზოგადია. ამიტომ იგი ფართოდ გამოსაყენებელია. ბუნებრივია, მიმართების შესაბამისი შერჩევისას მისი არგუმენტები ერთიმეორესთან შეიძლება დაკავშირებული იყოს საკმაოდ მარტივად. აუცილებელი არა რის ისინი დაკავშირებული იყოს რაღაც მარტივი ან ცხადი ფორმულით, თუმცა, ისეთ სიტუაციებში, როცა მოთხოვნილია რაიმე გამოთვლების ჩატარება. ზოგჯერ შეიძლება ვიპოვოთ მიმართების მოხერხებული აღწერა.

ვიდრე ამ საკითხს მათემატიკური პოზიციიდან მივუდგებით, განვიხილოთ რამდენიმეიდეა, რომლებიც წარმოიქმნება შემდეგი მარტივი სიტუაციის განხილვიდან (რომლებსაც, აგრეთვე, მივყავართ მიმართების ცნების შემოტანამდე). ვთქვათ, რაღაც გვაქვს პროგრამების P სიმრავლე. მონაცემთა მნიშვნელობების D სასრული სიმრავლე და შედეგების R სიმრავლე. თუ D-დან ავირჩევთ კონკრეტულ მნიშვნელობას, იგი შეიძლება გამოვიყენოთ P-დან არებულ ზოგიერთ პროგრამაში და P-დან აღებული თითოეული პროგრამისთვის არებობს მნიშვნელობათა ერთობლიბა D სიმრავლიდან, რომლებიც ამ პროგრამაში გამოიყენება. ამგვარად, გვაქვს შესაბამისობა მონაცემთა მნიშვნელობებსა და პროგრამებს შორის. მაშასადამე, $D \times P$ სიმრავლეში არსებობს ელემენტები, რომლებიც საინტერესოა გარკვეული თვალსაზრისით. ანალოგიურად, თუ განვიხილავთ რაიმე $p \in P$ პროგრამას, მაშინ ის D-დან არებულ მონაცემთა შესაბამის მნიშვნელობებს დააკავშირებს R სიმრავლიდან აღებულ შედეგებთან. შეიძლება განვიხილოთ მონაცემები, რომლებსაც P მიჰყავთ გაჩერებამდე ან განვიხილოთ შედეგები, რომლებიც არ შეიძლება მივიღოთ P-დან. მაშასადამე, ჩვენ მივდივართ $(D \times R)$ სიმრავლის ქვესიმრავლეებთან D-დან R-კენ გადამუშავების დროს წარმოიქმნება რაღაც ასოციაციები, რომელბიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ტერმინოლოგიის დამახსოვრებისთვის.

გადავიდეთ ფორმალურ განხილვებზე.

§ 1. ძირითადი ცნებები

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . $A_1, A_2, \ldots, A_n$ სიმრავლეებზე განსაზღვრული **n-ადგილიანი R მიმართება** ეწოდება $A_1 \times A_2 \times \cdots \times A_n$ პირდაპირი ნამრავლის ქვესიმრავლეს.

ამრიგად, $x_1, x_2, \ldots, x_n$ ელემენტები დაკავშირებული R მიმართებით მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $(x_1, x_2, \ldots, x_n)$, სადაც $(x_1, x_2, \ldots, x_n)$ დალაგებული набор-ია.

იფრო ხშირად გვხვდება მიმართება, როცა $n = 2$. ამ შემთხვევაში მას ეწოდება **ბინარული მიმართება**. ამრიგად, A და B სიმრავლეებს შორის ბინარული მიმართება არის $A \times B$ პირდაპირი ნამრავლის ქვესიმრავლე. თუ ეს სიმრავლეები ეკვივალენტურია (ვთქვათ, A-ს ტოლია), მაშინ ვიტყვით, რომ A^2-ს ქვესიმრავლე განსაზღვრავს მიმართებას A სიმრავლეზე.

მიმართებები არ წარმოადგენს რაიმე ახალს. შეიძლება ავაგოთ მიმართებები, რომლებიც უეჭველად ნაცნობი იქნება მკითხველისთვის. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.1. ვთქვათ, $A = \{1,2,3,4,5,6,7,8\}$ და $R = \{(x, y) :\ x,\, y \in A;\ x$ არის y-ის ჯერადი$\}$. მაშინ R მიმართება შეიძლება ჩავწეროთ ცხადად:

$$R = \Big\{(1,1),(2,1),(3,1),(4,1),(5,1),(6,1),(7,1),(8,1),(2,2),(4,2),\\ (6,2),(8,2),(3,3),(6,3),(4,4),(8,4),(5,5),(6,6),(7,7),(8,8)\Big\}.$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.2. ვთქვათ, $A = \{a, b, c, d\}$. განვიხილოთ მისი ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლე $\mathcal{P}(A)$. მასზე განვსაზღვროთ ბინარული მიმართება $R = \{(X, Y) : X,\, Y \in \mathcal{P}(A),\ X \subset Y\}$.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.3. განვიხილოთ ჭადრაკის დაფა. ვთქვათ, $F = \{a, b, c, d, e, f, g, h\}$, $R = \{1,2,3,4,5,6,7,8\}$ და, ვთქვათ,

$$S = F \times R.$$

ამრიგად, S არის ჭადრაკის დაფის უჯრედების სიმრავლე. უჯრედები აღინიშნება (x, y) წყვილებით, სადაც $x \in F$, $y \in R$. S სიმრავლეზე განვსაზღვროთ C ბინარული მიმართება: $(s, t) \in C$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა s და t არის S სიმრავლის ელემენტები და ეტლს შეუძლია ერთი სვლით გაიაროს s-დან t-მდე ცარიელ დაფაზე. (გავიხსენოთ, რომ ეტლს შეუძლია მოძრაობა ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით.) ამიტომ იცვლება ან ჰორიზონტალური ან ვერტიკალური კოორდინატი და არა ორივე ერთდროულად, ე. ი. $C \in S \times S$ და

$$C = \Big\{\big((f_s, r_s,(t_f, r_t)\big) :\ \big(f_s = f_t \text{ და } r_s \neq r_t\big) \text{ ან } \big(f_s \neq f_t \text{ და } r_s = r_t\big)\Big\}.$$

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ნებისმიერი A სიმრავლისთვის განვსაზღვროთ J_A **იგივური მიმართება** და U_A **უნივერსალური მიმართება** შემდეგნაირად:

$$J_A = \big\{(a, a) :\ a \in A\big\}, \quad U_A = \big\{(a, b) :\ a \in A,\ b \in A\big\}.$$

ამრიგად, $U_A = A^2$. რადგან $\varnothing \subseteq A^2$, ამიტომ $\varnothing$ ცარიელი სიმრავლეც წარმოადგენს ბინარული მიმართებას და მას ეწოდება **ცარიელი მიმართება**.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . A და B სიმრავლეებს შორის ყოველ R ბინარულ მიმართებას დავუკავშიროთ ორი სიმრავლე – $\mathcal{D}(R)$ განსაზღვრის არე და $\mathcal{R}(R)$

მნიშვნელობათა არე. ისინი განისაზღვრება შემდეგნაირად

$$\mathcal{D}(R) = \{x : (x,y) \in R\}, \quad \mathcal{R}(R) = \{y : (x,y) \in R\}.$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.3. ზემოთ განხილულ 1.1 მაგალითში

$$\mathcal{D}(R) = A, \quad \mathcal{R}(R) = A.$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.4. დავუშვათ, რომ გვაქვს რაღაც პროგრამა, რომელიც $A = \{1,2,3,4,5\}$ სიმრავლიდან კითხულობს ორ x და y რიცხვს და თუ $x < y$, ბეჭდავს ისეთ z რიცხვს (ასევე A სიმრავლიდან), სადაც $x \leq z < y$. პროგრამა ჩერდება A-დან ყველა რიცხვის წაკითხვის შემდეგ. ეს ამოცანა განსაზღვრავს შემდეგ $P \subseteq A^2 \times A$ მიმართებებს:

$$\begin{aligned} P = \Big\{&((1,2,1),((1,3),1),((1,3),2),((1,4),1),((1,4),2),\\ &((1,4),3),((1,5),1),((1,5),2),((1,5),3),((1,5),4),\\ &((2,3),2),((2,4),2),((2,4),3),((3,4),3),((3,5),3),((3,5),4),\\ &((4,5),4),((2,5),2),((2,5),3),((2,5),4)\Big\}, \end{aligned}$$

მაშინ

$$\begin{aligned} \mathcal{D}(P) &= \Big\{(1,2),(1,3),(1,4),(1,5),(2,4),(2,3),(2,5),\\ &\qquad (3,4),(3,5),(4,5)\Big\} \subset A^2,\\ \mathcal{R}(P) &= \{1,2,3,4\} \subset A. \end{aligned}$$

თითოეული მიმართება სიმრავლეს წარმოადგენს და შეგვიძლია დიდი ლათინური ასოებით აღვნიშნოთ, აგრეთვე არსებობს მიმართებების ბერძნული პატარა ასოებით აღნიშვნის პრაქტიკაც. მაგალითად, ρ, σ, τ. ხშირად იყენებენ შემდეგ აღნიშვნებს:

ა) $(a,b) \in \rho$, ე. ი. (a,b) არის ρ-ში.

ბ) $a\rho b$, ე. ი. a დაკავშირებულია b-თან ρ მიმართებით.

გ) $b \in \rho(a)$.

მოცემული ბინარული მიმართებიდან შეიძლება გამოვიყენოთ სხვა მიმართებებიც.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვთქვათ, R არის ბინარული მიმართება. განვსაზღვროთ R^{-1} **შებრუნებული მიმართება**. შემდეგნაირად:

$$R^{-1} = \big\{(x,y) : (y,x) \in R\big\}.$$

ამრიგად, R^{-1} ელემენტების იგივე წყვილს აკავშირებს, მაგრამ სხვა დალაგებით.

მაშასადამე, თუ $R \subseteq A \times B$, მაშინ

$$R^{-1} \subseteq B \times A, \quad \mathcal{D}(R^{-1}) = \mathcal{R}(R), \quad \mathcal{R}(R^{-1}) = \mathcal{D}(R).$$

განსაზღვრება. ვთქვათ, R არის A სიმრავლეზე განსაზღვრული რაიმე მიმართება. R მიმართების დამატება ვუწოდოთ ისეთ R' მიმართებას, რომელიც განსაზღვრული შემდეგნაირად: $xR'y$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა x არ არის R მიმართებაში y-თან. ცხადია, სიმრავლის ენაზე გვექნება $R' = A^2 \setminus R$.

უფრო მოხერხებული იქნება $\mathcal{D}_R$ და $\mathcal{R}_R$ აღნიშვნების გამოყენება $\mathcal{D}(R)$ და $\mathcal{R}(R)$ აღნიშვნების ნაცვლად.

სავარჯიშო 1.1.

1. ვთქვათ, $X = \{6, 7, 8, 9, 10\}$, $\rho = \{(x, y) :\ x, y \in X,\ x < y\}$. ამოწერეთ ρ-ს და ρ^{-1}-ს ყველა ელემენტი.

2. ვთქვათ, $A = \{a, b, c\}$ და $\mathcal{E} = \mathcal{P}(A)$. ამოწერეთ $\mathcal{E}$-ზე განსაზღვრული $\subset$ და $\subseteq$ მიმართებების ყველა ელემენტი.

3. $A = \big\{1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20\big\}$. R არის A-ზე განსაზღვრული ბინარული მიმართება:
$$R = \big\{(x, y) :\ x, y \in A,\ x^2 = y\big\}.$$
აღწერეთ R სიმრავლე. რამდენ ელემენტს შეიცავს F^{-1}, R'?

4. ვთქვათ, $B = \{1, 2, 3, 4, 5, 6\}$ სიმრავლეზე განსაზღვრულია ρ მიმართება:
$$\rho = \big\{(x, y) :\ x, y \in B \text{ და } x + y = 7\big\}.$$
აღწერეთ ρ, როგორც სიმრავლე. რა კავშირია ρ და ρ^{-1} მიმართებებს შორის?

5. ვთქვათ, $\mathcal{E} = \mathbb{Z}^2$ და $\rho = \{(x, y) :\ x < y\}$. აღწერეთ ρ-ს დამატება ρ' ("ნაკლებია" მიმართების გამოყენების გარეშე).

6. ვთქვათ, $\sigma = \rho = \{(x, y) :\ x \subset y\}$. შეიძლება თუ არა σ' აღვწეროთ იგივე ხერხით, როგორც ρ' წინა ამოცანაში? დაასაბუთეთ.

7. ვთქვათ, ქუჩაზე არის ჩვეულებრივი წესით დანომრილი 30 სახლი: კენტი ნომრები ერთ მხარეს, ლუწი ნომრები მეორე მხარეს. ვთქვათ, h_n აღნიშნავს n-ნომრიან სახლში მცხოვრებ მოსახლეს. ამ ქუჩის მოსახლეობის სინრავლეზე განვსაზღვროთ N მიმართება: h_i არის h_j-თან N მიმართებები, თუ ისინი მეზობლები არიან. სიმბოლოების საშუალებით აღწერეთ N მიმართება.

8. განვიხილოთ ჭადრაკის დაფის უჯრედების S სიმრავლეზე მასზე განვსაზღვროთ K მიმართება: x უჯრა არის y უჯრასთან K მიმართებაში, თუ ცხენს შეუძლია გადავიდეს x-დან y-ზე ერთი სვლით. აღწერეთ K მიმართება სიმბოლოების საშუალებით.

9. ვთქვთ, G არის მიმართება S-ზე განსაზღვრული მიმართება: x მიმართებაშია y-თან მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა x არის თეთრი პაიკის საწყისი პოზიცია, ხოლო y არის უჯრა, რომელიც პაიკის პირველი სვლა მთავრდება. აღწერეთ G, $\mathcal{D}(G)$ და $\mathcal{R}(G)$ სიმრავლეები.

§ 2. გრაფიკული წარმოდგენები

ამოცანის ამოხსნის დროს პირველ ეტაპზე ხშირად მოსახერხებელია დახაზვა იმისათვის, რომ უფრო ნათლად დავინახოთ ამოცანის ყველა კომპონენტი. ეს

განსაკუთრებით მოსახერხებელია მიმართებების აღწერისთვის. ამ პარაგრაფში განვიხილავთ მიმართებების აღწერის გრაფიკულ მეთოდებს.

განვიხილოთ $X=\{a,b,c,d,e\}$ სიმრავლეს და J_X, U_X და R მიმართებები: $R=\big\{(a,b),(a,c),(b,d),(c,e),(e,b)\big\}$.

დავხაზოთ ორი, ურთიერთმართობული ღერძი: OX – ჰორიზონტალური, OY – ვერტიკალური. თითოეულ მათგანზე წერტილებით აღვნიშნოთ X სიმრავლის ელემენტები.



ნახ. 2.1

სიმრავლეები, რომელბიც შეესაბამება J_X, U_X და R-ს გამოსახულია 2.1(ბ), 2.1(გ), 2.1(დ) ნახაზებზე.

მიმართების გრაფიკული წარმოდგენის მეორე მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: წერტილების ნაცვლად ისრებით შევაერთოთ $x \in \mathcal{D}$ და $y \in \mathcal{R}$. ელემენტები (ნახ. 2.2(ა), 2.3(ბ), 2.3(გ), 2.3(დ))

განსაზღვრის $\mathcal{D}_X$ არე და მნიშვნელობათა $\mathcal{R}_X$ არე შეიძლება წარმოვადგინოთ პარალელურ ღერძებზე, როგორც 2.3 ნახაზზეა ნაჩვენები:



ნახ. 2.2



ნახ. 2.3

არსებობს ასეთი მეთოდიც, როცა X სიმრავლე მოცემულია წერტილებით, ხოლო მასზე განსაზღვრული მიმართება ნაჩვენებია ისრებით. 2.4 ნახაზზე მოცემულია J_X, U_X და R მიმართებები ამგვარი გრაფიკული მეთოდით



ნახ. 2.4

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2.1.

1. დახაზეთ დიაგრამა, რომელიც წარმოადგენს სავარჯიშო 2.1(1)-ში განხილულ ρ მიმართებას.

2. დახაზეთ დიაგრამა, რომელიც წარმოადგენს სავარჯიშო 2.1(3)-ში განხილულ მიმართებას.

3. დახაზეთ დიაგრამა, რომელიც წარმოადგენს სავარჯიშო 2.1(5)-ში განხილულ N მიმართებას, თუ ქუჩაზე არის ათი სახლი.

§ 3. მიმართებების თვისებები

ცხადია, რომ ზოგადი მიმართებები, რომლებიც სიმრავლეთა პირდაპირი ნამრავლის მხოლოდ ქვესიმრავლეებია, არ არის განსაკუთრებით საინტერესო. მაგრამ, როცა მიმართებები აკმაყოფილებს ზოგიერთ დამატებით პირობებს, მათზე შეიძლება უფრო მეტი რამის თქმა. ამ პარაგრაფში განვიხილავთ ზოგიერთ იმ ძირითად თვისებებს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მიმართებას. ამბობენ, რომ თვისებას ადგილი აქვს მაშინ, თუ შესრულებულია შესაბამისი პირობა.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვთქვათ, ρ არის A სიმრავლეზე განსაზღვრული მიმართება. მაშინ

ა) ρ **რეფლექსურია**, თუ $x\rho x$, ნებისმიერი $x \in A$;

ბ) ρ **სიმეტრიულია**, თუ $x\rho y$ მიმართება იწვევს $y\rho x$ მიმართებას.

გ) ρ **ტრანზიტულია**, თუ $x\rho y$ და $y\rho z$ მიმართებები იწვევს $x\rho z$ მიმართებას.

დ) ρ **ანტისიმეტრიულია**, თუ $x\rho y$ და $y\rho x$ მიმართებები იწვევს $x = y$ ტოლობას.

შემოტანილი ცნებები განვმარტოთ მაგალითებზე

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.1.

1. $\rho = \big\{(x,y): \ x,y \in \mathbb{N}$ და გამყოფია y-ის$\big\}$, მაშინ ρ მიმართება

ა) რეფლექსურია, რადგან ნებისმიერი ნატურალური x რიცხვი თავის თავის გამყოფია, ე. ი. $x\rho x$, ნებისმიერი $x \in \mathbb{N}$;

ბ) სიმეტრიული არ არის, რადგან 3 გამყოფია 6-ის, მაგრამ 6 არ არის 3-ის გამყოფი, ე. ი. $x\rho y \not\Longrightarrow y\rho x$.

გ) ტრანზიტულია, რადგან თუ $y/x \in \mathbb{N}$ და $z/y \in \mathbb{N}$, მაშინ

$$\frac{z}{y} = \left(\frac{y}{x}\right) \cdot \left(\frac{z}{y}\right) \in \mathbb{N}.$$

ე. ი. $x\rho y, y\rho z \Longrightarrow x\rho z$.

დ) ანტისიმეტრიულია, რადგან თუ $\frac{y}{x} \in \mathbb{N}$ და $\frac{x}{y} \in \mathbb{N}$, მაშინ $x = y$, ე. ი. $(x\rho y$ და $y\rho x) \Longrightarrow x = y$

2. $\sigma = \big\{(x,y): \ x,y \in \mathbb{N}, \ x \le y\big\}$, მაშინ σ

ა) რეფლექსურია, რადგან ნებისმიერი x-თვის $x \leq x$, ე. ი. $x\sigma x$, ნებისმიერი $x \in \mathbb{N}$.

ბ) არასიმეტრიულია, რადგან თუ $5 \leq 7$, მაგრამ $7 \nleq 5$, ე. ი. $x\sigma y \not\Longrightarrow y\sigma x$.

გ) ტრანზიტულია, რადგან თუ $x \leq y$ და $y \leq z$, მაშინ $x \leq z$, ე. ი. $(x\sigma y, y\sigma z) \Longrightarrow x\sigma z$.

დ) ანტისიმეტრიულია, რადგან თუ $x \leq y$ და $y \leq x$, მაშინ $x = y$, ე. ი. $(x\sigma y$ და $y\sigma x) \Longrightarrow x = y$.

3. $\tau = \big\{(x,y):\ x,y \in \mathbb{N}\setminus\{1\}$ და x და y-ს საერთო გამყოფი აქვს$\big\}$, მაშინ τ

ა) რეფლექსურია, ე. ი. $x\tau x$, ნებისმიერი $x \in \mathbb{N}\setminus\{1\}$.

ბ) სიმეტრიული, ე. ი. $x\tau y = y\tau x$.

გ) არ არის ტრანზიტული რადგან 4-სა და 6-ის საერთო გამყოფია $2 \in \mathbb{N}\setminus\{1\}$-ის და 9-ის – $3 \in \mathbb{N}\setminus\{1\}$, მაგრამ 4-სა და 9-ს საერთო გამყოფი არ აქვთ.

დ) არ არის ანტისიმეტრიული: $4\sigma 6$, $6\sigma 4$, მაგრამ $4 \neq 6$.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.2. ვთქვათ, P არის მთელი ხალხის სიმრავლე. განვსაზღვროთ ორი მიმართება

$$A = \big\{(x,y):\ x,y \in P,\ x \text{ არის } y\text{-ის წინაპარი}\big\}.$$

ეს მიმართება რეფლექსური არ არის, სიმეტრიული არ არის, ანტისიმეტრიულია, ტრანზიტულია.

$$S = \big\{(x,y):\ x,y \in P, \text{ და } x \text{ და } y \text{ საერთო მშობლები ჰყავთ}\big\}.$$

ცხადია, რომ A მიმართება რეფლექსურია, სიმეტრიულია, ტრანზიტულია.

შევნიშნოთ, რომ სიმეტრიულობისა და ანტისიმეტრიულობის თვისებები არ არის ურთიერთგამომრიცხავი. ნებისმიერი X სიმრავლისათვის J_X იგივური მიმართება არის სიმეტრიულიც და ანტისიმეტრიულიც. შეიძლება გვქონდეს მიმართება, რომელიც არც სიმეტრიულია და არც ანტისიმეტრიული.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.3. ვთქვათ, P არის მთელი ხალხის სიმრავლე. განვსაზღვროთ B მიმართება

$$B = \big\{(x,y):\ x,y \in P,\ x \text{ არის } y\text{-ის ძმა}\big\}.$$

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც ოჯახში არის ორი ძმა. p და q და ერთი და – r. B მიმართება არ არის სიმეტრიული, რადგან pBr მაგრამ არა rBp. ეს მიმართება, ასევე, არ არის ანტისიმეტრიული, რადგან pBq და qBp, მაგრამ p და q განსხვავებული (ნახ. 3.1)

$$\begin{tikzcd}
p \arrow[rr] \arrow[dr] & & q \arrow[ll, bend right] \arrow[dl] \\
& r &
\end{tikzcd}$$

ნახ. 3.1

უფრო ზოგად სიტუაციაში შეგვიძლია მიმართების ზემოთ განხილული თვისებების ინტერპრეტაცია დიაგრამების აგების გზით:

ა) მიმართება რეფლექსურია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული კვანძისთვის (წერტილისთვის) დიაგრამაზე არსებობს ისარი, რომელიც იწყება და მთავრდება ამ კვანძზე.

ბ) მიმართება სიმეტრიულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული ისრისთვის, რომელიც ორ კვანძს აერთებს, აგრეთვე, არსებობს ამ კვანძების საწინააღმდეგო მიმართულებით შემაერთებელი ისარი.

გ) მიმართება ტრანზიტულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა x და y კვანძების ყოველი წყვილისთვის, რომელბიც შეერთებულია ერთმანეთთან ისრების მიმდევრობით: x-დან a_1-მდე, a_1-დან a_2-მდე, $\ldots$, a_n-დან y-მდე, არსებობს, აგრეთვე, x-ის y-თან შემაერთებელი ისარი.

დ) მიმართება ანტისიმეტრიულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგოისრების წყვილით შეერტებული ორი სხვადასხვა კვანძი.

არსებობს მიმართების ბევრი სხვა თვისება, რომლებიც შეიძლებოდა განგვეხილა, მაგრამ, ზემოთ აღნიშნული თვისებები არს უფრიო მნიშვნელოვანი და ხშირად იქნება შემდგომში გამოყენებული.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3.1.

1. არის თუ არა შემდეგი მიმართებები რეფლექსური, სიმეტრიული, ტრანზიტული ან ანტისიმეტრიული:

ა) $R = \{(a,b) :\ a,b \in \mathbb{Z}, a-b \text{ არის ლუწი}\}$.

ბ) $A = \{(a,b) :\ a,b \in \mathbb{N}, a+b \text{ არის ლუწი}\}$.

გ) P მთელი ხალხის სიმრავლეა,
$B = \{(a,b) : a,b \in P\ a \text{ და } b\text{-ს საერთო წინაპარი ჰყავთ}\}$.

დ) $D = \{(a,b) :\ a,b \in P\ a \text{ არის } b\text{-ს მშობელი}\}$.

ე) $M = \{(a,b) :\ a,b \in \mathbb{Z},\ a = 2b\}$.

ვ) $Q = \{(a,b) : a,b \in \mathbb{Z},\ a \text{ იყოფა } b\text{-ზე}\}$.

ზ) $E = \{(a,b) : a,b \in \mathbb{Z} \setminus \{0\},\ a \text{ ყოფს } b\text{-ს}\}$.

თ) $F = \{(a,b) : a,b \in \mathbb{N},\ a \text{ ყოფს } b\text{-ს}\}$.

ი) $L = \{a, b, c\}$, მიმართება L-ზე:

$$\mathcal{A} = \big\{(a,b),(b,a),(a,c),(c,a),(b,c),(c,a)\big\}.$$

2. შემდეგი მტკიცებულება არის მცდარი: სიმეტრიული და ტრანზიტული მიმართება არის რეფლექსური, რადგან aRb და bRa იწვევს aRa-ს. იპოვეთ შეცდომა. $\{1, 2, 3\}$ სიმარვლეზე განსაზღვრეთ მიმართება, რომელიც იქნება სიმეტრიული, ტრანზიტული და არ იქნება რეფლექსური.

3. ვთქვათ, ρ არის მიმართება A და B სიმრავლეებს შორის. თუ $a \in A$, მაშინ $\rho(a)$-ით აღვნიშნოთ $\{b:\ a\rho b\}$ სიმრავლე. $\rho(a)$ არის B სიმრავლის ქვესიმრავლე. ვთქვათ, $\{-4,-3,-2,-1,0,1,2,3,4\}$ სიმრავლეზე განსაზღვრულია შემდეგი მიმართებები:

$$\rho = \{(a,b):\ a < b\}, \quad \sigma = \big\{(a,b): b-1 < a < b+2\big\},$$
$$\tau = \{(a,b):\ a^2 \le b\}, \quad \delta = \big\{(a,b):\ |a| = |b|\big\}.$$

იპოვეთ შემდეგი სიმრავლეები

ა) $\rho(0)$; ბ) $\sigma(0)$; გ) $\tau(0)$; დ) $\rho(1)$; ე) σ^{-1}; ვ) $\tau(-1)$; ზ) $\delta(0)$, $\delta(-2)$, $\delta(2)$.

§ 4. დაყოფა და ეკვივალენტობის მიმართება

მრავალ გამოთვლით ამოცანაში ვიღებთ დიდ სიმრავლეებს და ვყოფთ ისეთნაირად, რომ ყველა ჩვენთვის საინტერესო სიტუაცია შესაძლებელი იყოს გამოვიკვლიოთ რამდენიმე სწორად შერჩეულ მაგალითზე. მაგალითად, პროგრამირების ენის მახასიათებლების ხარისხობრივი შეფასების მიღების ერთ-ერთი გზა არის ამ ენაზე დაწერილი კონკრეტული პროგრამების განხილვა. მაგრამ თითოეული საინტერესო ენა, ისეთი მაღალი დონის ენების ჩათვლით, როგორიცაა პასკალი წარმოშობს უსასრულოდ ბევრ პროგრამას და, მაშასადამე, პროგრამები ისე უნდა შევარჩიოთ, რომ ისინი სწორად ასახავდეს ენის ღირსებებს და ნაკლოვანებებს. უფრო კონკრეტულები რომ ვიყოთ, ვიგულისხმოთ, რომ ენას აქვს სამი ძირითადი სამართი სტრუქტურა, მისაწვდომობის ოთხი მეთოდი და მეტი მას არ აქვს არანაირი განსაკუთრებული თვისებები. ჩვენ შეგვიძლია მაგალითის სახით აგვეღო შვიდი პროგრამა, რომელთაგან თითოეული მათგანი შეიცავს ენის მხოლოდ ერთ მახასიათებელს (თუმცა, ზოგადად, თითოეული პროგრამა შეიძლება იყენებდეს ენის ერთზე მეტ მახასიათებელს). მაშინ ამ პროგრამების გამოკვლევა დაფარავდა ენის თვისებების უდიდეს ნაწილს. მათემატიკურად ეს შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად.

განსაზღვრება. ვთქვათ, A არაცარიელი სიმრავლეს, A_i, $(i = 1, 2, \ldots, n,\ n \in \mathbb{N})$ არის A სიმრავლის ისეთ ქვესიმრავლეთა ერთობლიობა, რომ

$$\bigcup_{i=1}^{n} A_i = A.$$

ამ ქვესიმრავლეთა ერთობლიობას A **სიმრავლის დაფარვა** ეწოდება.

მაგალითი 4.1. $\{A, B\}$ არის $A \cup B$ სიმრავლის დაფარვა.

თუ გამოვიყენებთ დაფარვის ცნებას, შეგვიძლია უზრუნველვყოთ, რომ არცერთი თვისება არ იყოს გამოტოვებული, რადგან თითოეული ელემენტი ეკუთვნის დაფარვის ერთ ქვესიმრავლე მაინც. ამასთან, ზოგადად, შეიძლება გვხვდებოდეს გამეორების შემთხვევებიც. თუ შემდეგში მოვითხოვთ, რომ დაფარვის ელემენტები წყვილ-წყვილად არ იკვეთებოდეს, მაშინ, გამეორება აღარ იქნება, ე. ი. თითოეული ელემენტი მხოლოდ ერთ ქვესიმრავლეში შევა. აქედან წარმოიქმნება **დაყოფის** ცნება.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . არაცარიელი A სიმრავლის **დაყოფა** ეწოდება ქვესიმრავლეთა ისეთ $\mathcal{P}(A)$ ერთობლიობას, რომლისთვისაც სრულდება ორი პირობა

1. $\bigcup\limits_{i=1}^{n} A_i = A$, $A_i \in \mathcal{P}(A)$;
2. $A_i \cap A_j = \varnothing$, $i \neq j$.

ამგვარად, A სიმრავლე დაყოფილია ისეთნაირად, რომ მისი თითოეული ელემენტი ეკუთვნის დაყოფის მხოლოდ ერთ ქვესიმრვლეს.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.2. $\mathcal{E}$ უნივერსალური სიმრავლეს

1) $\{A, A'\}$ არის $\mathcal{E}$-ის დაყოფა;

ბ) $\{A \cap B, A \cap B', A' \cap B, A' \cap B'\}$ არის $\mathcal{E}$-ის დაყოფა;

გ) $\{A \setminus B, A \cap B, B \setminus A\}$ არის $A \cup B$-ის დაყოფა.

A სიმრავლის $\bigcup\limits_{i=1}^{n} A_i$ დაყოფა ამ სიმრავლეზე განსაზღვრავს გარკვეულ π მიმართებას:

$x\pi y$ მაშინ და მხლოდ მაშინ, როცა $x, y \in A_k$. ცხადია, ნებისმიერი $x \in A$ ელემენტისათვის გვექნება $x\pi x$. მაშასადამე, π მიმართება რეფლექსურია.

ვთქვათ, $x\pi y$ და $y\pi z$. პირველი მიმართება ნიშნავს $x, y \in A_k$, მეორე $-\, y, z \in A_k$. აქედან გამომდინარეობს, რომ $x, z \in A_k$. რაც ნიშნავს $x\pi z$ მიმართებას. აქედან ვასკვნით, რომ π მიმართება ტრანზიტულია.

ვთქვათ, $x\pi y$, ე. ი. $x, y \in \pi$, რაც იგივეა $y, x \in \pi$. ეს ნიშნავს, რომ $y\pi x$ და π მიმართება სიმეტრიულია.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . სიმრავლეზე განსაზღვრულ ბინარულ მიმართებას ეკვივალენტობის მიმართება ეწოდება, თუ ის რეფლექსური, სიმეტრიული და ტრანზიტულია.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.3. ყველა სამკუთხედის სიმრავლეზე განვსაზღვროთ მიმართება

$$\big\{(x, y) :\ x \text{ და } y \text{ სამკუთხედებს აქვთ ერთნაირი ფართობი}\big\}.$$

ცხადია, ეს ეკვივალენტობის მიმართებაა.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვთქვათ, ρ ეკვივალენტობის მიმართებაა A სიმრავლეზე. $x \in A$ ელემენტისათვის განვსაზღვროთ ეკვივალენტობობის $[x]$

კლასი

$$[x] = \{y : \ x\rho y\}.$$

ამგვარად, $[x]$ არის A-ს ყველა იმ ელემენტის სიმრავლე, რომლებიც ρ-ეკვივალენტურია x-ის იმ შემთხვევაში, როცა სიმრავლეზე განიხილება მხოლოდ ერთი ეკვივალენტობის მიმართება, შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრეთვე "$\equiv$" ("ეკვივალენტურია") აღნიშვნა, ამიტომ

$$[x] = \{y : \ x \equiv y\}.$$

ცალკეულ სპეციალურ შემთხვევაში ეკვივალენტობის აღნიშვნისთვის იყენებენ "$\sim$" სიმბოლოს. როდესაც განსაზღრულია ეკვივალენტობის მიმართება, მთელი სიმრაფვლის შემოწმების ნაცვლად შეგვიძლია ნებისმიერად ავირჩიოთ წარმომადგენლები (თითო-თითო ეკვივალენტობის კლასიდან), რაც ამარტივებს გამოთვლებს.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.4. ვთქვათ, s სიფქსირებული ნატურალური რიცხვია. მთელ რიცხვთა $\mathbb{Z}$ სიმრავლეზე განვსაზღვროთ ρ_s მიმართება:

$$\rho_s = \big\{(x, y) : x - y = ns, \text{ სადაც } n \in \mathbb{Z}\big\}.$$

განვიხილოთ შემთხვევა $s = 10$. მაშინ

$$[1] = \{1, 11, 21, -9, -19, \ldots\},$$
$$[25] = \{35, 75, -105, -15, \ldots\} \text{ და ა. შ.}$$

სინამდვილეში არსებობს ეკვივალენტობის მხოლოდ ათი სხვადასხვა კლასი. $0, 1, 2, \ldots, 8, 9$ რიცხვები ეკუთვნის სხვადასხვა კლასებს. ამიტომ შეგვიძლია გამოვიყენოთ ისინი ამ კლასების წარმომადგენლებად. ამ ეკვივალენტობის კლასების სიმრავლე აღინიშნება $\mathbb{Z}_{10}$-ით და ეწოდება ნაშთთა კლასები მოდულით 10. საზოგადოდ, ნებისმიერი $m \in \mathbb{N}$-თვის, $\mathbb{Z}_m$ ნაშთთა კლასები მოდულით m, შეიცავს m სხვადასხვა კლასს:

$$\mathbb{Z}_k = \Big\{[0], [1], [2], \ldots, [m-1]\Big\}.$$

განვიხილოთ $\mathbb{Z} \times \mathbb{N}$ სიმრავლე. (a, b) წყვილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც a/b წილადი. $= bZ \times \mathbb{N}$ სიმრავლის ელემენტების აღნიშვნის ეს ორი ხერხი სხვადასხვაა, მაგრამ ისინი "იზომორფულია". შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია აღნიშვნის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა.

არსებობს სხვადასხვა ელემენტი $\mathbb{Z} \times \mathbb{N}$ სიმრავლეში, რომლებიც სასურველია განვიხილოთ, როგორც ერთი და იგივე, თუმცა ისინი სხვადასხვანაირად ჩაიწერება. ეს სირთულე რომ გადავლახოთ, $\mathbb{Z} \times \mathbb{N}$ სიმრავლეზე განვსაზღვროთ ეკვივალენტობის მიმართება შემდეგნაირად: $(a, b) \equiv (c, d)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a \cdot d = b \cdot c$. ამ მიმართებით განსაზღვრულ ეკვივალენტობის კლასებს ეწოდება **რაციონალური რიცხვები**, რაციონალურ რიცხვთა სიმრავლეს აღნიშნავენ $\mathbb{Q}$ სიმბოლოთი. ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე აღინიშნება $\mathbb{R}$ სიმბოლოთი. ეს რიცხვები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმით:

$$\ldots o d_n \ldots d_2 d_1 d_0 \delta_1 \delta_2 \ldots \delta_n \ldots,$$

სადაც ყოველი d_i და δ_j ეკუთვნის სიმრავლეს

$$\{0,1,2,3,4,5,6,7,8,9\} = \mathbb{Z}_{10},$$

$d_n \neq 0$, გარდა $n = 0$ შემთხვევისა. დასაშვებია უსასრულო არაპერიოდული ათწილადი. ნული d_n-ის წინ, ჩვეულებრივ გამოიტოვება.

A სიმრავლეზე განსაზღვრული ეკვივალენტობის ρ მიმართების **ინდექსი** ეწოდება ρ მიმართებით ინდუცირებულ A კლასებს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 4.1.

1. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი ეკვივალენტობის მიმართება წარმოქმნის ისეთ დაყოფას, რომ ნებისმიერი $x, y \in A$ ელემენტებისთვის სრულდება ან $[x] = [y]$ ან $[x] \cap [y] = \varnothing$.

2. ვთქვათ, A სასრული სიმრავლეა. როგორი ეკვივალენტობის მიმართებები წარმოქმნის ეკვივალენტობის კლასების უდიდეს და უმცირეს.

3. თუ $\{A_1, A_2, \ldots, A_n\}$ არის A სიმრავლის დაყოფა და A სასრულია, აჩვენეთ, რომ

$$|A| = \sum_{i=1}^{n} |A_i|.$$

§ 5. დალაგების მიმართება

რამდენადაც ტოლობის ცნებიდან წარმოქიმნება ეკვივალენტობის მათემატიკური ცნება, ზოგიერთი უტოლობა, ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მოდელი მიმართებათა ფართო კლასებისთვის.

A სიმრავლეზე განსაზღვრულ რეფლექსურ, ტრანზიტულ და ანტისიმეტრიულ მიმართებების ნაწილობრივი დალაგება (ან დალაგება) ეწოდება. დალაგება (ანუ დალაგების მიმართება) არის $\leq$ მიმართების განზოგადება.

თუ განსაზღვრული $\leq$ მიმართება, მაშინ შეიძლება $<$ მიმართების განსაზღვრა შემდეგნაირად:

$$a < b \Longleftrightarrow a \leq b \ \text{ და } \ a \neq b.$$

ანალოგიურად, თუ მოცემულია $<$ მიმართება, მაშინ $\leq$ მიმართებაა განვსაზღვრავთ ასე:

$$a \leq b \Longleftrightarrow a < b \ \text{ ან } \ a = b.$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 5.1. ვთქვათ, მოცემულია ნებისმიერი A სიმრავლე, მაშინ $\mathcal{P}(A)$ სიმრავლეზე განსაზღვრული $\subseteq$ მიმართება არის ტრივიალური დალაგების მიმართება ($X \subseteq X$ ყველა X-თვის, თუ $X \subseteq Y$ და $Y \subseteq X$, მაშინ $X = Y$; თუ $X \subseteq Y$ და $Y \subseteq Z$, მაშინ $X \subseteq Z$).

დალაგების მიმართებას ეწოდება **სრული**, თუ ნებისმიერი $x, y \in A$ ელემენტებისთვის სრულდება ან $X \subseteq Y$ ან $Y \subseteq X$ (ან ორივე).

მ ა გ ა ლ ი თ ი 5.2. ცხადია, რომ მოცემული სიმრავლის ქვესიმრავლეთა სიმრავლეზე განსაზღვრული დალაგება არ არის სრული, ხოლო რიცხვთა ბუნებრივი დალაგება R ნამდვილ ღერძზე სრული.

შევნიშნოთ, რომ სრულად დალაგებულ სიმრავლეს **წრფივად დალაგებულსაც** უწოდებენ.

მათემატიკის შესწავლაში პროგრესის მიღწევებთამ ერთად ცხადი ხდება, რომ მათემატიკა არ არის ცალკეულლი იდეების ნაკრები, არამედ ერთიმეორესთან დაკავშირებული კონცეპტუალური ცნებების ერთობლიობაა, რომლებიც გამოიყენება მრავალი ერთიმეორისგან განსხვავებული სიტუაციები. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ძირითადი პრინციპი დადგენილი და გამოკვლეულია, იგი, ფაქტობრივად, ერთნაირად წყვეტს პრობლემებს ყველა ამ სხვადასხვა შემთხვევისთვის. შემეგი მაგალითი წარმოადგენს ამის მარტივ ილუსტრაციას.

მ ა გ ა ლ ი თ ი 5.3. $\mathbb{N}$ სიმრავლეზე განსაზღვრული დალაგების საფუძველზე შეგვიძლია ფორმალურად მივიღოთ ჩვეულებრივი დალაგების მიმართება $\mathbb{Z}$, $\mathbb{Q}$ და $\mathbb{R}$ რიცხვთა სიმრავლეებზე.

განვიხილოთ $\mathbb{Z}$ მთელ რიცხვთა სიმრავლე.მსჯელობის გამარტივების მიზნით $\mathbb{Z}$ დავყოთ შემდეგნაირად:

$$\mathbb{Z} = \mathbb{N} \cup \{0\} \cup A, \ \text{სადაც} \ A = \{-x : \ x \in \mathbb{N}\}.$$

განვსაზღვროთ $\mathbb{Z}$ სიმრავლეზე მიმართება ყველა შესაძლო x და y ელემენტების განხილვით $\{\mathbb{N} \cup \{0\} \cup A\}$ დაყოფიდან.

თუ $x = y$, მაშინ $x \leq y$ და $y \leq x$. ვთქვათ, $x \neq y$

ა) თუ $x, y \in \mathbb{N}$, მაშინ $\mathbb{Z}$-ში დალაგება ისეთივეა, როგორც $\mathbb{N}$-ში.

ბ) თუ $x, y \in A$, მაშინ $x \leq y$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $-y \leq -x$ $\mathbb{N}$-ში (მაგ., $-7 \leq -5$, რადგან $5 \leq 7$).

გ) თუ $x = 0$ და $y \in \mathbb{N}$, მაშინ $x \leq y$;

დ) თუ $x \in A$, $y = 0$, მაშინ $x \leq y$;

ე) თუ $x \in A$, $y \in \mathbb{N}$, მაშინ $x \leq y$.

$\mathbb{Z}$ სიმრავლეზე დალაგებვისა და მთელ ღერძზე ჩვეულებრივი არითმეტიკული ოპერაციების საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ დალაგება რაციონალურ რიცხვთა $\mathbb{Q}$ სიმრავლეზე: $a/b \leq c/d$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a \cdot d \leq b \cdot c$. ამ მტკიცებულებების შემოწმებას დავტოვებთ სავარჯიშოს სახით.

ბოლოს, განვსაზღვროთ დალაგების მიმართება ნამდვილ რიცხვთა $\mathbb{R}$ სიმრავლეზე. განვიხილოთ ორი დადებითი რიცხვის ათობით წარმოდგენა

$$D = \cdots o d_n \cdots d_2 d_1 d_0 \delta_1 \delta_2 \cdots \ ,$$
$$C = \cdots o c_m \cdots c_2 c_1 c_0 \gamma_1 \gamma_2 \cdots \ .$$

თუ $d_i = c_i$ და $\delta_i = \gamma_i$ ყველა i-თვის, მაშინ $D = C$ და, მაშასადამე, $D \leq C$ და $C \leq D$. წინააღმდეგ შემთხვევაში

ა) თუ $d_n \neq 0$, $c_n \neq 0$ და $n \neq m$, მაშინ

$$D \leq C, \ \text{თუ} \ n < m \ \text{და} \ C \leq D, \ \text{თუ} \ m < n;$$

ბ) თუ $n = m$ და $d_i \neq c_i$, მაგრამ $d_j = c_j$ ყველა ისეთი j-თვის, რომ $i < j \leq n$, მაშინ

$$D \leq C, \ \text{თუ} \ d_i < c_i \ \text{და} \ C \leq D, \ \text{თუ} \ c_i < d_i;$$

გ) თუ $m = n$ და $d_i = c_i$ ყველა i-თვის, მაგრამ $\delta_k \neq \gamma_k$ რომელიმე k-თვის და $\delta_j = \gamma_j$ ყველა j-თვის, რომლისთვისაც $0 < j < k$, მაშინ

$$C \leq D, \ \text{ თუ } \ \gamma_k < \delta_k \ \text{ და } \ D \leq C, \ \text{ თუ } \ \delta_k < \gamma_k.$$

მკითხველს შეუძლია ეს შეამოწმოს დამოუკიდებლად. უარყოფითი რიცხვები ისევე შეიძლება გამოვიკვლიოთ, როგორც $\mathbb{Z}$-ში.

X სიმრავლის $\leq$ დალაგების მიმართებასთან ერთად ეწოდება **ნაწილობრივ დალაგებული სიმრავლე** (აღინიშნება $(X, \leq)$-ით) ნებისმიერ $u \in (X, \leq)$ ელემენტს ეწოდება x და y ელემენტების **ზედა საზღვარი**, თუ სრულდება $x \leq u$ და $y \leq v$. ანალოგიურად, $v \in X$ ელემენტს ეწოდება x და y ელემენტების **ქვედა საზღვარი**, თუ სრულდება $v \leq x$ და $v \leq y$. x და y ელემენტების ყველა ზედა საზღვრის სიმრავლე წარმოადგენს X სიმრავლის ქვესიმრავლეს და დალაგებულია $\leq$ მიმართებით. თუ არსებობს ამ სიმრავლის ერთადერთი უმცირესი ელემენტი, ე. ი. თუ არსებობს ისეთი $\mu \in (X, \leq)$, რომლისთვისაც სრულდება: $x \leq \mu$, $y \leq \mu$, $\mu \leq u$ ნებისმიერი u ზედა საზღვრისთვის, მაშინ μ-ს უწოდებენ x და y ელემენტების **ზუსტ ზედა საზღვარს** (sup). ანალოგიურად განიმარტება x და y ელემენტების **ზუსტი ქვედა საზღვარი** (inf) (ე. ი. უდიდესი ქვედა საზღვარი).

შევნიშნოთ, რომ ნამდვილ რიცხვთა $\mathbb{R}$ სიმრავლეზე ბუნებრივი დალაგება განსაზღვრავს ახალ სიმრავლეებს. მათ უწოდებენ ინტერვალებს:

$$[a, b] = \{x : \ x \in \mathbb{R}, \ a \leq x \leq b\}.$$

ეს არის ჩაკეტილი ინტერვალი (მონაკვეთი, სეგმენტი) a-დან b-მდე.

$$]a, b[= \{x : \ x \in \mathbb{R}, \ a < x < b\}$$

არის ღია ინტერვალი a-დან b-მდე. ორივე შემთხვევაში a-ს და b-ს ეწოდება **ბოლო წერტილები**.

ჩაკეტილი ინტერვალი თავისთავში შეიცავს ბოლო წერტილებს, ხოლო ღია ინტერვალი არ შეიცავს. ნახევრადღია ინტერვალები განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$[a, b[\ = \{x : \ x \in \mathbb{R}, \ a \leq x < b\},$$
$$]a, b] = \{x : \ x \in \mathbb{R}, \ a < x \leq \}.$$

განვიხილოთ შემდეგი ინტერვალები:

$$]-\infty, a] = \{x : \ x \leq a\},$$
$$]-\infty, a[\ = \{x : \ x < a\},$$
$$[a, +\infty[\ = \{x : \ a \leq x\},$$
$$]a, +\infty[\ = \{x : \ a < x\},$$
$$]-\infty, +\infty[\ = \mathbb{R}.$$

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 5.1.

1. ვთქვათ, A ნებისმიერი სიმრავლეა, $\mathcal{P}(A)$ მისი ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლე, $\rho - \mathcal{P}() \times \mathcal{P}(A)$ სიმრავლეზე განსაზღვრული ბინარული მიმართებაა,

$(P,Q)\rho(X,Y)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $(P\triangle Q) \subseteq (X\triangle Y)$. არის თუ არა ρ დალაგება მიმართება $(P\triangle Q = (P\cup Q)\setminus(\cap Q))$?

2. ვთქვათ, A ნებისმიერი სიმრავლეა, ხოლო σ – $\mathcal{P}(A)\times\mathcal{P}(A)$ სიმრავლეზე შემდეგნაირად განსაზღვრული ბინარული მიმართება: $(P,Q)\sigma(X,Y)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $P \leq X$ და $Q \leq Y$. არის თუ არა σ დალაგების მიმართება? (და თუ არის დალაგების მიმართება, არის თუ არა სრული?)

3.ვთქვათ, τ და π $\mathbb{N}^2$ სიმრავლეზე შემდეგნაირად განსაზღვრული ბინარული მიმართებებია: $(a,b)\tau(c,d)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a\leq c$ და $b\leq d$; $(a,b)\pi(c,d)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a\leq c$ და $b\geq d$. არის თუ არა τ და π ბინარული მიმართებები?

4. ვთქვათ, π არის $\mathbb{Q}$-ს დადებით რიცხვებზე შემდეგნაირად განსაზღვრული ბინარული მიმართება: $(a/b)\pi(c/d)$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a\cdot d\leq b\cdot c$. აჩვენეთ, რომ π არის სრული დალაგების მიმართება.

§ 6. შედგენილი მიმართებები

განსაზღვრება. ვთქვათ, მოცემულია A, B და C სიმრავლეები, σ მიმართება განსაზღვრული A და B სიმრავლეებს შორის, ხოლო ρ მიმართება – B და C სიმრავლეებს შორის. A და C სიმრავლეებს შორის განვსაზღვროთ მიმართება, რომელიც A-დან B-ში იმოქმედებს σ-ს საშუალებით, ხოლო B-დან C-ში ρ-ს საშუალებით. ასეთი გზით აგებულ მიმართებას ეწოდება შედგენილი და აღინიშნება $(\rho\circ\sigma)$ სიმბოლოთი, ე. ი.

$$(\rho\circ\sigma)(a) = \rho(\sigma(a)).$$



ნახ. 6.6

ამრიგად, $(x,y)\in\rho\circ\sigma$, თუ B სიმრავლეში არსებობს ისეთი z ელემენტი, რომლისთვისაც შესრულდება $(x,z)\in\sigma$, $(z,y)\in\rho$, აქედან გამომდინარეობს, რომ $\rho\circ\sigma$ მიმართების განსაზღვრის არეა

$$D_{\rho\circ\sigma} = \sigma^{-1}D_\rho.$$

სიტუაციის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ნახ. 6.6. σ მიმართების $\mathcal{D}_\sigma$ განსაზღვრის არე და $\mathcal{R}_\sigma$ მნიშვნელობათა სიმრავლე დაშტრიხულია ერთი მიმართულებით, ხოლო ρ მიმართულების $\mathcal{D}_\rho$ და $\mathcal{R}_\rho$ – სხვა მიმართულებით, მაშასადამე, A,

B და C სიმრავლეებზე ორმაგად დაშტრიხული სეგმენტები წარმოადგენს $D_{\rho\circ\sigma}$, $\mathcal{D}_\rho \cap \mathcal{R}_\sigma$ და $\mathcal{R}_{\rho\circ\sigma}$ არეებს, შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . σ და ρ მიმართებების ჩაწერიდან გამომდინარეობს, რომ ისინი გამოიყენება მარჯვნიდან მარცხნივ. მაშასადამე, $(\rho\circ\sigma)(a)$ ნიშნავს, რომ დასაწყისში აიღება a და σ-ს საშუალებით გარდაიქმნება, ხოლო შემდეგ გარდაიქმნება ρ-ს საშუალებით. ალგებრაში, ზოგჯერ, ეს ჩაიწერება $a\sigma\rho$-ს სახით. სხვა მათემატიკური წიგნების წაკითხვის ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ მიმართებების ჩაწერის როგორი წესია მიღებული ამ წიგნში.

მ ა გ ა ლ ი თ ი 6.1. ვთქვათ, ნატურალურ რიცხვთა $\mathbb{N}$ სიმრავლეზე განსაზღვრულია σ და ρ ბინარული მიმართებები:

$$\sigma = \big\{(x,y):\ x,y\in\mathbb{N},\ y=x+1\big\},$$
$$\rho = \big\{(x,y):\ x,y\in\mathbb{N},\ x=y^2\big\},$$

მაშინ

$$\begin{aligned} D_\sigma &= \{x:\ x,x+1\in\mathbb{N}\} = \mathbb{N},\\ D_\rho &= \{x^2 : x\in\mathbb{N}\},\\ D_{\rho\circ\sigma} &= \sigma^{-1}D_\rho = \big\{x^2-1 : x, x^2-1\in\mathbb{N}\big\} = \{3,8,15,24,35,\ldots\}. \end{aligned}$$

ვთქვათ, A სიმრავლეზე განსაზღვრულია σ მიმართება, შეიძლება ავაგოთ შედგენილი $\sigma\circ\sigma$ მიმართება. მაგალითად, თუ

$$\begin{aligned} \sigma &= \big\{(x,y): x,y\in\mathbb{N},\ y=x+1\big\},\\ \sigma\circ\sigma &= \big\{(x,y): x,y\in\mathbb{N},\ y=x+2\big\},\\ \rho &= \big\{(x,y): x,y\in\mathbb{N},\ x=y^2\big\},\\ \rho\circ\rho &= \big\{(x,y): x,y\in\mathbb{N},\ x=y^4\big\}. \end{aligned}$$

ეს მიმართებები შეიძლება ჩაიწეროს σ^2 და ρ^2 სახით (საზოგადოდ, ეს აღნიშვნა სიმრავლისთვის მთლად კანონიერი არ არის, თუმცა, შეგვიძლია ადვილად დავამკვიდროთ, რადგან, თუ $(x,y)\in\sigma\circ\sigma$, მაშინ $((x,z),(z,y))\in\sigma\times\sigma$ რაიმე z-თვის. ამ დროს არავითარი გაუგებრობა არ წარმოიქმნება.

თუ გამოვიყენებთ ამ აღნიშვნებს, შევძლებთ ნებისმიერი $n\in\mathbb{N}$-თვის განვსაზღვროთ σ^n შემდეგნაირად:

$$\sigma^n = \Big\{(x,y):\ x\sigma z \text{ და } z\sigma^{n-1}y \text{ რომელიმე } z\text{-თვის}\Big\}.$$

წინა მაგალითზე

$$\begin{aligned} \sigma^n &= \big\{(x,y): x,y\in\mathbb{N},\ y=x+n\big\},\\ \rho^n &= \big\{(x,y): x,y\in\mathbb{N},\ x=y^{2^n}\big\}. \end{aligned}$$

საინტერესოა, ამ შემთხვევაში, რამდენად მისაღებია ანალოგია გამრავლებასთან. ვთქვათ, A არის სიმრავლე, ხოლო R – მიმართება მასზე. $J_A\circ R$, R და $R\circ J_A$ ეკვივალენტურია. ამიტომ J_A არის A-ზე განსაზღვრული იგივური მიმართება, რომელსაც 1-ის ანალოგიური თვისება აქვს, ე. ი. ნატურალურია გამრავლების ოპერაციის დროს. შევნიშნოთ, რომ $R^{-1}\circ R = J_A = R\circ R^{-1}$ ტოლობის

დაწერა, საზოგადოდ, ყოველთვის არ შეიძლება. ამისთვის საჭიროა დამატებითი პირობების მოთხოვნა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 6.1.

1. ვთქვათ, R და S მიმართებები განსაზღვრული მთელ ხალხთა P სიმრავლეზე:

$$R = \{(x,y):\ x,y \in P \text{ და } x \text{ არის } y\text{-ის მამა}\},$$
$$S = \{(x,y):\ x,y \in P \text{ და } x \text{ არის } y\text{-ის ქალიშვილი}\}.$$

აღწერეთ შემდეგი მიმართებები: ა) R^2; ბ) S^2; გ) $R \circ S$; დ) $S \circ R$; ე) $S \circ R^{-1}$; ვ) $R^{-1} \circ S$; ზ) $R^{-1} \circ S^{-1}$; თ) $S^{-1} \circ R$, ი) $S^{-1} \circ S^{-1}$, კ) $S^{-1} \circ R^{-1}$.

2. $\mathbb{Z}$ მთელ რიცხვთა სიმრავლეზე მოცემულია ბინარული მიმართებები, განსაზღვრული შემდეგნაირად:

$$\sigma = \{(x,y):\ x,y \in \mathbb{Z} \text{ და } y = 2x\},$$
$$\rho = \{(x,y):\ x,y \in \mathbb{Z} \text{ და } x = 2y+1\}.$$

აღწერეთ შემდეგი მიმართებები (თუ არსებობს) ა) $\sigma \circ \rho$; ბ) $\rho \circ \sigma$; გ) $\sigma \circ \rho^{-1}$; დ) $\sigma^{-1} \circ \rho$; ე) $\rho^{-1} \circ \sigma^{-1}$; ვ) ρ^2; ზ) σ^2.

§ 7. მიმართებების ჩაკეტვა

ჩაკეტვის ცნება წარმოადგენს ფუნდამენტურ მათემატიკურ ცნებას და გამოიყენება მათემატიკის უმრავლეს დარგში. ამ ცნების საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ავიღოთ x_0 ობიექტი და p პროცესი, რომელიც წარმოქმნის სიმრავლეს და განსაზღვრავს $x_1, x_2, \ldots, x_n, \ldots$ მიმდევრობას, სადაც

$$\begin{aligned} & x_1 \in p(x_0) \\ & x_2 \in p(x_1) \\ & \ldots\ldots\ldots\ldots \\ & x_n \in p(x_{n-1}) \\ & \ldots\ldots\ldots\ldots\ldots \end{aligned}$$

სიმრავლე, რომელიც შეიცავს ყველა მიმდევრობის ყველა ელემენტს, რომელიც შეიძლება გამოყვანილი იყოს p პროცესის საშუალებით, დაწყებული x_0-დან, ეწოდება p **პროცესის ჩაკეტვა** x_0-ის მიმართ. ამიტომ პროცესის შედეგი შედის $p^n(x_0)$-ში რომელიღაც n-თვის. მაგრამ ჩვენ არ ვიცით წინასწარ n-ის მნიშვნელობა. უფრო მეტიც, თუ ავიღებთ ნებისმიერ y ელემენტს ამ ჩაკეტვიდან და შევასრულებთ p პროცესს y-დან დაწყებული, არაფერს ახალს არ მივიღებთ. შედეგს უკვე თვით ჩაკეტვა შეიცავს. სიმრავლე არ შეიძლება გაფართოვდეს ასეთი გზით (იგი ჩაკეტილია).

მ ა გ ა ლ ი თ ი 7.1. ავიღოთ s კვადრატი, რომელიც მონიშნულია ისე, როგორც 7.1(ა) ნახაზზე ნაჩვენები და განვსაზღვროთ r პროცესი შემდეგნაირად:

S-ის მოცემული მდებარეობიდან r პროცესი წარმოქმნის ყველა მდებარეობის სიმრავლეს, რომელიც მიიღება საათის ისრის მიმართულებით მართი კუთხით მობრუნების შედეგად.



ნახ. 7.1

ამგვარად, $r(s)$ გვაძლევს სურ. 7.1(ბ)-ზე გამოსახულ კონფიგურაციას. r-ის ოთხჯერ გამოყენების შედეგად ჩვენ დავუბრუნდებით საწყის მდგომარეობას. მაშასადამე, ჩაკეტვა მოცემულ შემთხვევაში არის ოთხი პოზიციის სიმრავლე (იხ. ნახ. 7.2).



ნახ. 7.2

ახლა განვიხილოთ რა მოხდება, თუ პროცესს განვსაზღვრავთ მიმართებების საშუალებით (ეს ყოველთვისაა შესაძლებელი, იმიტომ რომ შესაფერისი მიმართება შეგვიძლია განვსაზღვროთ $\{(x, y) :\ y \in p(x),$ სადაც p შესასწავლი პროცესია$\}$ სიმრავლეების საშუალებით. ჩაკეტვის ასაგებად საკმარისია A მიმართებას ჰქონდეს $A, A^2, \ldots, A^n, \ldots$ შედგენილი მიმართებები, რომლებიც შემდეგ კომბინირდება ჩვეულებრივი თეორიულ-სიმრავლური გზით.

განსაზღვრება. სიმრავლეზე განსაზღვრული A მიმართების ტრანზიტული ჩაკეტვა (ან უბრალოდ ჩაკეტვა) ეწოდება უსასრულო გაერთიანებას

$$\bigcup_{n=1}^{\infty} A^n = A \cup A^2 \cup A^3 \cup \cdots .$$

A მიმართების ტრანზიტული ჩაკეტვა აღინიშნება A^+ სიმბოლოთი.

მაგალითი 7.2.

1. ვთქვათ, ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრულია R მიმართება $R=\{(x,y):\ y=x+1\}$ ტოლობით, მაშინ $R^+=\{(x,y):x<y\}$.

2. ვთქვათ, რაციონალურ რიცხვთა $\mathbb{Q}$ სიმრავლეზე განსაზღვრულია $\sigma = \{(x,y):\ x<y\}$ მიმართება, მაშინ $\sigma^+=\sigma$.

3. ρ მიმართება განსაზღვრულია $\mathbb{Q}$-ზე:

$$\rho=\{(x,y):\ x\cdot y=1\},$$

მაშინ

$$\rho^+=\{(x,x):\ x\neq 0\}\cup\rho.$$

4. ვთქვათ L არის ერთ ქალაქში მეტროს სადგურთა სიმრავლე, ხოლო a, b და c მომდევნო სადგურებია. თუ $\mathcal{N}$ მიმართება L სიმრავლეზე განსაზღვრულია, როგორც:

$$\mathcal{N}=\{(x,y):\ x \text{ არის } y\text{-ის მომდევნო სადგური}\},$$

მაშინ $(a,b),(b,c)\in\mathcal{N}$, $(a,a),(b,b),(c,c),(a,c)\in\mathcal{N}^2$. მაშასადამე,

$$\mathcal{N}^+=U_L=L\times L.$$

5. მთელ რიცხვთა $\mathbb{Z}$ სიმრავლეზე მოცემულია მიმართება

$$\tau=\{(x,y):\ x,y\in\mathbb{Z},\ y=x+2\},$$

მაშინ

$$\tau^+=(\mathbb{Z}^{(1)}\times\mathbb{Z}^{(1)})\cup(\mathbb{Z}^{(2)}\times\mathbb{Z}^{(2)})\setminus\{(x,x):\ x\in\mathbb{Z}\},$$

სადაც $\mathbb{Z}^{(1)}$-ით არის აღნიშნული კენტ რიცხვთა სიმრავლე, $\mathbb{Z}^{(2)}$-ით – ლუწ რიცხვთა სიმრავლე.

ამ მაგალითებიდან ადვილად დავინახავთ, რომ მიმართების ჩაკეტვა, საზოგადოდ, არ არის რეფლექსური. მაგრამ, ზოგჯერ საჭიროა გავხადოთ რეფლექსური. ეს ადვილად შეიძლება გავაკეთოთ. შემოვიღოთ დაშვება, რომ X სიმრავლეზე იგივური მიმართება $J_X=\{(x,x):\ x\in X\}$ არის ამ სიმრავლეზე მოცემული ნებისმიერი A მიმართების ნულოვან ხარისხი.

განსაზღვრება. A მიმართების რეფლექსური ჩაკეტვა A^* ეწოდება სიმრავლეს:

$$A^*=A^0\cup A\cup A^2\cup\cdots\cup A^n\cup\cdots=\bigcup_{n=0}^{\infty}A^n.$$

ამრიგად, მიმართებების ტრანზიტული და რეფლექსური ჩაკეტვები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი თანაფარდობით:

$$A^*=A^+\cup J_A.$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 7.3. წინა მაგალითებში განსაზღვრული მიმართებების გამოყენებით მივიღებთ:

$$
\begin{aligned}
R^* &= \big\{(x,y):\ x \le y,\ x,y \in \mathbb{N}\big\},\\
\sigma^* &= \big\{(x,y):\ x \le y,\ x,y \in \mathbb{Q}\big\},\\
\rho^* &= \rho^+ \cup \{0,0\},\\
\mathcal{N}^* &= \mathcal{N}^+,\\
\tau^* &= (\mathbb{Z}^{(1)} \times \mathbb{Z}^{(1)}) \cup (\mathbb{Z}^{(2)} \times \mathbb{Z}^{(2)}).
\end{aligned}
$$

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 7.1.

1. გამოიყენეთ 6.1(1) სავარჯიშოში მოცემული R და S მიმართებები და აღწერეთ შემდეგი ჩაკეტვები: ა) R^+; ბ) S^+; გ) R^*; დ) S^*; ე) $(S \circ S^{-1})^+$; ვ) $(R^{-1} \circ R)^*$; ზ) $(S^2 \circ R^2)^+$.

2. 6.1(2) სავარჯიშოში მოცემული σ, ρ მიმართებებისათვის აღწერეთ ჩაკეტვები: ა) σ^+; ბ) σ^*; გ) $(\rho^{-1})^+$; დ) $(\rho^{-1})^*$.

არითმეტიკის ძირითადი ცნებები

§ 1. “მცირე” სასრული არითმეტიკა

არითმეტიკა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სიმრავლე ორი ოპერაციით, რომლებიც შეკრებისა და გამრავლების მსგავსად მოქმედებს. ის შეიძლება შევისწავლოთ მრავალი ხერხით. რომ გავარკვიოთ არითმეტიკული სისტემის მოთხოვნები, მივიღოთ კონსტრქუციული მიახლოება, და მთელი რიცხვები $(0, 1, 2, \ldots)$ განვიხილოთ, როგორც სიმბოლოები შემდგომში განვიხილავთ მხოლოდ სასრულ არითმეტიკას, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ რიცხვთა სასრული სიმრავლე. ვიგულისხმოთ, რომ თუ $A \sim \mathbb{N}_m$, მაშინ მოგვეთხოვება m სხვადასხვა სიმბოლო. ამასთან, სიმბოლოების არავითარი კომბინაციის უფლება არ გვაქვს. თუ მხოლოდ ათობითი რიცხვები გამოიყენება, მაშინ $m \leq 10$. რადგან მოცემული ზომის ყველა სიმრავლე ბიექციურია, შეგვიძლია განვიხილოთ მხოლოდ $\mathbb{N}_m$ სიმრავლე.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ $\mathbb{N}_6$ სიმრავლე. ამისთვის აუცილებელია ავაგოთ შეკრების და გამრავლების ოპერაციათა ცხრილები.

შეკრების ოპერაცია შეიცავს ნეიტრალურ ელემენტს, რომელიც ჩვეულებრივ, 0 სიმბოლოთი აღინიშნება. მაგრამ $0 \notin \mathbb{N}_6$. ამიტომ გამოვიყენოთ $\mathbb{Z}_6 = \{0, 1, 2, 3, 4, 5\}$ სიმრავლე. ცხადია, $\mathbb{Z}_6 \sim \mathbb{N}_6$. ამასთან, არცერთი თვისება არ დაგვეკარგება. ამრიგად, თუ ვისარგებლებთ ნულოვანი ელემენტის თვისებით, გვექნება 1.1 ცხრილი.

ცხრილი 1.1.

+	0	1	2	3	4	5
0	0					
1	1					
2	2					
3	3					
4	4					
5	5					

რადგან შეკრების ოპერაცია კომუტაციურია, ცხრილი სიმეტრიული უნდა იყოს. თუ მოვითხოვთ, რომ ყოველი ელემენტისათვის არსებობდეს მოპირდაპირე ელემენტი, მაშინ ნებისმიერი ელემენტი თითოეულ სტრიქონსა და თითოეულ სვეტში უნდა შევიდეს ზუსტად ერთხელ. მართლაც, თუ

$$a + b = a + c,$$

მაშინ

$$\begin{aligned} -a + (a + b) &= -a + (a + c), \\ (-a + a) + b &= (-a + a) + c, \\ 0 + b &= 0 + c, \\ b &= c. \end{aligned}$$

შევნიშნოთ, რომ აქ გამოვიყენეთ, ასევე, შეკრების ოპერაციის ასოციაციურობა.

განვიხილოთ 1.2 ცხრილით განსაზღვრული შეკრების სამი ოპერაცია: A, B და C. A ოპერაცია არაკომუტაციურია, რადგან ხრილი არ არის სიმეტრიული, B ოპერაციაში დარღვეულია "შედეგის ერთადერთობის" კრიტერიუმები. C აკმაყოფილებს ყველა პირობას.

ცხრილი 1.2.

A	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	2	0	4	5	3
2	2	0	1	5	3	4
3	3	5	4	0	2	1
4	4	3	5	1	0	2
5	5	4	3	2	1	0

B	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	1	2	3	4	5
2	2	2	2	3	4	5
3	3	3	3	3	4	5
4	4	4	4	4	4	5
5	5	5	5	5	5	5

C	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	5	3	4	2	0
2	2	3	1	5	0	4
3	3	4	5	0	1	2
4	4	2	0	1	5	3
5	5	0	4	2	3	1

როგორ ავაგოთ ოპერაცია, რომელიც დააკმაყოფილებს ზემოთ განხილულ ყველა თვისებას? ყველაზე რთულად შესასრულებელია ასოციაციურობა. ქვემოთ შემოთავაზებულ პროცედურაში ასოციაციურობას გამოვიყენებთ, როგორც აგების ძირითად ნაბიჯს და, მაშასადამე, ეს თვისება შესრულდება ავტომატურად.

ნაბიჯი 1. შეკრების ოპერაციისთვის *0* არის ნულოვანი ელემენტი, ამიტომ ვღებულობთ 1.3 ცხრილს

ცხრილი 1.3.

+	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1					
2	2					
3	3					
4	4					
5	5					

ნაბიჯი 2. განვსაზღვროთ ცხრილის შემდეგი სტრიქონი, რომელიც აკმაყოფილებს "შედეგის ერთადერთობის" პირობას. ხაზი რომ გავუსვათ გამოყენებულ ტექნიკას, სპეციალურად ვირჩევთ შედეგს, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივისგან. ავიღოთ:

+	0	1	2	3	4	5
1	1	3	0	5	2	4

რადგან ოპერაცია კომუტაციური უნდა იყოს, შევავსოთ 1.4 ცხრილის შესაბამისი სვეტი

ცხრილი 1.4.

+	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	3	0	5	2	4
2	2	0				
3	3	5				
4	4	2				
5	5	4				

ნაბიჯი 3. შევავსოთ ცხრილის დანარჩენი უჯრები ასოციაციურობის გამოყენებით. თითოეულ დეტალს დავაკვირდეთ დაწვრილებით

$$2+2=2+(1+4)=2+1=0+4=4,$$
$$2+3=2+(1+1)=(2+1)+1=0+1=1,$$
$$2+4=2+(1+5)=(2+1)+5=0+5=5,$$
$$2+5=2+(1+3)=(2+1)+3=0+3=3.$$

აქ გამოვიყენეთ $2+1=0$ და $0+x=x$ თანაფარდობები. შემდეგ

$$3+3=3+(1+1)=(3+1)+1=5+1=4,$$
$$3+4=(1+1)+4=1+(1+4)=1+2=0,$$
$$3+5=(1+1)+5=1+(1+5)=1+4=2$$

და ა. შ. ამგვარად, $(1+x)$-ის მნიშვნელობების საფიძველზე $+$ ოპერაციისთვის ვღებულობთ ცხრილს:

ცხრილი 1.5.

+	0	1	2	3	4	5
0	0					
1	1	3	0	5	2	4
2	2	0	4	1	5	3
3	3	5	1	4	0	2
4	4	2	5	0	3	1
5	5	4	3	2	1	0

გადავიდეთ გამრავლების ოპერაციაზე. გამრავლებისთვის ნეიტრალური ელემენტია ერთეულოვანი ელემენტი. შევთანხმდეთ, რომ ერთეულოვანი ელემენტი განსხვავდება 0-გან, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი x და y-თვის გვექნებოდა

$$x=0\cdot x=x\cdot 0,\quad y=0+y=y+0,$$

ამიტომ

$$x\cdot y=x\cdot(0+y)=(x\cdot 0)+(x\cdot y)=x+(x\cdot y),$$

ე. ი. x ნულოვანი ელემენტია: $x=0$ ეს არ არის სწორი, ამიტომ, 0 არ არის გამრავლებისთვის ნეიტრალური ელემენტი. ერთეულოვან ელემენტად ავიღოთ 1.

1.6 ცხრილის საფუძველზე შეგვიძლია ანალოგიურად განვსაზღვროთ გამრავლების ოპერაცია. ამასთან, ამ შემთხვევაში არ უნდა მოვითხოვოთ "შედეგის ერთადერთობის" კრიტერიუმის შესრულება. გამოვიყენოთ გამრავლების ოპერაციის დისტრიბუციულობა შეკრების მიმართ.

ცხრილი 1.6.

$\cdot$	0	1	2	3	4	5
0		0				
1	0	1	2	3	4	5
2		2				
3		3				
4		4				
5		5				

შევნიშნოთ, რომ $1+1=3$. ამიტომ დისტრიბუციულობის გამო მივიღებთ

$$\begin{aligned}
3\cdot 0 &= (1+1)\cdot 0 = 1\cdot 0 + 1\cdot 0 = 0+0 = 0,\\
3\cdot 2 &= (1+1)\cdot 2 = 1\cdot 2 + 1\cdot 2 = 2+2 = 4,\\
3\cdot 3 &= (1+1)\cdot 3 = 1\cdot 3 + 1\cdot 3 = 3+3 = 4,\\
3\cdot 4 &= (1+1)\cdot 4 = 1\cdot 4 + 1\cdot 4 = 4+4 = 3,\\
3\cdot 5 &= (1+1)\cdot 5 = 1\cdot 5 + 1\cdot 5 = 5+5 = 0.
\end{aligned}$$

ახლა შეიძლება ვისარგებლოთ $3+3=4$, $3+1=5$, $1+4=2$, $1+2=0$ თანაფარდობებით. თუ ისე ვიმოქმედებთ, როგორც წინათ, მივიღებთ შემდეგ ოპერაციას

ცხრილი 1.7.

$\cdot$	0	1	2	3	4	5
0	0	0	0	0	0	
1	0	1	2	3	4	5
2	0	2	1	4	3	5
3	0	3	4	4	3	0
4	0	4	3	3	4	0
5	0	5	5	0	0	5

მაშასადამე, ცხრილში სტრიქონის თითქმის ნებისმიერი შერჩევით დაწყებული და რიგი მარტივი შეზღუდვების დადებით მისაღები არითმეტიკული სისტემაა. ახლა საკმარისია დავადგინოთ, რომ მიღებული სისტემა არ ეწინააღმდეგება წინათ გამოთქმულ მოსაზრებებს. თუ ნორმალურ არითმეტიკაში $a+b=c$ და $c\in\mathbb{Z}_6$, მაშინ სასურველია ჩვენს არითმეტიკაშიც $(a+b)$-ს პასუხი იყოს c. მაშასადამე, მივედით არჩევნამდე

$+$	0	1	2	3	4	5
1	1	2	3	4	5	?

ელემენტი, რომელიც აკლია, უნდა იყოს 0, რადგან $6\notin\mathbb{Z}_6$ და 0 არის $\mathbb{Z}_6$-ის ერთადერთი ელემენტი, რომელიც არ არის ამ სტრიქონში. ასეთი შერჩევის შედეგად ვღებულობთ 1.8 ცხრილს. იგი განსაზღვრავს ე. წ. არითმეტიკას მოდულით

6. (ეს არითმეტიკა ზუსტად ისე მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივი მთელრიცხვებიანი არითმეტიკა, იმ გამონაკლისით, რომ ყველა მთელი რიცხვი შეცვლილია მათი 6-ზე გაყოფით მიღებული ნაშთით.)

ცხრილი 1.8.

+	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	2	3	4	5	0
2	2	3	4	5	0	1
3	3	4	5	0	1	2
4	4	5	0	1	2	3
5	5	0	1	2	3	4

·	0	1	2	3	4	5
0	0	0	0	0	0	0
1	0	1	2	3	4	5
2	0	2	4	0	2	4
3	0	3	0	3	0	3
4	0	4	2	0	4	2
5	0	5	4	3	2	1

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1.1.

1. $\mathbb{Z}_6$-თვის მიღებული "ბუნებრივი" არითმეტიკის მსგავსად ავაგოთ ანალოგიური არითმეტიკა $\mathbb{Z}_{16}$-თვის $\{0, 1, \ldots, 9, A, B, C, \ldots, F\}$ სიმბოლოების გამოყენებით.

2. ავაგოთ არითმეტიკა $\mathbb{Z}_6$-თვის, რომელიც შეესაბამება შემდეგ სტრიქონს:

+	0	1	2	3	4	5
2	2	3	4	0	5	1

3. $(1+3)$-ის განხილვით ვაჩვენოთ, რომ შემდეგ ცხრილს მივყავართ წინააღმდეგობამდე:

+	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	0	3	4	5	2

§ 2. "დიდი" სასრული არითმეტიკა

ჩვენ უკვე ავაგეთ არითმეტიკა $\mathbb{Z}_6$-თვის. გავაფართოვოთ ეს სისტემა. საილუსტრაციოდ განვიხილოთ დალაგებული სამეული $\mathbb{Z}_6$-დან, ანუ $\mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6$ სიმრავლის ელემენტები. თუ $\mathbb{Z}_6$ დალდაგებულია ჩვეულებრივი ხერხით, ე. ი. $0 < 1 < 2 < 3 < 4 < 5$, მაშინ $\mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6$-ზე განვსაზღვროთ დალაგება შემდეგი წესით:

$$(a, b, c) < (x, y, z), \text{ თუ } a < x,$$

ან

$$\text{თუ } a = x, \; b < y,$$

ან

$$\text{თუ } a = x, \; b = y, \; c < z.$$

ამ შემთხვევაში $\mathbb{Z}_6^3 = \mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6$-ის ელემენტები დალაგებული იქნება შემდეგნაირად

$$(0, 0, 0), (0, 0, 1), \ldots, (0, 0, 5)$$

$$\begin{array}{l}(0,1,0),(0,1,1),\dots,(0,1,5)\\ \dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\\ (0,5,0),\dots\dots\dots\dots,(0,5,5)\\ (1,0,0),\dots\dots\dots\dots,(1,0,5)\\ (5,5,0),(5,5,1),\dots,(5,5,5)\end{array}$$

ამრიგად, არსებობს $6^3 = 216$ სხვადასხვა სამეული. ზემოთ მოყვანილი $\mathbb{Z}_6^3$ ელემენტების დალაგებისას (0,0,5) უშუალოდ (0,1,0)-ის წინ არის, (0,1,5) უშუალოდ წინ უსწრებს (0,2,0)-ს და ა. შ. (0,5,5) უშუალოდ წინ უსწრებს (1,0,0)-ს. მაშასადამე, სასურველი იქნებოდა სრულდებოდეს

$$(0,0,5)+1=(0,1,0).$$

ამასთან, აქამდე არ იყო 1-ის წარმოდგენა $\mathbb{Z}_6^3$-ში. მიუხედავად იმისა, რომ ეს დალაგება ბუნებრივია, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ გამოვიყენოთ არცერთი ცნება, რომლის განსაზღვრებაც არ შემოგვიტანია. აღწერის გასაადვილებლად $\mathbb{Z}_6^3$ წარმოვადგინოთ, როგორც $A_2 \times A_1 \times A_0$ და განვიხილოთ (a_2, a_1, a_0)-ის და (b_2, b_1, b_0)-ის ჯამი. კომპონენტებად შეკრება გვაძლევს $(a_2+b_2, a_1+b_1, a_0+b_0)$, სადაც შეკრება ხდება $\mathbb{Z}_6$.

განვიხილოთ მაგალითი

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.1. განვიხილოთ ჯამი

$$(0,1,3)+(4,2,1)=(4,3,4),$$

რომელიც უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ მას ჩავწერთ შემდეგი სახით

$$\begin{array}{cc} + & \begin{array}{c}0,1,3\\ 4,2,1\end{array}\\ \hline = & 4,3,4\end{array}$$

თუმცა

$$\begin{array}{cc} + & \begin{array}{c}1,2,5\\ 2,2,1\end{array}\\ \hline = & 3,5,0\end{array} \qquad \begin{array}{ccc} + & \begin{array}{c}0,0,5\\ 0,0,1\end{array} & \begin{array}{c}\\ (=1?)\end{array}\\ \hline = & 0,0,0 & (=0?)\end{array}$$

შეკრების ოპერაციის შედეგად A_0 სიმრავლე გადადის თავის თავში. მაგრამ იმისათვის, რომ საკმაოდ დიდი რიცხვების ჯამს (ისეთს, როგორიც $5+1$-ია) შეეძლოს გამოვიდეს A_0-ის საზღვრებიდან, საჭიროა ვაწარმოოთ რაღაც მოქმედება A_1-ში და, ასევე, შესაძლებელია A_2-ში (ეს ნაჩვენებია 2.1 ცხრილში).

ცხრილი 2.1.

$+_s$	0	1	2	3	4	5
0	0	1	2	3	4	5
1	1	2	3	4	5	0
2	2	3	4	5	0	1
3	3	4	5	0	1	2
4	4	5	0	1	2	3
5	5	0	1	2	3	4

$+_c$	0	1	2	3	4	5
0	0	0	0	0	0	0
1	0	0	0	0	0	1
2	0	0	0	0	1	1
3	0	0	0	1	1	1
4	0	0	1	1	1	1
5	0	1	1	1	1	1

$+_s$-ით აღნიშნულია შეკრების ოპერაცია $\mathbb{Z}_6$-ში (ე. ი. ნაშთი, რომელიც მიიღება ჯამის 6-ზე გაყოფისას), ხოლო $+_c$ ცხრილში მოცემულია განაყოფი, რომელიც მიირება ჯამის 6-ზე გაყოფისას). ავიღოთ ნებისმიერი a და b რიცხვები $\mathbb{Z}_6$-დან. მაშინ მათი ჯამი ($\mathbb{Z}$-ში) იქნება

$$a + b = 6 \cdot (a +_c b) + (a +_s b).$$

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.1. $4 + 4 = 6 \cdot (4 +_c 4) + (4 +_s +4) = 6 \cdot 1 + 2 = 8$. თუ $0 \leq x \leq n - 1$ და $0 \leq x \leq n - 1$, ამიტომ

$$0 \leq x + y \leq 2n - 2 < 2n - 1 \ \ (n = 6 \ \ \mathbb{Z}_6 - \text{ში}).$$

თუ დავუბრუნდებით (a_2, a_1, a_0)-ისა და (b_2, b_1, b_0)-ის შეკრებას და პასუხს აღვნიშნავთ (d_2, d_1, d_0)-ით, მივიღებთ

$$\begin{aligned}
&d_0 = a_0 +_s b_0,\\
&x_0 = a_0 +_c b_0,\\
&d_1 = a_1 +_s b_1 +_s x_0,\\
&x_1 = \begin{cases} 1, & \text{თუ } \ a_1 +_c b_1 = 1\\ (a_1 +_s b_1) +_c x_0, & \text{თუ } \ a_1 +_c b_1 \neq 1 \end{cases}\\
&d_1 = (a_2 +_s b_2) +_s x_1,\\
&x_2 = \begin{cases} 1, & \text{თუ } \ a_2 +_c b_2 = 1\\ (a_2 +_s b_2) +_c x_1, & \text{თუ } \ a_2 +_c b_2 \neq 1 \end{cases}.
\end{aligned}$$

რადგან $0 \leq a_i + b_i < 2n - 1$ და $x_0 = 0$ ან $x_i = 1$, ამიტომ გადასატანი შედეგი $(a_i + b_i + x_{i-1})$-დან 1-ზე მეტი არასოდეს იქნება. იმ შემთხვევას, როცა $x_2 > 0$, მოგვიანებით განვიხილავთ.

შევნიშნოთ, რომ $\mathbb{Z}_6^3$-ის ნულოვანი ელემენტია (0,0,0), ხოლო ერთეულოვანი ელემენტი – (0,0,1).

ანალოგიურად განისაზღვრება გამრავლების ოპერაცია.

ცხრილი 2.2.

$\cdot_p$	0	1	2	3	4	5
0	0	0	0	0	0	0
1	0	1	2	3	4	5
2	0	2	4	0	2	4
3	0	3	0	3	0	3
4	0	4	2	0	4	2
5	0	5	4	3	2	1

$\cdot_c$	0	1	2	3	4	5
0	0	0	0	0	0	0
1	0	0	0	0	0	0
2	0	0	0	1	1	1
3	0	0	1	1	2	2
4	0	0	1	2	2	3
5	0	0	1	2	3	4

$\cdot_p$ ცხრილში მოცემულია ნაშთი, რომელიც მიიღება $\mathbb{Z}_6$-ის ელემენტების ნამრავლის 6-ზე გაყოფისას (ე. ი. $+_p$ არის $\mathbb{Z}_6$-ში განსაზღვრული ნამრავლის ოპერაცია), ხოლო $+_c$ ცხრილში მოცემულია განაყოფი, რომელიც მიიღება $\mathbb{Z}_6$-ის ელემენტების ნამრავლის 6-ზე გაყოფისას.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით მხოლოდ იმ სიმბოლოებს, რომლებსაც აქვს დადებითი რიცხვების სახე. ცხადია, $0, 1, 2, \ldots$ სიმბოლოებს მოვექცეთ "ბუნებრივად"

და, მაშასადამე, მათი ინტერპრეტაცია შეიძლება მოვახდინოთ, როგორც არაუარყოფითი რიცხვები. $\mathbb{Z}_6^3$-ზე განსაზღვრული არითმეტიკა მოქმედებს რიცხვებზე $0 = (0, 0, 0)$-დან $215 = (5, 5, 5)$-მდე, რომლებიც მიღებულია (0-დან 5-მდე) მიმდევრობიდან $\mathbb{Z}_6$-ში. თუ $\mathbb{Z}_6$-ის ნაცვლად ავიღებთ $\{-3, -2, -1, 0, 1, 2\}$ სიმრავლეს, მივიღებთ უარყოფით რიცხვებს, ეს სიმრავლე აღვნიშნოთ $\mathbb{Z}_6^-$-ით. განვიხილოთ $\mathbb{Z}_6^- \times \mathbb{Z}_6 \times \mathbb{Z}_6$ სიმრავლე. მაშინ შეგვიძლია ავაგოთ არითმეტიკა რიცხვებზე -108-დან 107-მდე. სინამდვილეში არითმეტიკა იგივეა, რაც $\mathbb{Z}_6^3$-ში, მხოლოდ A_2 სიმრავლის 3, 4 და 5 რიცხვები შესაბამისად იცვლება -3, -2 და -1-ით. ამიტომ, მაგალითად, $(-2, 4, 2)$ $\mathbb{Z}$-ში გამოითვლება, როგორც

$$(-2 \cdot 36) + (4 \cdot 6) + 2 = -46.$$

$\mathbb{Z}_6$-სა და $\mathbb{Z}_6^{-1}$ სისტემებს შორის ბიექცია განისაზღვრება შემდეგნაირად

$$\begin{aligned} 3 &\longmapsto -3 \\ 4 &\longmapsto -2 \\ 5 &\longmapsto -1 \\ x &\longmapsto x \ \text{ დანარჩენ შემთხვევებში.} \end{aligned}$$

გამოთვლები, რომლებიც შეიცავს შეკრებას და გამოკლებას. ახალ არითმეტიკაში საკმაოდ მარტივია და დამოკიდებულია ორ იგივეობაზე:

$$(5, 5, 5) + (0, 0, 1) = (0, 0, 0)$$

და

$$(a_2, a_1, a_0) + (b_2, b_1, b_0) = (5, 5, 5).$$

მათ ადგილი აქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$a_2 + b_2 = 5, \ \ a_1 + b_1 = 5, \ \ a_0 + b_0 = 5.$$

ამრიგად, იმისათვის, რომ გამოვთვალოთ (a_2, a_1, a_0) რიცხვის მოპირდაპირე რიცხვი (b_1, b_1, b_0), ჯერ უნდა ვიპოვოთ მოცემული რიცხვის **დამატება (5,5,5)-ზე** შემდეგ მივუმატოთ $1 = (0, 0, 1)$.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.3. ვიპოვოთ (3,4,1)-ის მოპირდაპირე რიცხვი.

$$\begin{array}{cr} & 3,\ 4,\ 1 \\ + & 2,\ 1,\ 4 \\ & 1 \\ \hline = & 0,\ 0,\ 0 \end{array} \qquad \text{(5-მდე დამატება)} \quad ,$$

ე. ი. (2,1,5) არის (3,4,1)-ის მოპირდაპირე:

$$\begin{array}{cr} & 3,\ 4,\ 1 \\ + & 2,\ 1,\ 5 \\ \hline = & 0,\ 0,\ 0 \end{array}$$

ე. ი. $-(3, 4, 1) = (2, 1, 5)$, ასევე $-(-3, 4, 1) = (2, 1, 5)$.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.4. გამოვთვალოთ $(1,3,4)-(2,1,5)$. ვიპოვოთ $-(2,1,5)$.

$$\begin{array}{cr} + & 2,\,1,\,5 \\ & 3,\,4,\,0 \\ & 1 \\ \hline = & 3,\,4,\,1 \end{array},$$

ე. ი. $-(2,1,5)=(3,4,1)$.

შემდეგ მივუმატოთ (1,3,4)-ს:

$$\begin{array}{cr} + & 1,\,3,\,4 \\ & 3,\,4,\,1 \\ \hline = & 5,\,1,\,5 \end{array}.$$

ასევე $(5.1.5)=(-1,1,5)$ $\mathbb{Z}_6^-$-ში.

შევამოწმოთ მიღებული შედეგი $\mathbb{Z}$-ში. გვაქვს: $(1,3,4)=1{\cdot}6^2{+}3{\cdot}6{+}4=58$, $(2,1,5)=2\cdot 6^2+1\cdot 6+5=83$, $(5,1,5)=(-1,1,5)=-6^2+6+5=-25$, $58-83=-25$.

საზოგადოდ, თუ გამოთვლები წარმოებს $\mathbb{N}_m$-ში ($\mathbb{Z}_m$), უნდა გამოვიყენოთ დამატება $(m-1)$-მდე და m-მდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . $\mathbb{Z}_m^n$-ის რიცხვის ჩაწერისას, ჩვეულებრივ, გამოიტოვება მძიმეები და ყველა ნული, რომელიც დგას პირველი არანულოვანი ციფრის მარცხნივ. მაშასადამე, (1,3,4) ჩაიწერება, როგორც 134; (0,0,6) როგორც 6, (0,0,0) როგორც 0.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 8.1. $\mathbb{Z}_m^- \times \mathbb{Z}_m^{n-1}$ აღვნიშნოთ, როგორც $\mathbb{Z}_m^{n-}$, სადაც

$$\mathbb{Z}_m^-=\Big\{-\frac{m}{2},-\frac{m}{2}+1,\dots,0,1,\dots,\frac{m}{2}-1\Big\},\ \text{თუ } m \text{ ლუწია}$$

და

$$\mathbb{Z}=\Big\{-\frac{m-1}{2},\dots,0,1,\dots,\frac{m-1}{2}\Big\},\ \text{თუ } m \text{ კენტია.}$$

გამოთვალეთ: ა) $10-7$; ბ) $(-8)+(-21)$ შემდეგ სისტემებში

$$\mathbb{Z}_7^{4-},\mathbb{Z}_{10}^{3-},\mathbb{Z}_5^{5-},\dots,\mathbb{Z}_{12}^{2-}.$$

(**შ ე ნ ი შ ვ ნ ა .** რიცხვები მაგალითში მოცემულია $\mathbb{Z}$-ზე. ამიტომ თავიდან უნდა გადავიყვანოთ შესაბამის სისტემაში, ხოლო შემდეგ გამოვთვალოთ).

§ 3. ორობითი არითმეტიკა

$\mathbb{Z}_m^n$ და $\mathbb{Z}_m^{n-}$ სიმრავლეებზე უკვე აგებული არითმეტიკიდან ადვილად შეგვიძლია გამოვყოთ ორობითი არითმეტიკის საფუძვლები. არსებობს ორი, ე. წ. ორობითი არითმეტიკა. პირველი ესაა ნიშნიანი და მოდულიანი ფორმა, რომელიც განსაზღვრულია $\{-,+\}\times' bZ_2^n$-ზე. ე. ი. $\mathbb{Z}_2^n$-ზე დამატებული ნიშნით, ნიშნის კოდირება, ჩვეულებრივ, ხდება ბინარული ფორმით: 0 "+"-თვის და 1 "−"-თვის. მეორე არითმეტიკა (დამატების ორობითი არითმეტიკა) არის $\mathbb{Z}_2^{n-}$,

$\{0, 1\}$ ელემენტებით ყველა პოზიციაში. ორობითი არითმეტიკის ეს სახე გამოიყენება კომპიუტერების უმრავლესობაში. ამიტომ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ $\mathbb{Z}_2^{n-}$-ს. მსჯელობა უფრო კონკრეტული რომ გავხადოთ, განვიხილოთ $\mathbb{Z}_2^{5-}$ სიმრავლე, იგი შეიცავს $2^5 = 32$ ელემენტს, რომლებიც მოთავსებულია -16-და და $+15$-ს შორის (-16 ამ სისტემაში წარმოდგება, როოგრც $(10000) = -2^4 + 0 \cdot 2^3 + 0 \cdot 2^2 + 0 \cdot 2^1 + 0 \cdot 2^0$, ხოლო 15, როგორც $(01111) = 0 \cdot 2^4 + 1 \cdot 2^3 + 1 \cdot 2^2 + 1 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0$). რიცხვი -1 წარმოდგება, როგორც $11111 : \ -2^4 + 1 \cdot 2^3 + 1 \cdot 2^2 + 1 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0$, რიცხვი 1 წარმოდგება, როგორც ვიცით, $00001 : \ 0 \cdot 2^4 + 0 \cdot 2^3 + 0 \cdot 2^2 + 0 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0$. ორობით ციფრს ბიტი ეწოდება. იმისათვის, რომ ვიპოვოთ რაიმე რიცხვთა მოპირდაპირე რიცხვი $\mathbb{Z}_2^5$-ში (ანუ დამატება 2-მდე), ჯერ უნდა ვიპოვოთ დამატება 11111-მდე. შემდეგ 1-ის მიმატებით მივიღებთ დამატებას 2-მდე.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.1. ვიპოვოთ – (01011)

$$\begin{array}{cr} & 0\,1\,0\,1\,1 \\ & 1\,0\,1\,0\,0 \qquad - \text{(დამატება 11111-მდე)} \\ + & 1 \\ \hline = & 1\,0\,1\,0\,1 \end{array},$$

(01001) aris $2^3 + 2^1 + 2^0 = 11$, xolo $10101 = -2^4 + 2^2 + 2^0 = -11$

$$\begin{array}{cr} & \text{-}(1\,0\,1\,1\,0) \\ & 0\,1\,0\,0\,1 \\ + & 1 \\ \hline = & 0\,1\,0\,1\,0 \end{array}$$

(10110 არის $-2^4 + 2^2 + 2^1 = -10$, ხოლო 01010 – $2^3 + 2^1 = 10$).

ცხადია, რიცხვთა შემოსაზღვრულობამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები, რომელთა აცილებას ვერ შევძლებთ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, როდის არის შესაძლებელი "შეცდომა". დამატების ფორმა გადავსების პირობის შემოწმებას გარკვეულად აადვილებს, მხოლოდ უფროსი ნიშნადი ბიტის გამოყენების გამო $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში არ რაიოს ბიტი 2^4 ნომრით). ეს ბიტი აღნიშნავს წარმოდგენილი რიცხვის ნიშანს და ეწოდება ნიშანის ბიტი ან ნიშნის თანრიგი. ვიდრე შევამოწმებდეთ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ნიშნის ბიტს, გავიხსენოთ, რომ $\mathbb{Z}_m^n$-ში მაქსიმალურ დადებით რიცხვზე 1-ის მიმატება გვაძლევს მაქსიმალურ უარყოფით რიცხვს (უდიდესი უარყოფითი რიცხვი არის ნულისაგან ყველაზე დაშორებული რიცხვი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიცხვები მეორედება ციკლურად. $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში გვაქვს 3.1 სურათზე გამოსახული სიტუაცია.



ნახ. 3.1

რა მოხდება, თუ შევკრებთ ორ x და y რიცხვს, სადაც $-a \leq x < a$ და $-a \leq y < a$ ($\mathbb{Z}_2^{5-}$-ში $a = 16$). $x + y$ ჯამი იქნება შემოსაზღვრული:

$$-2a \leq x + y \leq 2a - 2 < 2a - 1.$$

განვიხილოთ სამი შესაძლო შემთხვევა:

(I) თუ $-a \leq x < 0$ და $-a \leq y < 0$, მაშინ $-2a$;

(II) თუ $0 \leq x < a$ და $0 \leq y < a$ (ანუ $0 \leq x \leq a - 1$, $0 \leq y \leq a - 1$), მაშინ $0 \leq x + y \leq 2a - 2 < 2a - 1$;

(III) თუ $-a \leq x < 0$ და $0 \leq y < a$, მაშინ $-a \leq x + y < a$.

შევნიშნოთ, რომ (III) შემთხვევაში შედეგი არის მოთხოვნილ საზღვრებში და, მაშასადამე, ყოველთვის "სწორია". გავიხსენოთ, რომ თუ $z \in \mathbb{Z}$ და $-2a \leq z < -a$, მაშინ z რიცხვი სასრულ არითმეტიკაში წარმოდგება, როგორც $z' = z + 2a$, $0 \leq z' < a$. ანალოგიურად, თუ $a \leq z < 2a - 1$, მაშინ z წარმოიდგინება, როგორც $z'' = z - 2a$ და $-a \leq z'' < 0$ (ე. ი., შესაბამისად, $2a$-ს დამატებიდან გამოკლებით რიცხვი მოთავსდება მოთხოვნილ საზღვრებში). ამრიგად, პასუხი "არასწორი" იქნება თუ ის (I) შემთხვევაში დადებითია ან (II) შემთხვევაში უარყოფითი.

ეს დასკვნები რომ განვმარტოთ ნიშნის თანრიგის თვისებების ტერმინებში, განვიხილოთ ორი რიცხვის სხვადასხვა შესაძლებლობა:

ა) ორივე რიცხვი უარყოფითია;

ბ) ორივე რიცხვი დადებითია;

გ) რიცხვებს აქვს სხვადასხვა ნიშანი.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.2.

1. $$+\begin{array}{c c} & 1\,0\,1\,0\,1 \\ & 1\,1\,0\,1\,0 \\ \hline 1 & 0\,1\,1\,1\,1 \end{array}$$ $-11+(-6) = -17$ $\mathbb{Z}$–ში, $-17 < -16$, ამიტომ $-17 + 2 \cdot 16 = 15 = 01111$ $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში;

2. $$+\begin{array}{cccccc} & 1 & 1 & 1 & 0 & 0 \\ & 1 & 0 & 1 & 1 & 1 \\ \hline 1 & 0 & 0 & 0 & 1 & 1 \end{array}$$ $-4 + (-19) = -13$ ანუ 10011 $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში;

3. $$+\begin{array}{cccccc} & 1 & 1 & 1 & 0 & 1 \\ & 0 & 0 & 1 & 1 & 0 \\ \hline 1 & 0 & 0 & 0 & 1 & 1 \end{array}$$ $-3 + 6 = 3 < 16$ ანუ 00011 $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში;

4. $$+\begin{array}{c} 0\,0\,1\,0\,1 \\ 0\,0\,1\,1\,1 \\ \hline 0\,1\,1\,0\,0 \end{array}$$ $5 + 7 = 12 < 16$, 01100 $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში.

5. $$\begin{array}{r} 0\,1\,1\,0\,0 \\ +\quad 0\,1\,0\,1\,0 \\ \hline 1\,0\,1\,1\,0 \end{array}$$ $12 + 10 = 22 > 16$, იმისათვის, რომ მოთხოვნილ საზღვრებზე მოთავსდეს საჭიროა გამოვაკლოთ $2 \cdot 16$, $22 - 2 \cdot 16 = -10$, ანუ 10110 $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში.

ამ შემთხვევების გაანალიზებით ვხედავთ, რომ “გადავსება” (გადავსების შეცდომა) გვხვდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ხდება გადატანა თანრიგში ან გადატანა ნიშნიანი თანრიგიდან, მაგრამ არა ორივე ერთად.

ახლა დავუბრუნდეთ გამრავლებას და გაყოფას. განვიხილოთ გამრავლება. გავიხსენოთ, რომ $\mathbb{Z}$-ში (ათობით სისტემას) რიცხვის 10-ზე გამრავლება ხდება ყველა ციფრის ერთი პოზიციით მარცხნივ “გადაწევით” და ნულოვან პოზიციაში 0 ციფრის ჩაწერით. ზოგადად, $\mathbb{Z}_m^n$-ში m-ზე გამრავლება შეიძლება მოვახდინოთ მარცხნივ გადაწევით.

ამრიგად, $\mathbb{Z}_2^n$-ში 2-ის დადებით ხარისხზე გამრავლება ხდება თითოეული ციფრის მარცხნივ გადაწევით პოზიციათა შესაბამის რიცხვზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.3. გამოთვლებს ვატარებთ $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში.

1. $00011 \cdot 2 = 00110$, $00110 \cdot 2 = 01100$, ანუ $\mathbb{Z}$-ში $3 \cdot 2^2 = 12$;

2. $11110 \cdot 2 = 11100$, $11100 \cdot 2 = 1100$ ანუ $\mathbb{Z}$-ში $-1 \cdot 2 = -4$, $-4 \cdot 2 = -8$;

3. $00101 \cdot 2 = 01010$, $01010 \cdot 2 = 10100$, $10100 \cdot 2 = 01000$ ანუ $\mathbb{Z}$-ში $5 \cdot 2 = 10$, $10 \cdot 2 = 20$, $20 \cdot 2 = 40$, $40 - 2 \cdot 16 = 8$.

ნებისმიერ მთელ რიცხვზე გამრავლებისას გამოვიყენოთ შეკრების ოპერაციის მიმართ გამრავლების ოპერაციის დისტრიბუციულობის თვისება და მამრავლი წარმოვადგინოთ, როგორც 2-ის ხარისხის ჯამი.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.4.

1. გამოვთვალოთ $3 \cdot 5$, 5 წარმოვადგინოთ, როგორც $2^2 + 2^0$, მაშინ $3 \cdot 5 = 3 \cdot 2^2 + 3 \cdot 2^0$, რადგან 2-ის ხარისხებზე გამრავლება უკვე ვიცით როგორც ხდება:

$$\begin{array}{rl} & 0\,0\,0\,1\,1 \;\; - \; 3 \cdot 2^0 \\ + & 0\,1\,1\,0\,0 \;\; - 3 \cdot 2^2 \\ \hline & 0\,1\,1\,1\,1 \;\; - 15 \end{array}$$

2. გამოვთვალოთ $(-5) \cdot 3$, ამიტომ წარმოვადგინოთ: $3 = 2^1 + 2^0$,

$$\begin{array}{rl} & 1\,1\,0\,1\,1 \;\; - (-5) \\ + & 1\,0\,1\,1\,0 \;\; - (-5 \cdot 2) \\ \hline 1 & 1\,0\,0\,0\,1 \;\; \text{ანუ } 10001 - (\text{-}15). \end{array}$$

ზუსტად ასევე, როგორც გამრავლებას ვახდენდით “მარჯვნივ გადაწევით”, 2-ის დადებით ხარისხზე გაყოფა ხდება “მარჯვნივ გადაწევით”.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.5. $\mathbb{Z}_2^5$-ში გამოვთვალოთ

1. $\dfrac{12}{4} = 3$, გვაქვს:

$$\begin{array}{lll} 0\,1\,1\,0\,0 & & (12) \\ 0\,0\,0\,1\,1 & 0\,0 & \left(3 = \dfrac{12}{4}\right) \end{array}$$ – ორი პოზიციით მარჯვნივ გადაიწია;

2. $\dfrac{(-6)}{2}$, $\begin{array}{lll} 1\,1\,0\,1\,0 & & \text{(-6)} \\ 0\,1\,1\,0\,1 & 0\,13 & \left(13 \neq \dfrac{(-6)}{2}\right) \end{array}$;

3. $\dfrac{7}{4}$, $\begin{array}{lll} 0\,0\,1\,1\,1 & & (7) \\ 0\,0\,0\,0\,1 & 1\,1 & \left(1 \approx \dfrac{7}{4}\right) \end{array}$.

ერთ პოზიციაზე მარჯვნივ გადაწევა ავტომატურად იწვევს ნებისმიერი უარყოფითი რიცხვის დადებითად გადაწევას $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში. მარჯვნივ გადაწევა -16-ს გადაიყვანს $+8$-ში. ეს რომ გამოვასწოროთ საჭიროა, შედეგს გამოვაკლოთ 16, რაც მოგვცემს -8-ს (ე. ი. $-\frac{16}{2}$). იგივე შეიძლება მივიღოთ, თუ ნიშნიშ თანრიგად 0-ის ნაცვლად 1-ს დავწერთ. ამრიგად, $\frac{(-6)}{2}$ მივყავართ $11101 = -3$-მდე. მოხდება უკანასკნელი დაკარგული ბიტის რიცხვზე მიმატებით. ეს შეესაბამება დამრგვალების ჩვეულებრივ არითმეტიკულ წესს, რადგან ნაშთის (ანუ დაგარგული ციფრების) პირველ ბიტში 1 წარმოადგენს 0,5-ს. ამგვარი დამრგვალებით მივიღებთ $\frac{7}{4} \approx 2$ (რაც უფრო ახლოს არის რიცხვის ზუსტ მნიშვნელობასთან).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3.1.

1. $\mathbb{Z}_2^{n-}$-ის რომელიმე მოპირდაპირე რიცხვის (2-მდე დამატების) მოძებნის სწრაფი ხერხი მდგომარეობს შემდეგში: მარჯვენა ბოლოდან დაწყებული ყველა ნულიდა პირველი შემხვედრი ერთიანი გადაგვაქვს უცვლელად, ხოლო ყველა დანარჩენი ბიტი იცვლება. აჩვენეთ, რომ უმ რავლეს შემთხვევაში ეს ხერხი გამოსაყენებელია და განიხილეთ შემთხვევა, როცა ეს არ მოქმედებს.

2. ვთქვათ, $\mathbb{Z}_2^{5-}$-ში წარმოებს შემდეგი გამოთვლები. იკრიბება ორი x და y რიცხვი (მათი ჯამი აღვნიშნოთ z-ით). თუ z-ს გამოვაკლებთ y-ს, მივიღებთ რაღაც c შედეგს, ხოლო, თუ z-ს გამოვაკლებთ c-ს, მაშინ მივიღებთ რაღაც d რიცხვს. რა შეილება ითქვას c და d რიცხვებზე? როგორც განსხვავდება შედეგები, თუ გამოთვლები წარმოებს $\mathbb{Z}_2^{n-}$-ში?

§ 4. ლოგიკური არითმეტიკა

ბულის არითმეტიკა მოქმედებს $\mathbb{Z}_2$ და $\mathbb{Z}_2^n$ სიმრავლეებზე და, მაშასადამე, შეიცავს მხოლოდ 0 და 1 რიცხვებს. იმისათვის, რომ უკეთ გავერკვიოთ, დავიწყოთ ლოგიკური არითმეტიკის "შედარებით დიდ" $\mathbb{Z}_5$ სიმრავლეზე განხილვით.

ავიღოთ $\mathbb{Z}_5 = \{01, 2, 3, 4, 5\}$ სიმრავლე და $\vee$ და $\wedge$ ოპერაციები, რომლებიც განსაზღვრულია 4.1 ცხრილში.

თუ $\mathbb{Z}_5$-ს დავალაგებთ ბუნებრივი დალაგებით, დავინახავთ, რომ

$$a \vee b = \max\{a, b\},$$
$$a \wedge b = \min\{a, b\}.$$

ცხრილი 4.1.

$\vee$	0	1	2	3	4
0	0	1	2	3	4
1	1	1	2	3	4
2	2	2	2	3	4
3	2	3	3	3	4
4	4	4	4	4	4

$\wedge$	0	1	2	3	4
0	0	0	0	0	0
1	0	1	1	1	1
2	0	1	2	2	2
3	0	1	2	3	3
4	0	1	2	3	4

.

ორივე ოპერაცია კომუტაციურია და ასოციაციურია. $\vee$-თვის ნეიტრალური ელემენტია 0 $(0 \vee x = x)$, ხოლო $\wedge$-თვის – 4-იანი $(4 \wedge x = x)$. ანალოგიურად შეგვიძლია განვიხილოთ უფრო ზოგადი $\mathbb{Z}_m$ სიმრავლე; ბუნებრივად დალაგებული და მასზე განვსაზღვროთ აღნიშნული $\vee$ და $\wedge$ ოპერაციები. ვაჩვენოთ, რომ $\wedge$ ოპერაცია დისტრიბუციულია $\vee$-ის მიმართ და, ასევე, $\vee$ ოპერაცია დისტრიბუციულია $\wedge$-ის მიმართ. ავიღოთ $\mathbb{Z}_m$ სიმრავლის ნებისმიერი სამი a, b და c ელემენტი და განვიხილოთ ექვსი შესაძლო შემთხვევა:

(I) $a \leq b \leq c$;

(II) $a \leq c \leq b$;

(III) $b \leq a \leq c$;

(IV) $b \leq c \leq a$;

(V) $c \leq a \leq b$;

(VI) $c \leq b \leq a$.

შევნიშნოთ, რომ $\leq$ დალაგება შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირადაც:

$a \leq b$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $v \vee b = b$. შევამოწმოთ თითოეული შემთხვევისთვის, სრულდება თუ არა დისტრიბუციულობის პირობა:

$$a \wedge (b \vee c) = (a \wedge b) \vee (a \wedge c).$$

(I) $a \wedge (b \vee c) = a \wedge c = a$, $(a \wedge b) \vee (a \wedge c) = a \vee a = a$;

(II) $a \wedge (b \vee c) = a \wedge \; = a$, $(a \wedge b) \vee (a \wedge c) = a \vee a = a$;

(III) $a \wedge (b \vee c) = a \wedge c = a$, $(a \wedge b) \vee (a \vee c) = b \vee a = a$;

(IV) $a \wedge (b \vee c) = a \wedge c = c$, $(a \wedge b) \vee (a \wedge c) = b \vee c = c$;

(V) $a \wedge (b \vee c) = a \wedge b = a$, $(a \wedge b) \vee (a \wedge c) = a \vee c = a$;

(VI) $a \wedge (b \vee c) = a \wedge b = b$, $(a \wedge b) \vee (a \wedge c) = b \vee c = b$.

ამრიგად, დისტრიბუციულობის პირობის გამომსახველი ტოლობის მარჯვენა და მარცხენა ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა. ამით ნაჩვენებია, რომ $\wedge$ ოპერაცია დისტრიბუციულია $\vee$-ის მიმართ.

ანალოგიურად შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ $\vee$ ოპერაცია დისტრიბუციულია $\wedge$-ის მიმართ:

$$a \vee (b \wedge c) = (a \vee b) \wedge (a \vee c).$$

დავუბრუნდეთ 4.1 ცხრილს, რომელიც განსაზღვრავს $\vee$ და $\wedge$ ოპერაციებს. ცხრილში ერთნაირი მნიშვნელობების მქონე ელემენტები ნეიტრალური ელემენტების მიმართ განლაგებულია ისე, როგორც 4.1 ნახაზზეა ნაჩვენები.



ნახ. 4.1

ამ სურათზე კარგად ჩანს, რომ ეს ოპერაციები ერთმანეთის სიმეტრიულია, რაც საშუალებას გვაძლევს რაიმე ტოლობაში ერთი ოპერაცია შევცვალოთ მეორეთი. ეს არის **ორადობის პრინციპი**.

განვიხილოთ $\mathbb{Z}_2$ სიმრავლეზე განსაზღვრული $\wedge$ და $\vee$ ოპერაციები:

$$\begin{array}{c|cc} \vee & 0 & 1 \\ \hline 0 & 0 & 1 \\ 1 & 1 & 1 \end{array}, \qquad \begin{array}{c|cc} \wedge & 0 & 1 \\ \hline 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 \end{array}.$$

$\mathbb{Z}_2$-ში, ჩვეულებრივ, $\vee$ ოპერაციის ინტერპრეტირება ხდება, როგორც "ან", ხოლო $\wedge$ ოპერაციის, როგორც "და". 0 არის ნეიტრალური ელემენტი "ან"-ის მიმართ, ხოლო 1 – "და"-ს მიმართ. ეს შედეგები შეიძლება განვავრცოთ უფრო მაღალ განზომილებებზე. მაგალითად, $\mathbb{Z}_2^n$-ზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4.1.

$$\begin{array}{cc} \wedge & \begin{array}{c} 0\,1\,1\,1\,0\,1\,0\,0\,1 \\ 1\,1\,0\,1\,0\,0\,1\,0\,1 \end{array} \\ \hline & 0\,1\,0\,1\,0\,0\,0\,0\,1 \end{array},$$

$$\begin{array}{cc} \vee & \begin{array}{c} 0\,1\,1\,1\,0\,1\,0\,0\,1 \\ 1\,1\,0\,1\,0\,0\,1\,0\,1 \end{array} \\ \hline & 1\,1\,1\,1\,0\,1\,1\,0\,1 \end{array}.$$

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 4.2. $\mathbb{Z}_n$ სიმრავლეზე $\wedge$ და $\vee$ ოპერაციები განვსაზღვროთ, როგორც მინიმუმი და მაქსიმუმი:

$$a \vee b = \max\{a, b\} \text{ და } a \wedge b = \min\{a, b\}.$$

აჩვენეთ, რომ სრულდება დისტრიბუციულობის პირობა:

$$a \vee (b \wedge c) = (a \vee b) \wedge (a \vee c).$$

გრაფთა თეორია (საწყისი ცნებები)

§ 1. საწყისი ცნებები

ვთქვათ, V სასრულ ისიმრავლეა. შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$I_V = \big\{(v,v):\ v \in V\big\}, \quad V_-^2 = V^2 \setminus I_V = \big\{(v_1, v_)\ :\ v_1 \neq v_2\big\}.$$

V_-^2 სიმრავლეზე განვსაზღვროთ მიმართება შემდეგნაირად:

$$(v_1, v_2) \sim (w_1, w_2), \ \text{ თუ } \ (v_1, v_2) = (w_1, w_2) \ \text{ ან } \ (v_1, v_2) \sim (w_2, w_1).$$

$\sim$ მიმართების მნიშვნელოვანი თვისება ჩამოყალიბებულია შემდეგ წინადადებაში:

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . $\sim$ მიმართება ეკვივალენტობის მიმართებაა V_-^2 სიმრავლეზე.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . $\sim$ მიმართება არის:

ა) რეფლექსური: ნებისმიერი $(v_1, v_2) \in V_-^2$ წყვილისთვის $(v_1, v_2) \sim (v_1, v_2)$;

ბ) სიმეტრიული: თუ $(v_1, v_2) \sim (w_1, w_2)$, მაშინ $(w_1, w_2) \sim (v_1, v_2)$.

გ) ტრანზიტული: თუ $(v_1, v_2) \sim (w_1, w_2)$ და $(w_1, w_2) \sim (u_1, u_2)$, მაშინ $(v_1, v_2) \sim (u_1, u_2)$.

ამგვარად, განსაზღვრული ეკვივალენტობის კლასების სიმრავლე აღვნიშნოთ $V_-^2/\sim$ სიმბოლოთი. ეკვივალენტობის თითოეულიკლასი შეიცავს ზუსტად ორ ელემენტს, რადგან, თუ $(v_1, v_2) \in V_-^2$, მაშინ $[(v_1, v_2)]$ არის ეკვივალენტობის კლასი, რომელიც შეიცავს (v_1, v_2) ელემენტს, მაშინ

$$[(v_1, v_2)] = \big[(v_1, v_2), (v_2, v_1)\big].$$

ახალ შემოვიტანოთ გრაფის ცნება.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . გრაფი ეწოდება $G = (V, E)$ წყვილს, სადაც V წვეროთა არაცარიელი სასრული სიმრავლეა, ხოლო E არის $V_-^2/\sim$ სიმრავლის ქვესიმრავლეა.

სხვა სიტყვებით შეიძლება ვთქვათ, რომ E სხვადასხვა წვეროთა არადალაგებულ წყვილთა სიმრავლეა.

E სიმრავლეს ეწოდება გრაფის წიბოთა სიმრავლე, $|V|$ აღნიშნავს G გრაფის წვეროთა რაოდენობას, ხოლო $|E|$ – წიბოთა რაოდენობას.

შემდეგი წინადადება სასრულ სიმრავლეზე განსაზღვრულ მიმართებებსა და გრაფებს შორის კავშირს გამოხატავს.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა .

ა) $G = (V, E)$ გრაფი V სიმრავლეზე განსაზღვრავს არარეფლექსურ სიმეტრიულ მიმართებას;

ბ) V სასრულ სიმრავლეზე მოცემული არარეფლექსური სიმეტრიული მიმართება განსაზღვრავს გრაფს.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ა) ვთქვათ, $G = (V, E)$ გრაფია. V სიმრავლეზე განვსაზღვროთ $R(E)$ მიმართება შემდეგნაირად: $v_1 R(E) v_2$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $[v_1, v_2] \in E$. $R(E)$ მიმართება არარეფლექსურია, რადგან $vR(E)v$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $[(v, v)] \in E$, მაგრამ $[(v, v)] \notin E$, რამდენადაც $(v, v) \notin V_-^2$. $R(E)$ მიმართება სიმეტრიულია, რადგან $v_1 R(E) v_2$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $[(v_1, v_2)] \in E$, მაგრამ

$$[(v_1, v_2)] = \{(v_1, v_2), (v_2, v_1)\} = [(v_2, v_1)].$$

მაშასადამე, $v_1 R(E) v_2$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $v_2 R(E) v_1$.

ბ) ვთქვათ, R არის V სიმრავლეზე განსაზღვრული არარეფლექსური, სიმეტრიული მიმართება.

R-ის არარეფლექსურობა ნიშნავს, რომ $(v, v) \notin R$ ნებისმიერი $v \in V$ ელემენტისთვის. ამიტომ $R \subset V_-^2$. სიმეტრიულობა ნიშნავს, რომ $v_1 R v_2$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $v_2 R v_1$.

თუ E სიმრავლეს განვსაზღვრავთ, როგორც $R/\sim$ ეკვივალენტობის კლასების სიმრავლეს, მაშინ $G(V, E)$ იქნება საძიებელი გრაფი.

გრაფები შეიძლება წარმოვადგინოთ ბულის ელემენტებიანი ($B = \{0, 1\}$) მატრიცების საშუალებით. გრაფების თვისებებიდან ბევრი შეიძლება განვსაზღვროთ მათი მატრიცული წარმოდგენებით.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . $G(V, E)$ გრაფის $\mathcal{A} \in \mathcal{M}(n, B)$ მოსაზღვრე მატრიცი, სადაც $n = |V|$, განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$a_{ij} = \begin{cases} 1, & \text{თუ } [v_1, v_2] \in E, \\ 0, & \text{თუ } [v_1, v_2] \notin E. \end{cases}$$

ამბობენ, რომ v_i და v_j წვეროები არის მოსაზღვრე, თუ $a_{ij} = 1$. ცხადია, რომ $a_{ii} = 0$ $(i = 1, 2, \ldots, n)$ და $\mathcal{A} = \mathcal{A}^T$, $\mathcal{A}$ სიმეტრიულია.

$G(V, E)$ გრაფი შეიძლება გამოვსახოთ R^2 სიბრტყეზე შემდეგნაირად: თითოეული $v \in V$ წვეროსთვის სიბრტყეზე აღვნიშნოთ წერტილი. ამასთან, თუ $[(v, w)] \in E$, მაშინ v და w წვეროები ხაზით შევაერთოთ.

განვიხილოთ მოცემული გრაფის გამოსახულება და მოსაზღვრეობის მატრიცა (ნახ. 1.1)

$$\mathcal{A} = \left[\begin{bmatrix} 0 & 1 & 1 \\ 1 & 0 & 1 \\ 1 & 1 & 0 \end{bmatrix} \oplus \right].$$



ნახ. 1.1

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.1.

1) ვთქვათ,

$$V=\{v_1,v_2,v_3\},\quad E=\big\{[v_1,v_2],[v_1,v_3],[v_2,v_3]\big\},$$
$$|V|=3,\quad |E|=3\,[\oplus]\,.$$

2) $V=\{v_1,v_2,v_3,v_4,v_5\}$,

$$E=\big\{[v_1,v_2],[v_1,v_5],[v_2,v_3],[v_2,v_4],[v_3,v_5],[v_3,v_4],[v_4,v_5]\big\},$$

$|V|=5$, $|E|=7$.

განვიხილოთ მოცემული გრაფის მომიჯნავეობის მატრიცა და გამოსახულება

$$\mathcal{A}=\begin{bmatrix}0&1&0&0&1\\1&0&1&1&0\\0&1&0&1&1\\0&1&1&0&1\\1&0&1&1&0\end{bmatrix}.$$



ნახ. 1.2

შევნიშნოთ, რომ გრაფები წარმოადგენს უფრო “ტოპოლოგიურ”, ვიდრე “გეომეტრიულ” ობიექტებს, ანუ გრაფები გამოხატავს უფრო წვეროებს შორის

მიმართებას, ვიდრე სივრცეში წვეროებისა და წიბოების განლაგებას. ამგვარად, გრაფი შეიძლება გამოვსახოთ უსასრულო რაოდენობის სხვადასხვა, მაგრა, "ეკვივალეტური" ხერხით. ამასთან, ნახაზზე ორი წიბოს გადაკვეთიდან არ გამომდინარეობს, რომ გადაკვეთის წერტილი არის წვერო. ცხადია, რომ მომიჯნავეობის მატრიცის ქვედა (ან ზედა) სამკუთხა ნაწილი საკმარისია იმისათვის, რომ გრაფი განისაზღვროს

$$\mathcal{A} = \begin{bmatrix} 0 & \dots & \dots & \dots \\ \dots & 0 & \dots & \dots \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ \dots & \dots & \dots & 0 \end{bmatrix}.$$

დიაგონალის ქვედა ნაწილი განსაზღვრავს G გრაფს.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვიტყვით, რომ $H = (V_1, E_1)$ გრაფი არის $G = (V, E)$ გრაფის **ქვეგრაფი**, თუ $V_1 \subseteq V$ და $E_1 \subseteq E$. თუ $V_1 = V$, მაშინ ვიტყვით, რომ H არის G გრაფის **остовной ქვეგრაფი**. თუ V_1 არის $G = (V, E)$ გრაფის წვეროთა არაცარიელი ქვესიმრავლე, მაშინ V_1 **წარმოქმნილი** (V_1, E_1) **ქვეგრაფი** განისაზღვრება შემდეგნაირად

$$[v_+, w] \in E_1 \Longleftrightarrow v, w \in V_1 \text{ და } [v, w] \in E.$$

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა .

ა) ვთქვათ, მოცემულია $G_1 = (V_1, E_1)$ და $G_2 = (V_2, E_2)$ გრაფები. ვიტყვით, რომ G_1 და G_2 ეკვივალენტურია, თუ არსებობს ისეთი $f : V_1 \to V_2$ ბიექცია, რომ

$$vR(E)w \Longrightarrow f(v)R(E_2)f(w).$$

ბ) ვთქვათ, $G = (V, E)$ ნებისმიერი გრაფია. განვსაზღვროთ

$$\delta : V \to \mathbb{N} \cup \{0\}$$

ასახვა შემდეგნაირად: $\delta(v)$ სიდიდე უდრის იმ წიბოთა რაოდენობას, რომელიც შეიცავს $v \in E$ წვეროს. $\delta(v)$-ს ვუწოდოთ v წვეროს ხარისხი.

შემდეგი წინადადება გამოხატავს ორ მარტივ, მაგრამ მნიშვნელოვან ფაქტს გრაფების თვისებების შესახებ.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა .

ა) $\sum\limits_{v \in V} \delta(v) = 2|E|$;

ბ) ნებისმიერ გრაფში კენტი ხარისხის წვეროთა რაოდენობა ლუწია.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ა) თითოეული წიბო ორჯერ შედის ჯამში, საიდანაც გამომდინარეობს მტკიცება.

ბ) ვთქვათ, $V_e \subseteq V$ ლუწი ხარისხის წვეროთა სიმრავლეა, ხოლო $V_0 \subseteq V$ – კენტი ხარისხის წვეროთა სიმრავლე. შევნიშნოთ, რომ

$$V = V_e \cup V_0 \text{ და } V_e \cap V_0 = \varnothing.$$

მაშასადამე,

$$\sum_{v\in V}\delta(v)=\sum_{v\in V_e}\delta(v)+\sum_{v\in V_0}\delta(v).$$

ვიცით, რომ $\sum\limits_{v\in V}\delta(v)=2|E|$, ე. ი. ლუწი რიცხვია, $\sum\limits_{v\in V_e}\delta(v)$ ჯამში თითოეული შესაკრები ლუწია, ამიტომ ჯამიც ლუწია: $\sum\limits_{v\in V_e}\delta(v)=2k$ (k მთელი რიცხვია). ამრიგად,

$$\sum_{v\in V_0}\delta(v)=2|E|-2k=2(|E|-k).$$

მაგრამ ამ უკანასკნელ ჯამში თითოეული $\delta(v)$ შესაკრები კენტია, ამიტომ $|V_0|$ უნდა იყოს ლუწი.

განსაზღვრება.

1. ვთქვათ, S_V და S_E ნიშნების სიმრავლეებია. $G=(V,E)$ გრაფის მონიშვნა ანუ ნიშნების განაწილება ეწოდება ფუნქციათა წყვილს:
$f: V\to S_V$ წვეროების ნიშნების განაწილებაა;
$g: E\to S_E$ წიბოების ნიშნების განაწილებაა.

2. ვთქვათ, $G_1=(V_1,E_1)$ გრაფი მონიშნულია f_1 და g_1 ფუნქციებით, ხოლო $G_2=(V_2,E_2)$ – f_2 და g_2 ფუნქციებით.

G_1 და G_2 გრაფებს ეწოდება ეკვივალენტურად ნიშანდებული (მონიშნული), თუ არსებობს ისეთი $h: V_1\to V_2$ ბიექცია, რომ

ა) G_1 და G_2 ეკვივალენტურია, როგორც არანიშანდებული (თუ არამონიშნული) გრაფები;

ბ) შესაბამის წვეროებს აქვს ერთი და იგივე ნიშანი:

$$f1(v)=f_2(h(v))\ \text{ ნებისმიერი } v\in V_1\text{-თვის;}$$

გ) შესაბამის წიბოებს აქვს ერთი და იგივე ნიშანი:

$$g_1([v,w])=g_2\big([h(v),h(w)]\big)\ \text{ ყოველი } v,w\in V_1\text{-თვის.}$$

იმ შემთხვევაში, როცა მონიშნულია მხოლოდ წვეორები, გვექნება:

$$\begin{cases} f: V\to S_V,\\ g=\mathrm{const}\,.\end{cases}$$

თუ მონიშნულია მხოლოდ წვეროები, მაშინ გვექნება

$$\begin{cases} f=\mathrm{const},\\ g: E\to S_E.\end{cases}$$

განვიხილოთ მაგალითები:

მაგალითი 1.2.

1) ვთქვათ,

$$V=\{v_1,v_2,v_3,v_4\},\quad E=\big\{[v_1,v_2],[v_2,v_3],[v_2,v_4]\big\},$$
$$f: V\to \text{საქართველოს ქალაქები},\quad g: E\to\mathbb{N},$$

$f(v_1)$ – თბილისი, $g([v_1, v_2])$=მანძილი თბილისსა და ხაშურს შორის,

$f(v_2)$ – ხაშური, $g([v_2, v_3])$=მანძილი ხაშურსა და ბორჯომს შორის,
$f(v_3)$ – ბორჯომი,

$f(v_4)$ – ქუთაისი $g([v_2, v_4])$=მანძილი ხაშურსა და ქუთაისს შორის.

ამ გრაფის გამოსახულება მოცემულია 1.3 ნახაზზე.



ნახ. 1.3

2) მოცემულია $G_1 = (V_1, E_1)$, სადაც

$$V_1 = \{v_1, v_2, v_3, v_4, v_5\},$$
$$E_1 = \big\{[v_1, v_2], [v_1, v_3], [v_3, v_5], [v_2, v_4], [v_4, v_5]\big\}.$$

$G_2 = (V_2, E_2)$, სადაც

$$V_2 = \{w_1, w_2, w_3, w_4, w_5\},$$
$$E_2 = \big\{[w_1, w_2], [w_1, w_3], [w_3, w_5], [w_2, w_4], [w_4, w_5]\big\}.$$

G_1 და G_2 გრაფები ეკვივალენტურად მონიშნულია.

განსაზღვრება.

ა) $G = (V, E)$ გრაფს ეწოდება **სრული**, თუ ნებისმიერი v_1, $v_2 \in V$ წვეროებისთვის გვაქვს $[v_1, v_2] \in E$. სრული გრაფი, რომელსაც აქვს n წვერო, აღინიშნება K_n სიმბოლოთი.

ბ) $G = (V, E)$ გრაფს ეწოდება **ორწილიანი**, თუ არსებობს ისეთი $V = \{V_1, V_2\}$ დაყოფა, რომ არცერთი ორი წვერო V_1, ასევე V_2-დან, არ არის მოსაზღვრე. ორწილიან გრაფს ეწოდება **სრული**, თუ ნებისმიერი $v_1 \in V_1$ და $v_2 \in V_2$ წყვილისთვის გვაქვს $[v_1, v_2] \in E$. თუ $|V_1| = m$ და $|V_2| = n$, მაშინ სრული ორწილიანი $G = (V, E)$ გრაფი აღინიშნება $K_{m,n}$ სიმბოლოთი.



ნახ. 1.4

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1.1.

1. გამოსახეთ ქვემოთ მოყვანილი მომიჯნავეობის მატრიცებით წარმოდგენილი გრაფები:

$$\mathcal{A}_1 = \begin{bmatrix} 0 & 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 & 0 \end{bmatrix}, \quad \mathcal{A}_2 = \begin{bmatrix} 0 & 1 & 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 & 1 & 0 \end{bmatrix}.$$

2. შეადგინეთ 1.5 ნახაზზე წარმოდგენილი გრაფების მომიჯნავეობის მატრიცები:



ნახ. 1.5

3. დახაზეთ 1.5(ა) ნახაზზე მოცემული გრაფის ქვეგრაფი, წარმოქმნილი $\{v_2, v_3, v_4, v_6\}$ წვეროებით.

4. ვთქვათ, $G = (V, E)$ არის გრაფი და $|V| = n$ როგორი შეიძლება იყოს $|E|$-ს მაქსიმალურად შესაძლო მნიშვნელობა.

5. რამდენი სხვადასხვა გრაფი არსებობს, რომლებსაც აქვს n წვერო.

6. გამოსახეთ K_3, K_4, K_5 გრაფები.

7. ააგეთ ორწილიანი გრაფის მაგალითი.

8. გამოსახეთ $K_{3,3}$ გრაფი.

9. რამდენი წიბო აქვს $K_{m,n}$ ორწილიან სრულ გრაფს.

§ 2. მარშრუტები, ციკლები და ბმულობა

გრაფების ზოგიერთი მნიშვნელოვანი თვისება გამომდინარეობს შემდეგი განსაზღვრებიდან.

განსაზღვრება.

ა) ვთქვათ, $G = (V, E)$ არის გრაფი. G გრაფში k სიგრძის **მარშრუტი** v წვეროდან w-ში ეწოდება წვეროების (არა აუცილებლად სხვადასხვა) ისეთ $\langle v_0, v_1, \ldots, v_k \rangle$ მიმდევრობას, სადაც $v_0 = v$, $v_k = w$, $[v_{i-1}, v_i] \in E$ ყოველი $i = 1, 2, \ldots, k$. მარშრუტს ეწოდება **ჩაკეტილი**, თუ $v_0 = v_k$. მარშრუტს ეწოდება **ჯაჭვი**, თუ მისი ყველა წვერო განსხვავებულია. ჩაკეტილ ჯაჭვს ეწოდება **ციკლი**. ციკლს ეწოდება მარტივი, თუ მხოლოდ $v_0 = v_k$, ხოლო ყველა დანარჩენი წვერო განსხვავებულია.

ბ) თუ არსებობს მარშრუტი v-დან w-ში, $v, w \in V$, მაშინ ამბობენ, რომ w მიღწევადია v-დან.

გ) გრაფს, რომელიც არ შეიცავს ცილებს, აციკლური ეწოდება.

განსაზღვრება.

ა) $G = (V, E)$ გრაფს ეწოდება **ბმული**, თუ მისი ნებისმიერი ორი განსხვავებული წვეროსთვის არსებობს ამ წვეროების შემაერთებელი მარშრუტი.

ბ) აციკლურ ბმულ გრაფს **ხე** ეწოდება.

გ) Остовным деревом ეწოდება $G = (V, E)$ გრაფის მთავარ ქვეგრაფს, რომელიც ხეს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოთვლები მომიჯნავეობის მატრიცებზე შეიცავს მნიშვნელოვანი ინფორმაციას გრაფის ბუნების შესახებ.

შევნიშნოთ, რომ ქვემოთ მოყვანილ თეორემას და მის შედეგებში მატრიცის $\mathcal{A}^k$ ხარისხი გამოითვლება $\mathcal{M}(n, \mathbb{Z})$-ში და არა $\mathcal{M}(n, \mathbb{B})$-ში, ამიტომ $\mathcal{A}^k$ მატრიცის ელემენტი შეიძლება 1-ზე მეტი რიცხვი იყოს.

თეორემა. ვთქვათ, $\mathcal{A}$ არის $G = (V, E)$ გრაფის მომიჯნავეობის მატრიცა და $|V| = n$. $\mathcal{A}^k$ მატრიცის c_{ij} ელემენტი უდრის v_i-დან v_j-მდე k სიგრძის მარშრუტების რიცხვს.

დამტკიცება. გამოვიყენოთ ინდუქცია k-ს მიმართ. როცა $k = 1$, 1 სიგრძის მარშრუტი არის ზუსტად G გრაფის წიბო. ამ შემთხვევაში თეორემის სამართლიანობა გამომდინარეობს $\mathcal{A}$ მატრიცის განსაზღვრებიდან. ვთქვათ,

$$\mathcal{A} = (a_{ij}), \quad \mathcal{A}^{k-1} = (b_{ij}), \quad \mathcal{A}^k = (c_{ij}),$$

მაშინ

$$\mathcal{A}^k = \mathcal{A}^{k-1} \cdot \mathcal{A} = (c_{ij}) = \sum_{l=1}^{n} b_{il} a_{lj}.$$

დავუშვათ, რომ თეორემა სამართლიანია $(k-1)$-თვის, ანუ b_{il} არის v_i-დან v_l-მდე $(k-1)$-სიგრძის მარშრუტების რიცხვი, ხოლო a_{lj}, განსაზღვრების თანახმად, არის v_l-დან v_j-მდე 1 სიგრძის მარშრუტების რიცხვი, მაშასადამე, $b_{il} \cdot a_{lj}$ ნამრავლი იქნება v_i-დან v_j-მდე k სიგრძის იმ მარშრუტების რაოდენობა, სადაც ბოლოს წინა წვეროა v_l. აქედან გამომდინარეობს, რომ $\sum\limits_{l=1}^{n} b_{il} a_{lj}$ იქნება v_i-დან v_j-მდე k სიგრძის ყველა შესაძლო მარშრუტის რაოდენობა. ამით თეორემა დამტკიცებულია.

შედეგი.

ა) $G = (V, E)$ გრაფში მარშრუტი v_i წვეროდან v_j-მდე $(i \neq j)$ არსებობს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა n რიგის კვადრატული

$$\mathcal{A} + \mathcal{A}^2 + \cdots + \mathcal{A}^{n-1}$$

მატრიცის (i, j)-ური ელემენტი არ უდრის ნულს.

ბ) თუ არ გამოვიყენებთ $i \neq j$ პირობას, მაშინ მოთხოვნილ მატრიცას ექნება $\mathcal{A} + \mathcal{A}^2 + \cdots + \mathcal{A}^n$ სახე.

დამტკიცება. ვთქვათ, $\langle v_i, v_1, \ldots, v_j \rangle$ არის მარშრუტი v_i წვეროდან v_j-მდე. ვთქვათ, მოცემულ მიმდევრობაში წვეროები არ მეორდება. მაშინ, რადგან $|V| = n$, მარშრუტი შეიცავს არაუმეტეს $n - 1$ წიბოს. თეორემის ძალით, $\mathcal{A} + \mathcal{A}^2 + \cdots + \mathcal{A}^{n-1}$ შესაკრებებს შორის არსებობს ერთი მატრიცა მაინც, რომლის (i, j)-ური ელემენტი არ უდრის 0-ს. ამით აუცილებელი პირობა დამტკიცებულია.

თუ მოცემულ მარშრუტში მეორდება წვეროები, მაშინ მას ექნება

$$\langle v_i, \ldots, \underbrace{v_r, \ldots, v_r}_{\text{ჩაკეტილი მარშრუტი}}, \ldots, v_j \rangle,$$

თუ ჩვენ ამოვაგდებთ ყველა ასეთ ჩაკეტილ მარშრუტს, მაშინ ამოცანა დაიყვანება წინა შემთხვევამდე.

ახლა პირიქით, ვთქვათ, $\mathcal{A} + \mathcal{A}^2 + \cdots + \mathcal{A}^{n-1}$ მატრიცის (i, j)-ური ელემენტი არ უდრის 0-ს. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა შესაკრები მატრიცების (i, j)-ური ელემენტებიდან ერთი მაინც განსხვავდება 0-გან. ეს უკვე ნიშნავს, რომ არსებობს მარშრუტი v_i-დან v_j-მდე.

ბ) თუ დასაშვებია $i = j$, მაშინ vi-დან v_j-ში მარშრუტის არსებობა ნიშნავს, რომ არსებობს წვეროთა $\langle v_i, v_1, \ldots, v_j \rangle$ მიმდევრობა. თუ ამ მიმდევრობაში ყველა წვერო განსხვავებულია (გარდა შესაძლო $v_i = v_j$ შემთხვევისა), მაშინ მარშრუტები შედგება არაუმეტეს $n + 1$ წვეროსგან (არაუმეტეს n წიბოსგან). მაშასადამე, $\sum\limits_{k=1}^{n} \mathcal{A}^k$ მატრიცის (i, j)-ური ელემენტი არ უდრის 0-ს,

$$A(R^+(E)) = A(R(E)) \vee A(R^2(E)) \vee \cdots \vee A(R^n(E)) = \bigvee_{k=1}^{n} A(R^k(E)),$$

$$A(R^*(E)) = I \vee A(R(E)) \vee \cdots \vee A(R^{n-1}(E)) = \bigvee_{k=0}^{n-1} A(R^k(E)).$$

გავიხსენოთ, რომ ნებისმიერი R ბინარული მიმართებისთვის R^+ სიდიდე განისაზღვრება, როგორც

$$R^+ = \bigcup_{k=1}^{\infty} R^k$$

და, თუ $R \subset V \times V$, $|V| = n$, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ

$$A(R^+) = A^+(R) = \bigvee_{k=1}^{n} A(R^k),$$

ანალოგიურად

$$A(R^*) = A^*(R) = \bigvee_{k=0}^{n-1} A(R^k).$$

აღნიშვნების გამარტივების მიზნით $A(R^k(E))$ აღვნიშნოთ $A(R^k)$-ით, $A(R^+(E))$ აღვნიშნოთ $A(R^+)$-ით, $A(R^*(E))$ კი – $A(R^*)$-ით.

$\mathcal{C} = \mathcal{A}(R^*)$ მატრიცას ეწოდება $G = (V, E)$ გრაფის **ბმულობის** მატრიცა. G გრაფში მარშრუტი v_i წვეროდან v_j-მდე $(i \neq j)$ არსებობს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\mathcal{C}$ მატრიცის (i, j)-ური ელემენტი უდრის 1-ს. G გრაფი ბმულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\mathcal{C}$ მატრიცის ყველა (i, j)-ური ელემენტი უდრის 1-ს, $1 \leq i, j \leq n$.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . R^* არის V-ზე ეკვივალენტობის მიმართება.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . რადგან R^* არის R-ის რეფლექსური ჩაკეტვა, ამიტომ საჭიროა შევამოწმოთ მხოლოდ სიმეტრიულობა და ტრანზიტულობა. vR^*w მიმართებიდან გამომდინარეობს v-დან w-მდე $\langle v, v_1, \ldots, v_k, w\rangle$ მარშრუტის არსებობა. ე. ი.

$$[v, v_1] \in E, [v_1, v_2] \in E, \ldots, [v_k, w] \in E,$$

ანუ

$$[w, v_k] \in E, [v_k, v_{k-1}] \in E, \ldots, [v_2, v_1] \in E, [v_1, v] \in E.$$

ეს ნიშნავს, რომ $\langle w, v_k, v_{k-1}, \ldots, v_1, v\rangle$ არის w-დან v-მდე მარშრუტი G გრაფში. ე. ი. wR^*v.

ვთქვათ, vR^*w და wR^*v, ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ არსებობს $\langle w, w_1, \ldots, w_m, u\rangle$ მარშრუტი w-დან u-მდე G გრაფში, სადაც

$$[w, w_1] \in E, [w_1, w_2] \in E, \ldots, [w_m, u] \in E.$$

თუ განვიხილავთ მიმდევრობას $\langle v, v_1, \ldots, v_k, w, w_1, \ldots, w_m, u\rangle$, ეს იქნება მარშრუტი v-დან u-მდე G გრაფში. ამრიგად, გვექნება, რომ vR^*u. R^* არის ეკვივალენტობის მიმართება.

R^* განსაზღვრავს ქვეგრაფების მნიშვნელოვან კლასს.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . ვთქვათ, $\{V_i : \ 1 \leq i \leq p\}$ არის G გრაფის R^* მიმართებით განსაზღვრული დაყოფა, მაშინ ამბობენ, რომ p არის G გრაფის

ბმულობის რიცხვი. ეკვივალენტობის კლასებით წარმოქმნილ (V_i, E_i) ქვეგრაფებს ეწოდება G გრაფის **ბმულობის კომპონენტები**.

ტყე ეწოდება გრაფს, რომელშიც ყოველი ბმული კომპონენტი არის ხე. $G = (V, E)$ გრაფის остовной ტყე არის ისეთი განცალკევებული $T_i = (V_i, E_i)$ ხეების წვეროების ერთობლიობა, რომ $V = \bigcup\limits_i V_i$ და $E_i \subset E$ ყველა i-თვის (წვეროების განცალკევება ნიშნავს, რომ $V_i \cap V_j = \varnothing$, როცა $i \neq j$).

1.2 ნახაზზე ნაჩვენებია გრაფი, რომლისთვისაც $p = 2$ ბმულობის რიცხვია.



G გრაფი



G გრაფის остовной ტყე

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2.1.

1. ვთქვათ, $G = (V, E)$, სადაც

$$V = \{v_1, v_2, v_3, v_4\},$$
$$E = \big\{[v_1, v_2], [v_1, v_3], [v_2, v_4], [v_3, v_4]\big\}.$$

G გრაფის მომიჯნავეობის მატრიცის გამოყენებით განვსაზღვროთ

ა) 2 სიგრძის მარშრუტების რიცხვი v_3 წვეროდან v_2-ში;

ბ) 3 სიგრძის მარშრუტების რიცხვი v_1-დან v_2-ში;

გ) არის თუ არა G გრაფი ბმულია.

2. დახაზეთ შემდეგი გრაფებისთვის остовные ხეები.



ნახ. 2.1

პლანარული გრაფები

§ 1. პლანარული გრაფები

გრაფთა თეორიის ბევრ ნაშრომში განიხილავენ გრაფების სპეციალურ კლასს, რომლებიც შეიძლება წარმოვადგინოთ ნახაზით $\mathbb{R}^2$ სიბრტყეზე.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა .

ა) G გრაფს **პლანარული** ეწოდება, თუ შეიძლება ის სიბრტყეზე ისე გამოისახოს, რომ მისი წიბოები არ იკვეთებოდეს (ორი წიბოს თანაკვეთა შეიძლება იყოს მხოლოდ წვერო). ასეთ ნახაზს G გრაფის **რუკა** ეწოდება (სიბრტყეზე გამოსახულ ასეთ გრაფს **ბრტყელ გრაფსაც** უწოდებენ).

ბ) G გრაფის რუკას ეწოდება ბმული, თუ G ბმულია.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.1. $G = (V, E)$, $V = \{v_1, v_2, v_3, v_4\}$,

$$E = \big\{[v_1, v_2], [v_1, v_3], [v_1, v_4], [v_2, v_3]\big\}.$$

ამ გრაფის გამოსახულება და რუკა მოცემულია 1.1 ნახაზზე.



გამოსახულება G-ს რუკა

ნახ. 1.1

რუკა $\mathbb{R}^2$ სიბრტყეს ჰყოფს არეებად.

მაგალითი 1.2. განვიხილოთ ნახაზზე გამოსახული რუკა. ის $\mathbb{R}^2$ სიბრტყეს ჰყოფს ოთხ ნაწილად: r_1, r_2, r_3 და r_4



ნახ. 1.2

(რუკის არეს წახნაგებსაც უწოდებენ).

არეების სიმრავლე აღვნიშნოთ $\mathcal{R}$ ასოთი.

ეილერის თეორემა. ნებისმიერი ბმული რუკისთვის სრულდება
$$|V|-|E|+\mathcal{R}|=2.$$

დამტკიცება. ვთქვათ, $|V|=1$, მაშინ, ცხადია, $|E|=1$ და $|\mathcal{R}|=1$. ამ შემთხვევაში თეორემა სამართლიანია. ვთქვათ, მოცემულია რუკა, რომლისთვისაც სრულდება $|V_1|-|E_1|+|\mathcal{R}_1|=2$, სადაც $|V_1|$ მოცემული რუკის წვეროთა რიცხვია, $|E_1|$ წიბოთა რიცხვი, $|\mathcal{R}_1|$ – არეების რიცხვი.

განვიხილოთ მოცემული რუკის გაფართოების ორი შესაძლო ხერხი.

ა) დავუმატოთ ერთი წვერო და მივუერთოთ მოცემულ რუკას წიბო. ამ შემთხვევაში (იხ. ნახ. 1.2) 1-ით იზრდება $|V_1|$ წვეროთა რაოდენობა და $|E_1|$ წიბოთა რაოდენობა, ხოლო $|\mathcal{R}_1|$ რჩება უცვლელი, $|V|=|V_1|+1$, $|E|=|E_1|+1$, $|\mathcal{R}|=|\mathcal{R}_1|$, რის შედეგადაც $|V|-|E|+|\mathcal{R}|$ გამოსახულების მნიშვნელობა არ იცვლება,
$$|V|-|E|+|\mathcal{R}|=$$
$$=(|V_1|+1)-(|E_1|+1)+|\mathcal{R}_1|=|V_1|-|E_1|+|\mathcal{R}_1|=2.$$

ბ) შევაერთოთ ახალი წიბოთი რუკაზე არსებული ორი წვერო (იხ. ნახ. 1.3). ამ შემთხვევაში წვეროთა რიცხვი დარჩება უცვლელი, ხოლო წიბოთა რიცხვი და არეთა რიცხვი 1-ით გაიზრდება: $|V|=|V_1|$, $|E|=|E_1|+1$, $|\mathcal{R}|=|\mathcal{R}_1|+1$,
$$|V|-|E|+|\mathcal{R}|=$$
$$=|V_1|-(|E_1|+1)+(|\mathcal{R}_1|+1)=|V_1|-|E_1|+|\mathcal{R}_1|=2.$$

შედეგად $|V|-|E|+|\mathcal{R}|$ მნიშვნელობა ისევ უცვლელი რჩება.

ნებისმიერი რუკა მიიღება $|V|=1$ შემთხვევიდან ა) და ბ) ხერხის საშუალებით. თუ საჭიროა, პროცედურა მეორდება. ამრიგად, რადგან $|V|-|E|+|\mathcal{R}|=2$,



ნახ. 1.3



ნახ. 1.4

როცა $|V| = 1$, და $|V| - |E| + |\mathcal{R}|$ გამოსახულების მნიშვნელობა ინვარიანტული რჩება ა) და ბ) ხერხის შესრულებით, ამიტომ ნებისმიერი ბმული რუკისთვის გვაქვს

$$|V| - |E| + |\mathcal{R}| = 2.$$

ცხადია, რომ რუკის თითოეული არე შემოსაზღვრულია შეკრული მარშრუტით.

განსაზღვრება. ვთქვათ, $G = (V, E)$ პლანარული გრაფია. G გრაფის რუკისთვის r არის Δ_r **ხარისხი** ვუწოდოთ ამ არის შემომსაზღვრელი შეკრული მარშრუტის სიგრძეს.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.3. ნახაზზე გამოსახული რუკისთვის r_1 არის შემომსაზღვრელი შეკრული მარშრუტია $\langle v_1, v_2, v_3, v_5, v_3, v_4, v_1\rangle$, ხოლო r_2-ის – $\langle v_1, v_2, v_3, v_4, v_1\rangle$, ამიტომ $\Delta_{r_1} = 6$, $\Delta_{r_2} = 4$.



ნახ. 1.5

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . ვთქვათ, $G = (V, E)$ არის პლანარული გრაფიკი, მაშინ

ა) $\sum\limits_{r\in\mathcal{R}} \Delta_r = 2E$ ნებისმიერი G რუკისთვის;

ბ) თუ $|V| \geq 3$, მაშინ $|E| \leq 3|V| - 6$.

განვიხილოთ K_5 სრული გრაფი და $K_{3,3}$ ორწილიანი სრული გრაფი



ნახ. 1.6

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . K_5 და $K_{3,3}$ არ არის პლანარული გრაფები.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . თუ K_5 პლანარულია, მაშინ წინა შედეგიდან გვექნება, რომ $|E| \leq 3|V| - 6$, მაგრამ, რადგან K_5-თვის $|V| = 5$, $|E| = 10$, მივიღებთ $10 \leq 3 \cdot 5 - 6$, რაც არასწორია. ამრიგად, იმის დაშვება, რომ K_5 პლანარულია, არ არის სწორი.

ახლა დავუშვათ, რომ $K_{3,3}$ პლანარულია. გვექნება $\sum\limits_{r \in \mathcal{R}} \Delta_r = 2|E|$. $K_{3,3}$-ში არც ერთი სამი წვერი არ არის ერთმანეთთან შეერთებული, მაშასადამე, $\Delta_r \geq 4$, ნებისმიერი $r \in \mathcal{R}$-თვის. ეილერის ფორმულიდან $|\mathcal{R}| = 2 + |E| - |V| = 2 + 9 - 3 = 5$. მაშასადამე, $\sum\limits_{r \in \mathcal{R}} \Delta_r \geq 5 \cdot 4 = 20$, აქედან, $2|E| \geq 20$, $|E| \geq 10$, მივიღეთ წინააღმდეგობა. ამრიგად, დაშვება იმისა, რომ $K_{3,3}$ პლანარულია არასწორია.

K_5 და $K_{3,3}$ გრაფები იმით არის საინტერესო, რომ ისინი არსებითად "ერთადერთი" არაპლანარული გრაფებია. ყველა სხვა არაპლანარულ გრაფებს აქვთ K_5 ან $K_{3,3}$-ის "მსგავსი" ქვეგრაფები.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა .

ა) $G = (V, E)$ გრაფის **ელემენტარული მოჭიმვა** ხდება მისი რომელიმე $[v_i, v_j]$ წიბოს ამოგდებით და v_i და v_j წვეროების გაიგივებით.

ბ) G გრაფს ეწოდება მიჭიმვადი G' გრაფზე, თუ G' მიიღება G-გან ელემენტარული მოჭიმვების მიმდევრობით შესრულებით.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.4. 1.7 ნახაზზე გამოსახულია G და G' გრაფები. ამასთან, G გრაფი მოჭიმვადია G'-ზე.



ნახ. 1.7

G გრაფიდან ამოგდებულია $[v_1, v_2]$ წიბო (v_1 და v_2 წვერო შეცვლილია ერთი w_1 წვეროთი). $[v_4, v_5]$ წიბო (v_4 და v_5 წვერო შეცვლილია ერთი w_4 წვეროთი), $[v_6, v_7]$ წიბო (v_6 და v_7 შეცვლილია w_6 წვეროთი).

თეორემა (კურატოვსკი). გრაფი პლანარულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ის არ შეიცავს K_5 და $K_{3,3}$ გრაფებზე მოჭიმვად ქვეგრაფებს.

განსაზღვრება.

ა) $G=(V,E)$ გრაფის **გაფერადება** ეწოდება G-ს წვეროებისთვის ფერის მიცემას ისე, რომ თუ $[v,w]\in E$, მაშინ v და w წვეროებს სხვადასხვა ფერი უნდა ჰქონდეს.

ბ) G გრაფის $\chi(G)$ **ქრომატული რიცხვი** ეწოდება იმ ფერების მინიმალურ რაოდენობას, რომელიც საჭიროა G გრაფის გასაფერადებლად.

განსაზღვრება. ვთქვათ, M რუკაა, განვსაზღვროთ M'-ის მიმართ **ორადული** M' რუკა შემდეგნაირად: M-ის თითოეულ არეში ავირჩიოთ შიგა წერტილი; თუ ორ არეს აქვს საერთო წიბო, მაშინ გავატაროთ ამ არეებში არჩეული შიგა წერტილებისთვის დამაკავშირებელი რკალი. ეს პროცესი განსაზღვრავს M' რუკას.

მაგალითი 1.5. 1.8 ნახაზზე გამოსახულია M რუკა და მისი ორადული M' რუკა



ნახ. 1.8

M'-ის გაფერადება შეესაბამება M-ის არეების ისეთ გაფერადებას, როცა საერთო წიბოს მქონე არეებს აქვს სხვადასხვა ფერი. მაშასადამე, თეორემა გაფერადების შესახებ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად.

თეორემა. M რუკის არეების ისეთნაირი გაფერადებისთვის, როცა მომიჯნავე არეებს სხვადასხვა ფერი აქვს, საჭიროა არაუმეტეს ოთხი ფერისა.

სავარჯიშო 1.3.

1. ვთქვათ, $T=(V,E)$ არის ხე, $|V|=n$. დაამტკიცეთ, რომ $|E|=n-1$.

2. შეამოწმეთ ეილერის ფორმულის მართებულობა შემდეგი გრაფისთვის



3. ვთქვათ, $G = (V, E)$ პლანარული გრაფია, Δ_r კი – r არის ხარისხი. დაამტკიცეთ, რომ

$$\sum_{r \in \mathcal{R}} \Delta_r = 2|E|.$$

4. ვთქვათ, $G = (V, E)$ ბმული პლანარული გრაფია და $|V| \geq 3$. დაამტკიცეთ, რომ $|E| \leq 3|V| - 6$.

5. მოიყვანეთ იმის მაგალითი, რომ ამ სავარჯიშოს წინა ამოცანაში მოცემული უტოლობა არასწორია, როცა $|V| \leq 3$.

6. განსაზღვრეთ გრაფი, რომლისთვისაც $\chi(G) = 4$.

7. ვთქვათ, T არის ხე. რა იქნება $\chi(T)$-ს მნიშვნელობა.

§ 2. მონაცემთა სტრუქტურული გრაფის წარმოსადგენად

L_v-ით აღვნიშნოთ $v \in V$ წვეროს მოსაზღვრე წვეროთა ნუსხა.

მ ა გ ა ლ ი თ ი 2.1. 2.1 ნახაზზე მოცემულია გრაფი და ნუსხები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ გრაფის წარმოსადგენად.



ნახ. 2.1

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა . $V = \{v_1, v_2, \ldots, v_n\}$ წვეროთა სიმრავლეს წვეროების დალაგებულ წყვილთა $\{L_{v_1}, L_{v_2}, \ldots, L_{v_n}\}$ დალაგებულ “ნუსხათა” სიმრავლესთან ერთად დალაგებული გრაფი ეწოდება.

საჭიროა L_v ნუსხებს მოვთხოვოთ გარკვეული პირობები იმისათვის, რომ განხილული სტრუქტურები იყოს გრაფები:

ა) $(v, v) \notin L_v$ ყოველი $v \in V$-თვის;

ბ) $(w, u) \in L_w \Longrightarrow (u, w) \in L_u$.

2.2 ნახაზზე გამოსახული გრაფი შეიძლება დალაგებული გრაფის ტერმინებში შემდეგნაირად ჩაიწეროს:

$$\Big(\{v_1, v_2, v_3, v_4\}, \Big\{\big((v_1, v_2), (v_1, v_3), (v_1, v_4)\big), \big((v_2, v_1), (v_2, v_3), (v_2, v_4)\big), \big((v_3, v_1), (v_3, v_2), (v_3, v_4)\big), \big((v_4, v_1), (v_4, v_2), (v_4, v_3)\big)\Big\}\Big).$$



ნახ. 2.2

დალაგებული გრაფი განსაზღვრავს ერთადერთ არადალაგებულ გრაფს. შებრუნებული მტკიცება მცდარია, რადგან, საზოგადოდ, შესაძლებელია გრაფის დალაგება სხვადასხვა ხერხით.

განსაზღვრება. G_1 და G_2 დალაგებულ გრაფს ეკვივალენტური ეწოდება, თუ არსებობს $f : V_1 \to V_2$ ბიექცია წვეროთა სიმრავლეებს შორის, რომელიც ინარჩუნებს "ნუსხათა" სტრუქტურას. სხვა სიტყვებით, თუ

$$L_v = \Big((v, w_1), (v, w_2), \ldots, (v, w_k)\Big)$$

არის G_1-ს წიბოთა "ნუსხა", მაშინ

$$L_{f(v)} = \Big(\big(f(v), f(w_1)\big), \big(f(v), f(w_2)\big), \ldots, \big(f(v), f(w_k)\big)\Big)$$

არის G_2-ს წიბოთა "ნუსხა".

მაგალითი 2.2. 2.3 ნახაზზე გამოსახული გრაფები ეკვივალენტურია, მაგრამ ისინი, როგორც დალაგებული გრაფები, არ არის ეკვივალენტური

§ 3. გრაფის შემოვლა

3.1. შესავალი. გრაფებთან დაკავშირებულ მრავალ ამოცანაში მოითხოვება გრაფების შემოვლა, რაც ნიშნავს, რომ გრაფის თითოეულ წვეროსთან "მისვლა" უნდა მოხდეს მხოლოდ ერთხელ. ამგვარად, გრაფის შემოვლა შეგვიძლია წარმოვადგინოთ წვეროების გარკვეული მიმდევრობის სახით.



ნახ. 2.3

თუ $G = \big(\{v_1, v_2, \ldots, v_n\}, E\big)$ გრაფის და $\sigma : \mathbb{N}_n \to \mathbb{N}_n$ გადანაცვლება, მაშინ

$$t = v_{\sigma(1)}, v_{\sigma(2)}, \ldots, v_{\sigma(n)}$$

მიმდევრობა განსაზღვრავს G გრაფის შემოვლას. რადგან არსებობს $\mathbb{N}_n$-ის $n!$ სხვადასხვა გადანაცვლება, შესაბამისად, უნდა არსებობდეს n წვეროიანი გრაფის შემოვლის $n!$ განსხვავებული ხერხი, ანუ არსებობს გრაფის წვეროთა დალაგების $n!$ ხერხი. $v_{\sigma(1)}$ წვეროს ეწოდება σ-თი განსაზღვრული შემოვლის საწყისი წვერო.

აქ მოვიყვანთ გრაფების შემოვლის მხოლოდ ორ მეთოდს.

3.2. გრაფის შემოვლა სიღრმით. ვთქვათ,

$$G = \Big(\{v_1, v_2, \ldots, v_n\}, \{L_{v_1}, L_{v_2}, \ldots, L_{v_n}\}\Big)$$

დალაგებული გრაფია. ავირჩიოთ რომელიღაც v_s $(1 \le s \le n)$ საწყისი წვერო და დავუშვათ $\sigma(1) = s$. შემდეგ t მიმდევრობის წვეროები განისაზღვრება შემდეგნაირად: $v_{\sigma(2)}$ არის პირველი წვერო $L_{v_{\delta(1)}}$ მომიჯნავეობის ნუსხიდან, (ე. ი. v_s-ის მოსაზღვრე), $v_{\delta(3)}$ არის პირველი წვერო $L_{v_{\sigma(2)}}$-დან, რომელიც ჯერ არ არის t მიმდევრობაში და ა. შ. $v_{\delta(k)}$ არის პირველი წვერო $L_{v_{\sigma(k-1)}}$-დან, რომელიც ჯერ არ არის t-ში. ამასთან, თუ შეგვხვდება ისეთი u წვერო, რომ ყველა წვერო L_u-დან უკვე შესულია t-ში, მაში პროცესი განმეორდება $w \in t$ წვეროდან, სადაც w არის ისეთი უკანასკნელი წვერო t მიმდევრობაში, რომ L_w შეიცავს წვეროებს, რომლებიც არ არის t-ში. შემოვლა მთავრდება მაშინ, როცა არცერთი წვერო $V \setminus t$-დან არ შეიძლება მიღწეული იქნეს t მიმდევრობის წვეროებიდან.

თუ გრაფი ბმულია, მაშინ ზემოთ აღწერილი პროცესი განსაზღვრავს G-ს შემოვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში G გრაფის მხოლოდ ერთ კომპონენტს (რომელიც შეიცავს $v_{\sigma(1)}$-ს). თუ გრაფი არ არის ბმული, მაშინ G-ს სრული შემოვლის მისაღებად პროცესი უნდა დავიწყოთ G გრაფის თითოეულ ბმულ კომპონენტში. ამ მეთოდის საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ გრაფის ბმული კომპონენტების რაოდენობა. ბმულ გრაფში საწყისი წვეროს თითოეული შერჩევის დროს მივიღებთ ერთადერთ შემოვლას. ამრიგად, შესაძლებელია დალაგებული ბმული გრაფის n შემოვლა (სიღრმით). თუ G-ს აქვს V_i $(1 \le i \le p)$ ბმული კომპონენტები, სადაც $|V_i| = n_i$, მაშინ გვექნება $n_1 \cdot n_2 \cdot n_p$ სიღრმით შემოვლა.

მ ა გ ა ლ ი თ ი 3.1. განვიხილოთ 3.1 ნახაზზე გამოსახული დალაგებული გრაფი. v_1 საწყისი წვეროდან სიღრმით შემოვლა განისაზღვრება შემდეგნაირად: $v_1, v_2, v_4, v_8, v_5, v_6, v_3, v_7$.



ნახ. 3.1

3.3. განივი შემოვლა. ვთქვათ,

$$G = \Big(\{v_1, v_2, \ldots, v_n\}, \{L_{v_1}, L_{v_2}, \ldots, L_{v_n}\}\Big)$$

არის დალაგებული გრაფი. ავირჩიოთ საწყისი v_s წვერო და დავუშვათ, რომ $L_{v_s} = \big((v_s, w_1), (v_s, w_2), \ldots, (v_s, w_k)\big)$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . დავუშვათ, რომ სასრული F ველს აქვს მახასიათებელი n და $n = p * q$, სადაც $p, q < n$, $p, q \in N$. ვთქვათ, $a \in F \setminus \{0\}$. მაშინ $0 = na = (p * q)a = p(qa)$, $qa \in F$. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ $qa = 0$ შესრულდება $n \le q$, რადგან n არის მახასიათებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში $qa \in F \setminus \{0\}$. ორივე შემთხვევაში მივიღეთ წინააღმდეგობა. გამომდინარეობს, რომ n მარტივია.

თ ე ო რ ე მ ა . სასრულ ველს აქვს მახასიათებელი p და $|F| = p^n$ რაიმე $n \in N$-თვის.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ჩვენ უკვე ვიცით, რომ თუ p არის F-ის მახასიათებელი, მაშინ p მარტივია. ვთქვათ, $|F| = q$, თუ $p = q$ თეორემა ცხადია, რადგან $n = 1$. ვთქვათ, $p \ne q$ და $a_1 \in F \setminus \{0\}$. განვიხილოთ

$$F_1 = \{y : \ y = na_1, \ n \in N, \ 1 \le n \le p\}, \ \ |F_1| = p,$$

ავიღოთ ახლა $a_2 \in F \setminus F_1$ და ვთქვათ,

$$F_2 = \{y : \ y = na_1 + ma_2 : \ m, n \in N, \ 1 \le n \le p, \ 1 \le m \le p\}.$$

თუ $F_2 = F$ პროცესს ვამთავრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიხილავთ $a_3 \in F \setminus F_2$ და ა. შ. ბოლოს რადგან F სასრულია, პროცესი შეწყდება და მივიღებთ $F_1, F_2, \ldots, F_n$ სიმრავლეებს რაიმე $n \in N$-თვის.

F-ის ყოველი ელემენტი f ერთადერთი გზით ჩაიწერება $f = m_1a_1 + m_2a_2 + \cdots + m_na_n$, სადაც $1 \le m_i \le p$ ყველა $i = 1, \ldots, n$-თვის. მაშასადამე, არსებობს p^n ასეთი სახის გამოსახულება, ე. ი. $|F| = p^n$. რ.დ.გ.

მაშასადამე, ნებისმიერ სასრულ ველს აქვს p^n ელემენტი რაიმე $p, n \in N$-თვის (p მარიტივია). კერძოდ, ყოველი ასეთი p და n-თვის არსებობს p^n რიგის სასრული ველი, მაგრამ ამის დამტკიცება არცთუ ისე მარტივია.

მაგალითის სახით განვიხილოთ $(Z_3, *, +)$, სადაც $*$, $+$ ნაჩვენებია 5.1 ცხრილზე. ადვილი საჩვენებელია, რომ სრულდება 1)–8) აქსიომები.

ც ხ რ ი ლ ი 3.1.

$*$	0	1	2
0	0	0	0
1	0	1	2
2	0	2	1

იგივე ცხრილები განვიხილოთ Z_4-ში.

ც ხ რ ი ლ ი 3.2.

$+$	0	1	2	3
0	0	1	2	3
1	1	2	3	0
2	2	3	0	1
3	3	0	1	2

ცხადია, Z_4-ში 2-იანს არ აქვს შებრუნებული, ამიტომ Z_4 არ არის ველი. ველი $4 = 2^2$ არსებობს. მაგრამ არ ემთხვევა Z_4-ს. მოცემული რიგის სასრული ველები იგება საკმაოდ რთულად – მრავალწევრთა თეორიის გამოყენებით. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კოდირების თეორიაში.

3.4. დალაგებული ველები. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ R სიმრავლე ჩვეულებრივი $\cdot$ და $+$ ოპერაციების მიმართ ქმნის ველს. თვითონ ველის სტრუქტურა არ იწვევს ელემენტთა რაიმე თვალსაზრისით დალაგებას, თუნდაც R-ის ბუნებრივ დალაგებას. ყველა ველი არ არის დალაგებული, ამიტომ ჩვენ უნდა შევამოწმოთ დამატებით რა პირობების შესრულებაა საჭირო, რომ ვისაუბროთ ელემენტთა დალაგებაზე. დალაგება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად. დავიწყოთ დადებითობის თვისებით. ის უშუალოდ მიგვიყვანს ველის ელემენტების დალაგებამდე, შემდეგ კი – სიგრძის ცნებამდე.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . ამბობენ, რომ F ველი დალაგებულია, თუ ის შეიცავს არაცარიელ P ქვესიმრავლეს, რომელიც ჩაკეტილი $\cdot$ და $+$ ოპერაციების მიმართ და ყოველი $x \in F$-თვის სრულდება ზუსტად ერთი შემდეგი თანაფარდობებიდან $x \in P \setminus \{0\}$, $x = 0$, $-x \in P \setminus \{0\}$.

P არის სიმრავლე f-ის ყველა დადებითი ელემენტებისა (0 შეიძლება შედიოდეს P-ში, შეიძლება არა; გარკვეულობისათვის შევთანხმდეთ, რომ შედის). თუ $x \in P$, მაშინ ვამბობთ, რომ x დადებითია და ვწერთ: $x \geq 0$ თუ $-x \in P \setminus \{0\}$, ვამბობთ, რომ უარყოფითია და ვწერთ $x < 0$, ანალოგიურად, თუ x და y F-ის ელემენტებია, ვამბობთ, რომ $x \leq y$ (ნაკლებია ან ტოლია) მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $y - x \in P$ და $x < y$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $y - x \in P \setminus \{0\}$. სიმბოლოები $<$, $\leq$ შეიძლება გამოვიყენოთ საწინააღმდეგოს ჩაწერისათვის მეორე მხრიდან.

"$\leq$" მიმართება არის დალაგების მიმართება.

აქედან გამომდინარეობს

თ ე ო რ ე მ ა . ვთქვათ, F დალაგებული ველია და a, b, c, $d \in F$, მაშინ

1) თუ $a \leq b$ და $b \leq c$, მაშინ $a \leq c$;

2) $a \leq a$;

3) თუ $a \leq b$ და $b \leq a$, მაშინ $a = b$;

4) თუ $a \neq 0$, მაშინ $a^2 > 0$;

5) $1 > 0$;

6) თუ $a \leq b$, მაშინ $a + c \leq b + c$;

7) თუ $a \leq b$ და $c \leq d$, მაშინ $a + c \leq b + d$;

8) თუ $a \leq b$, $0 < c$ და $d < 0$, მაშინ $a * c' leq b * c$, $b * d \leq a * d$;

9) თუ $0 < a$, მაშინ $0 < a^{-1}$ და თუ $b < 0$, მაშინ $b^{-1} < 0$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ა) $a \leq b$ და $b \leq c \Longrightarrow b - a \in P$ და $c - b \in P$, მაშინ $c - a = c - b + b - a \in P$. რადგან P ჩაკეტილია $+$ ოპერაციის მიმართ, ე. ი. $a \leq c$.

2) ცხადია, $a - a = 0 \in P$.

3) $a \leq b$ და $b \leq a$, თუ $b - a = x$, მაშინ $x \in P$ და $-x \in P$, რაც ეწინააღმდეგება P-ს განმარტებას, ე. ი. $x = 0$ და $a = b$.

4) თუ $a \neq 0$ და ან $a \in P$ ან $-a \in P$; P ჩაკეტილია, მაშინ გამომდინარეობს, რომ $a^2 \in P$, $(-a) \cdot (-a) = a^2$. აქედან, თუ $-a \in P$, მაშინ $a^2 \in P$.

5) $1^2 = 1 \Longrightarrow$ (4)-ის თანახმად $1 > 0$.

6) უშუალოდ გამომდინარეობს $b - a = (b + c) - (a + c)$ თანაფარდობიდან.

7) დასამტკიცებელს მივიღებთ $(b - a) + (d - c) = (b + d) - (a + c)$ თანაფარდობიდან და იმის გათვალისწინებით, რომ P ჩაკეტილია.

8) მტკიცდება ანალოგიურად შემდეგი თანაფარდობის გათვალისწინებით $(b - a) * c = b * c - a * c$ და $(b - a) * (-d) = a * d - b * d$.

9) $0 < a \Longrightarrow a \in P \setminus \{0\}$, თუ $a^{-1} = 0$, მაშინ $1 = a * a^{-1} = a * 0 = 0$ და თუ $a^{-1} \notin P$, (8)-ის გამო $1 = a^{-1} * a < 0 * a = 0$. ორივე შემთხვევაში მივიღეთ წინააღმდეგობა, მაშასადამე, $0 < a^{-1}$. დანარჩენი ნაწილიც მტკიცდება ანალოგიურად.

მივიღეთ მსგავსი თანაფარდობები სიდიდის ცნებისთვის დალაგებულ ველებში.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . თუ F არის დალაგებული ველი, მაშინ

$$X \longrightarrow \begin{cases} x & \text{თუ } x \geq 0 \\ -x & \text{თუ } x < 0 \end{cases}$$

ფუნქციას ვუწოდოთ აბსოლუტური მნიშვნელობა (სიდიდე, სიგრძე ან მოდული).

ეს ფუნქცია აღინიშნება $|x|$ სიმბოლოთი და იკითხება, როგორც "x-ის მოდული".

ჩამოვაყალიბოთ თეორემები დამტკიცების გარეშე (დაამტკიცეთ თავად სავარჯიშოს სახით!).

თ ე ო რ ე მ ა . თუ F დალაგებული ველია და $a, b \in F$, მაშინ

1) $|a| = 0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a = 0$;

2) $|-a| = |a|$;

3) $|a * b| = |a| * |b|$;

4) თუ $0 \leq b$, მაშინ $|a| \leq b$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $-b \leq a \leq b$;

5) $-|a| \leq a \leq |a|$;

6) $||a| - |b|| \leq |a \pm b| \leq |a| + |b|$ სამკუთხედის უტოლობა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3.1.

1. დაამტკიცეთ, რომ $(R, *, +)$-ში სრულდება

ა) $0 * a = a * 0 = 0$;

ბ) $a * (-b) = (-a) * b = -(a * b)$;

გ) $(-a) * (-b) = a * b$.

2. ვაჩვენოთ, რომ თუ $(R, *, +)$ რიგებში ყოველი $a \in R$-თვის სრულდება $a * a = 0$, მაშინ R კომუტაციურია.

3. აჩვენეთ, რომ Z_n-ში ნულის გამყოფები მხოლოდ ის ელემენტებია, რომელთაც აქვთ საერთო არატრივიალური გამყოფი n-თან. მაშასადამე, Z_p, სადაც p მარტივია არის ველი.

4. აჩვენეთ, რომ ყოველი სასრული მთელობის არე არის ველი.

5. აჩვენეთ, რომ $(Z, *, +)$ არის მთელობის არე, მაგრამ არ არის ველი.

6. ვთქვათ, $p < q$, ხოლო $(Z_p, *_p, +_p)$ და $(Z_q, *_q, +_q)$ ჩვეულებრივი ნაშთთა კლასებია მოდულით p და q. დაამტკიცეთ, რომ $Z_p \subset Z_q$, მაგრამ $(Z_p, *_p, +_p)$ არ არის ქვერგოლი $(Z_q, *_q, +_q)$ რგოლში.
აჩვენეთ, რომ $*q$ და $+q$ არ არის Z_p-ში.

7. დაამტკიცეთ, რომ $(Z_6, *, +)$ არ არის ველი.

8. აჩვენეთ, რომ სასრულ ველს აქვს არანულოვანი მახასიათებელი და რომ ნულმახასიათებლიანი ველი უსასრულოა.

9. ვთქვათ, $a_1, a_2, \ldots, z_n 3$ არის განმარტებული 3.2-ის უკანასკნელ თეორემაში. აჩვენეთ, რომ ყოველი $m_1 a_1 + m_2 a_2 + \cdots + m_n a_n$ გამოსახულება განსაზღვრავს ველის ერთადერთ ელემენტს.

10. $(F, *, +)$ ველში ამოხსენით განტოლება

$$\begin{aligned} a + d * y &= c, \\ x * d + y &= b. \end{aligned}$$

$*$	a	b	c	d
a	a	a	a	a
b	a	b	c	d
c	a	c	d	b
d	a	d	b	c

$+$	a	b	c	d
a	a	b	c	d
b	b	a	d	v
c	c	d	a	b
d	d	a	b	a

11. დაამტკიცეთ, რომ თუ $a * b > 0$, a, $b \in F$, მაშინ ან $a, b > 0$ ან $a, b < 0$.

12. აჩვენეთ, რომ დალაგებულ ველში $a^2 + b^2 = 0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a = b = 0$.

13. ვთქვათ, F დალაგებულია და $a, b \in F$, $0 \le a \le b$. აჩვენეთ, რომ $a^2 \le b^2$.

14. დაამტკიცეთ, რომ ყოველი ველი არის მთელობის არე.

15. დალაგებულ ველში $-|a| \le a \le |a|$ და $-|a| \le -a \le |a|$ უტოლობების გათვალისწინებით დაამტკიცეთ, რომ

ა) $|a \pm b| \le |a| + |b|$;

ბ) $||a| - |b|| \le |a \pm b|$.

წრფივი ალგებრა

§ 1. წრფივი ალგებრა

უმეტეს სახელმძღვანელოში ვექტორებს აღწერენ როგორც ობიექტებს, რომელთაც აქვთ "სიგრძე" და "მიმართულება". ჩვენ განვმარტავთ ვექტორებს უფრო ზოგადად, სადაც სიგრძისა და მიმართულების ცნება არსებითია.

1.1. ვექტორული სივრცეები და წრფივი გარდაქმნები.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . ვთქვათ, F ველია, V ქვესიმრავლე "+" ბინარული ოპერაციით. დავუშვათ, რომ ყოველი $a \in F$ და $x \in V$-თვის განსაზღვრულია $ax \in V$ ელემენტი. თუ სრულდება აქსიომები:

ა) $(V, +)$ კომუტაციური ჯგუფია;

ბ) $\forall\, x,\, y \in V$ და $a,\, b \in F$-თვის

$$\begin{aligned} (a+b)x &= ax + bx, \\ a(x+y) &= ax + by, \\ (a-b)x &= a(bx), \\ 1_F x &= x, \end{aligned}$$

სადაც 1_F არის F-ის მულტიპლიკაციური ერთეული,

მაშინ ამბობენ, რომ V არის ვექტორული სივრცე F-ზე. V-ს ელემენტებს უწოდებენ ვექტორებს, "+" ოპერაციებს ეწოდება ვექტორების შეკრება და $\Lambda : F \times V \to V$ ასახვას შემდეგი წესით: $\Lambda(a, x) = ax$ ეწოდება ვექტორის გამრავლება სკალარზე.

ვექტორული სივრცე F-ზე განიმარტება როგორც $(V, +, \Lambda)$ სამეული, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ აქსიომებს. ვექტორულ სივრცის ნული აღინიშნება 0-ით, აქსიომებიდან გამომდინარეობს, რომ $0_F x = 0\ \forall\, x \in V$-თვის და $a0 = 0\ \forall\, a \in F$-თვის.

შემდეგ მაგალითებში ნაჩვენები იქნება, რომ იქნება სიმრავლეთა სხვადასხვა კლასებს აქვთ ვექტორული სივრცის სტრუქტურა.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.1.

1. F^n $(n \in N)$ ვექტორული სივრცეა F-ზე შემდეგი ოპერაციებით:

$$(a_1, a_2, \ldots, a_n) + (b_1, b_2, \ldots, b_n) = (a_1 + b_1, a_2 + b_2, \ldots, a_n + b_n),$$
$$a(a_1, a_2, \ldots, a_n) = (aa_1, aa_2, \ldots, aa_n).$$

F^n-ის ნული არის $(0_F, \ldots, 0_F)$, $a_1, a_2, \ldots, a_n$ ელემენტებს ეწოდება a ვექტორის კომპონენტები.

2. ვთქვათ, B ყველა ასახვათა სიმრავლეა, $f : [a, b] \to R$. მაშინ B არის ვექტორული სივრცე R-ზე შემდეგი ოპერაციებით:

$$(f + g)(x) = f(x) + g(x), \ \ \forall f, g \in B,$$
$$(af)(x) = af(x), \forall a \in R.$$

3. ვთქვათ, $\mathfrak{B}$, $\mathfrak{B} \Subset B$ არის ყველა უწყვეტ ასახვათა სიმრავლე B-დან. მაშინ $\mathfrak{B}$ არის ვექტორული სივრცე B-ზე განსაზღვრული ოპერაციების მიმართ.

U სიმრავლეს $U \subseteq V$ ეწოდება V-ს ქვესივრცე, თუ ის თვითონ არის ვექტორული სივრცე V-ზე განსაზღვული ოპერაციების მიმართ.

$\big\{(a_1, \ldots, a_{n-1}, 0_F) : \ a_i \in F\big\}$ სიმრავლე არის F^n ვექტორული სივრცის ქვესივრცე. $\mathfrak{B}$ არის B-ს ქვესივრცე. თუ U ვექტორულ სივრცეა V-ში, მაშინ $0 \in U$.

R^n ვექტორული სივრცე $(1 \leq n \leq 3)$ წარმოიქმნება ბუნებრივად. R^n-ის ოპერაციებს აქვთ გარკვეული გეომეტრიული ინტერპრეტაცია. R^2-თვის ნაჩვენებია 1.1 სურათზე. თუ $r = (x, y) \in R^2$, მაშინ x და y კომპონენტები განისაზღვრება O წერტილში ურთიერთგადამკვეთი ორიგინალური წრფეების გასწვრივ. კუთხე ამ წრფეებს შორის აითვლება საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით Ox ღერძიდან. ასეთ სისტემას ეწოდება მართკუთხა კოორდინატთა სისტემა R^2-ში. ვექტორების შეკრება R^2-ში გეომეტრიულად შეესაბამება პარალელოგრამის წესს, როგორც ეს ნაჩვენებია 1.1(გ) ნახაზზე.

R^n სივრცის გეომეტრია განხილული იქნება ქვევით, ახლა კი შემოვიტანოთ ბაზისისა და განზომილების ცნება.

თუ V ვექტორული სივრცეა F-ზე და $S \subseteq V$, მაშინ $\sum\limits_{i=1}^{n} a_i x_i$, $a_i \in F$, $x_i \in S$ მოცემულ ჯამს ეწოდება S-ის ვექტორული წრიფივი კომბინაცია. ამბობენ, რომ $\{x_i : \ 1 \leq i \leq k\}$ ვექტორული სასრული სიმრავლე წრფივად დამოუკიდებელია, თუ

$$\sum_{i=1}^{k} a_i x_i = 0 \Longrightarrow a_1 = a_2 = \cdots = a_k = 0.$$

წინააღმდეგ შემთხვევაში სიმრავლეს ეწოდება წრფივად დამოკიდებული. S ქვესიმრავლეს $S \leq V$ ეწოდება V სივრცის წარმომქმნელი. V-ს ნებისმიერი ელემენტი არის S-ის ელემენტების წრფივი კომბინაცია. V სივრცის დალაგებულ წრფივად დამოუკიდებელ სიმრავლეს ეწოდება V-ს ბაზისი.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.2. R^3-ში $(5; 5; \sqrt{2})$ ვექტორიარის $(1; 1; 0)$ და $(0; 0; 3)$ ვექტორების წრფივი კომბინაცია, რადგან

$$(5; 5; \sqrt{2}) = 5(1; 1; 0) + \frac{\sqrt{2}}{3}\,(0; 0; 3).$$

$L = \big\{(1; 1; 0), (0; 0; 3)\big\}$ სისტემა წრფივად დამოუკიდებელია R^3-ში. რადგან $a(1; 1; 0) + b(0; 0; 3) = (a; a; 3b) = 0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a = 0$



ნახ. 1.1

და $b = 0$. მაგრამ L არ არის ბაზისი, რადგან ის განსაზღვრავს მხოლოდ $\{(x;x;y):\ x,\ y \in R\} \subset R^3$ ქვესივრცეს. $B = L \cup \{1;0;0\}$ ბაზისი არის L-ის გაფართოება R^3-ის ბაზისამდე. ადვილი საჩვენებელია, რომ ვქტორული სივრცის ყოველი ელემენტი ცალსახად წარმოიდგინება $B = \{e_1, e_2, \dots, e_n\}$ ბაზისის ელემენტებით. რადგან თუ

$$x = \sum_{i=1}^{n} a_i e_i = \sum_{i=1}^{n} b_i e_i \Longrightarrow 0 = x - x = \sum_{i=1}^{n} (b_i - a_i) e_i \Longrightarrow$$
$$\Longrightarrow b_i - a + i = 0 \Longrightarrow b_i = a_i, \ \ 1 \le i \le n.$$

წინადადება. ვთქვათ, $S = \{x_1, \dots, x_m\}$ არის V-ს წარმომქმნელი სიმრავლე და $L = \{y_1, \dots, y_l\}$ არის V-ს წრფივად დამოუკიდებელ ელემენტთა სიმრავლე. მაშინ $m \ge l$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ვთქვათ, $m < l$. რადგან S წარმოქმნის V-ს, ამიტომ არსებობს $a_1, a_2, \ldots, a_m \in F$ ისეთი, რომ $y_1 = a_1x_1 + a_2x_2 + \cdots + a_mx_m$. ამასთან, $y_1 \neq 0$. რადგან L წრფივად დამოუკიდებელი სიმრავლეა V-ში (იხ. სავარჯიშო 4.4). მაშასადამე, $a_1, a_2, \ldots, a_m$-დან რომელიღაც $\neq 0$. ვთქვათ, $a_1 \neq 0$, მაშინ $x_1 = a_1^{-1}y_1 - a_1^{-1}a_2x_2 - \cdots - a_1^{-1}a_mx_m$. ე. ი. x_1 არის $\{y_1, y_2, \ldots, x_m\}$ წრფივი კომბინაცია. რადგან S წარმოქმნის V-ს, ამიტომ $\{y_1, x_2, \ldots, x_m\}$-იც წარმოქმნის V-ს, ამიტომ $\{y_1, x_2, \ldots, x_m\}$-იც წარმოქმნის V-ს; ანალოგიურად, მივიღებთ, რომ $\{y_1, y_2, x_3, \ldots, x_m\}$ წარმოქმნის V-ს. თუ გავიმეორებთ ამ პროცესს m-ჯერ, მივიღებთ, რომ $\{y_1, y_2, \ldots, y_m\}$ წარმოქმნის V-ს, $y_{m+1} = p_1y_1 + p_2y_2 + \cdots + p_my_m$, სადაც $p_1, \ldots, p_m \in F$ და ყველა ერთდროულად არაა ნული, რადგან $y_{m+1} \neq 0 \Longrightarrow y_{m+1} - p_1y_1 - p_2y_2 - \cdots - p_my_m = 0$. ეს კი შეუძლებელია, რადგან $\{y_1, y_2, \ldots, y_l\}$ წრფივად დამოუკიდებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ $m > l$.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . ვთქვათ, B და B' არის V ვექტორული სივრცის ბაზისები. მაშინ $|B| = |B'|$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . ვთქვათ, $B = \{e_1, e_2, \ldots, e_n\}$ და $B' = \{e'_1, e'_2, \ldots, e'_n\}$. წინა წინადადების ძალით $n \geq m$ და $m \geq n \Longrightarrow m = n$. ვექტორული

სივრცის ბაზისის სიმძლავრეს ეწოდება V სივრცის განზომილება და ფაღინიშნება $\dim(V)$-ით.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . $\dim(F^n) = n$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . განვმარტოთ $B = \{e_1, e_2, \ldots, e_n\}$, სადაც

$$l_i = (0, \ldots, 0, \underbrace{1_F}_{i\text{-ურ ადგილას}}, 0, \ldots, 0)$$

და ვაჩვენოთ, რომ B არის F^n-ის ბაზისი. ცხადია,

$$(a_1, a_2, \ldots, a_n) = \sum_{i=1}^{n} a_ie_i.$$

ამიტომ B წარმოქმნის F^n-ს და

$$\sum_{i=1}^{n} b_ie_i = 0 \Longrightarrow (b_1, b_2, \ldots, b_n) = 0 \Longrightarrow b_1 = b_2 = \cdots = b_n = 0 = 0_F.$$

ე. ი. B არის ბაზისი და $\dim(V) = |B| = n$.

წინა განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ბაზისი ყოველთვის შეიცავს სასრულ რაოდენობა ელემენტებს. ამასთან, ყველა სივრცეში შეუძლებელია ბაზისი გამოყოფა. მაგალითად, B და $\mathfrak{B}$-ში არ არის ბაზისი.

ბაზისისა და განზომილების ცნება შეიძლება განზოგადდეს მთლიანად ვექტორულ სივრცეებზე, მხოლოდ ასეთი განზოგადება ჩვენ არ გვჭირდება. თუ V სივრცეს აქვს ბაზისი (ზემოთ ნახსენები), მაშინ ამობობენ, რომ სივრცეს აქვს სასრული განზომილება და მას უწოდებენ სასრულგანზომილებიან ვექტორულ სივრცეს.

განვიხილოთ ახლა ვექტორული სივრცის ჰომორფიზმები.

განმარტება. ვთქვათ, V_1 და V_2 ვექტორული სივრცეებია F-ზე. ამბობენ, რომ $T : V_1 \to V_2$ ასახვა წრფივია, თუ

$$T(x+y) = Tx + Ty, \quad T(ax) = a(Tx).$$

თუ $V_2 = V_1$, მაშინ T-ს ეწოდება V_1 სივრცის წრფივი გარდაქმნა.

შემდგომში ჩვენთვის საინტერესო იქნება სასრულგანზომილებიანი ვექტორული სივრცე R-ზე და მისი წრფივი გარდაქმნა. ამ თავის დანარჩენ ნაწილში V-ით აღნიშნული იქნება ვექტორული სივრცე, ხოლო $\mathrm{End}(V)$ – V სივრცის ყველა წრფივ გარდაქმნათა სიმრავლე (ენდომორფიზმთა სიმრავლე).

შევნიშნოთ, რომ ზემოთქმული წინადადებების უმეტესობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ უფრო ზოგადი სახით.

გადავიდეთ V-ს ალგებრიდან $\mathrm{End}(V)$-ის ალგებრაზე და ვაჩვენოთ, რომ $\mathrm{End}(V)$ ჩაკეტილია შეკრების, გამრავლებისა და სკალარზე გამრავლების ოპერაციების მიმართ. თავდაპირველად შევნიშნოთ, რომ I_V იგივური ასახვა და O_V ნულოვანი ასახვა წრფივია V-ზე, რადგან, განმარტების თანახმად,

$$I_V x = x \forall \in V, \quad O_V x = 0 \ \ \forall x \in V.$$

მაშასადამე, $\forall x,\, y \in V$ და $\lambda \in R$ გვაქვს

$$I_V(x+y) = x + y = I_V x + I_V y,$$
$$I_V(\lambda x) = \lambda x = \lambda(I_V x),$$
$$O_V(x+y) = 0 = 0 + 0 = O_V x + O_V y,$$
$$O_V(\lambda x) = 0 = \lambda 0 = \lambda O_V x.$$

თუ $S,\, T \in \mathrm{End}(V)$, მაშინ $S+T$ და $S \circ T$ განიმარტება ფორმულებით:

$$(S+T)x = Sx + Tx \forall\, x \in V,$$
$$(S \cdot T)x = S(Tx) \forall\, x \in V.$$

აღსანიშნავია $\mathrm{End}(V)$-ის შემდეგი თვისებები.

წინადადება. $(\mathrm{End}(V), \circ, +)$ არის ერთეულოვანი რგოლი.

დამტკიცება. მივუთითოთ დამტკიცების ძირითადი ეტაპები. უნდა ვაჩვენოთ, რომ

(I) $S,\, T \in \mathrm{End}(V) \Longrightarrow S + T \in \mathrm{End}(V)$ და $S \circ T \in \mathrm{End}(V)$;

(II) $(\mathrm{End}(V), +)$ კომუტაციური ჯგუფია.

თუ $S,\, T,\, Y \in \mathrm{End}(V)$, მაშინ

(III) $S \circ (T \circ U) = (S \circ T) \circ U$;

(IV) $S \circ (T + U) = S \circ T + S \circ U$;

(V) $I_V \circ T = T \circ I_V = T$.

გვაქვს:

(I) $$(S+T)(x+y) = S(x+y) + T(x+y) = Sx_S y + Tx + Ty =$$
$$(Sx + Tx) + (Sy + Ty) = (S+T)x + (S+T)y.$$

ანალოგიურად

$$(S+T)(\lambda x) = S\lambda x + T\lambda x = \lambda Sx + \lambda Tx = \lambda(Sx+Tx) = \lambda(S+T)x.$$

$S\circ T \in \mathrm{End}(V)$-ის დამტკიცებად ვტოვებთ სავარჯიშოს სახით

$$\text{(II)} \qquad (S+(T+U))x = Sx + (T+U)x = Sx + (Tx+Ux) =$$
$$= (Sx+Tx)+Ux = (S+T)x + Ux = ((S+T)+U)x.$$

ე. ი. $+$ ოპერაცია ასოციაციურია და $O_V \in \mathrm{End}(V)$ ელემენტი აკმაყოფილებს პირობას:

$$T + O_V = O_V + T = T \ \ \forall\, T \in \mathrm{End}(V)$$

და არის ადიციური ერთეული $\mathrm{End}(V)$-ში. $T \in \mathrm{End}(V)$-თვის განვსაზღვროთ $T: V \to V$ ასახვა შემდეგი თანაფარდობით

$$(-T)x = -(Tx) \ \ \forall\, x \in V.$$

ადვილი საჩვენებელია, რომ $-T \in \mathrm{End}(V)$ და $(-T+T) = T + (-T) = O_V$, ამიტომ $-T$ ასახვა არის ადიციური შებრუნებული T-თვის. $(\mathrm{End}(V);+)$-ის კომუტაციურობა გამომდინარეობს $(V;+)$-ის კომუტაციურობიდან.

(III) მტკიცება გამომდინარეობს III თავის შედეგებიდან.

(IV) ყოველი $x \in V$-თვის გვაქვს:

$$(S\circ(T+U))x = S((T+U)x) = S(Tx+Ux) = S(Tx)+S(Ux) =$$
$$= (S\circ T)x + (S\circ U)x = (S\circ T + S\circ U)x.$$

(V) დამტკიცება ტრივიალურია.

ვთქვათ, $T \in \mathrm{End}(V)$ და $\lambda \in R$. განვსაზღვროთ $\lambda T : V \to V$ ასახვა შემდეგი წესით

$$(\lambda T)x = \lambda(Tx) \ \ \forall\, x \in V.$$

ადვილი საჩვენებელია, რომ $\lambda T \in \mathrm{End}(V)$. $\Lambda : R \times \mathrm{End}(V) \to \mathrm{End}(V)$ ასახვას, რომელიც განისაზღვრება $\Lambda(\lambda, T) = \lambda T$ თანაფარდობით, ეწოდება სკალარზე გამრავლება.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . $(\mathrm{End}(V);+;\Lambda)$ ვექტორული სივრცეა $(\mathrm{End}(V);+)$-ზე.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . წინა წინადადებიდან გამომდინარეობს, რომ $(\mathrm{End}(V);+)$ არის კომუტაციური ჯგუფი. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ სკალარზე გამრავლება აკმაყოფილებს პირობებს:

$$(\lambda+\mu)T = \lambda T + \mu T, \quad \lambda(S+T) = \lambda S + \lambda T,$$
$$(\lambda\mu)T = \lambda(\mu T), \quad 1_R T = T,$$

სადაც λ, $\mu \in R$ და S, $T \in \mathrm{End}(V)$. გვაქვს შემდეგი თანაფარდობების ჯაჭვი:

$$((\lambda+\mu)T)x = (\lambda+\mu)(Tx) = \lambda(Tx) + \mu(Tx) = (\lambda T)x + (\mu T)x.$$

დანარჩენი თანაფარდობები მტკიცდება ანალოგიურად.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . გამრავლების ოპერაცია რგოლში და Λ სკალარზე გამრავლება $\mathrm{End}(V)$-ში აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$\lambda(S \circ T) = (\lambda S) \circ T = S \circ (\lambda T),$$

სადაც $\lambda \in R$ და $S, T \in \mathrm{End}(V)$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა .

$$(\lambda(S \circ T))x = \lambda((S \circ T)x) = \lambda(S(Tx)) = (\lambda S)(Tx) = ((\lambda S) \circ T)x,$$
$$(\lambda(S \circ T))x = \lambda((S \circ T)x) = \lambda(S(Tx)) = S(\lambda(Tx)) = (S \circ (\lambda T))x.$$

ალგებრულ სტრუქტურებს, რომელთაც აქვთ იგივე თვისებები, რაც $\mathrm{End}(V)$-ს, უწოდებენ წრფივ ალგებრებს.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . $(X; +, \circ A)$ ოთხეულს ეწოდება წრფივი ალგებრა R-ზე, თუ მოცემულია $\Lambda : R \times X \to X$ ასახვა და სრულდება:

(I) $(X; +, \Lambda)$ ვექტორული სივრცე R-ზე;

(II) $(X; \circ, +)$ რგოლია;

(III) Λ და $\circ$ აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

$$\lambda(x_1 \cdot x_2) = (\lambda x_1) \circ x_1 = x_1 \circ (\lambda x_2)$$

$\forall\, \lambda \in R$ და $x_1,\, x_2 \in X$.

$\mathrm{End}(V)$-ში მიღებული შედეგები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . $\mathrm{End}(V)$ ზემოაღნიშნული ოპერაციებით არის წრფივი ალგებრა მულტიპლიკაციური ერთეულით.

თუ $T \in \mathrm{End}(V)$ და $\exists\, S : V \to V$ ისეთი, რომ

$$S \circ T = T \circ S = I_V,$$

მაშინ $S \in \mathrm{End}(V)$. ასეთ შემთხვევაში T-ს ეწოდება შებრუნებადი, ხოლო $S = T^{-1}$-ს T გარდაქმნის შებრუნებული.

$\mathrm{Aut}(V)$-თი აღვნიშნოთ ყველა შებრუნებული გარდაქმნების სიმრავლე $\mathrm{End}(V)$-დან, ე. ი. V-ს ავტომორფიზმთა სიმრავლე.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . $(\mathrm{Aut}(V), \circ)$ არის ჯგუფი.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . რადგან $I_V \in \mathrm{Aut}(V)$ და $I_V \circ I_V = I_V$, შესაბამისად არსებობს I_V^{-1}, რომელიც I_V-ის ტოლია.

ვთქვათ, $S \in \mathrm{Aut}(V)$, მაშინ

$$S^{-1} \circ S = S \circ S^{-1} = I_V.$$

ამიტომ $(S^{-1})^{-1}$ არსებობს და ემთხვევა S-ს. ე. ი. $S^{-1} \in \mathrm{Aut}(V)$, თუ $S', T \in \mathrm{Aut}(V)$, მაშინ

$$(S \circ T) \circ (T^{-1} \circ S^{-1}) = S \circ (T \circ T^{-1}) \circ S^{-1} = S \circ S^{-1} = I)v.$$



ნახ. 1.2

ანალოგიურად, $(T^{-1} \circ S^{-1}) \circ (S \circ T) = I_V$, ამიტომ $(S \circ T)^{-1}$ არსებობს და რადგან $S, T \in \mathrm{Aut}(V) \Longrightarrow S \circ T \in \mathrm{Aut}(V)$. ოპერაციის ასოციაციურობა უკვე დამტკიცებულია.

1.2. სტრუქტურული გამოსახულებები R^n-ში. განვიხილოთ R^n-ის გეომეტრიული ინტერპრეტაცია, სადაც ვექტორის "სიგრძეს" და "მიმართულებას" აქვს გეომეტრიულიაზრი. განვიხილოთ R^2. თუ $r(x,y) \in R^2$, მაშინ მანძილი (x,y) წერტილიდან $(0,0)$ წერტილამდე არის $(x^2+y^2)^{1/2}$. ეს მანძილი აღვნიშნოთ $\|r\|$-ით, ეს ფაქტიურად არის $\|\cdot\| : R^2 \to R$ ასახვა. მას ეწოდება სიგრძე (იგივეა, რაც მოდული ან ნორმა). განვიხილოთ $r_1(x_1,y_1)$ და $r_2(x_2,y_2)$ წერტილები (სურ. 1.4)

ვთქვათ, θ_1 და θ_2 $[0,\pi]$ შუალედიდან აღებული კუთხეებია, რომელსაც ქმნის r_1 და r_2 ვექტორები ox ღერძის დადებით მიმართულებასთან. მაშინ r_1 და r_2 ვექტორებს შორის მანძილია $\|r_2 - r_1\|$, ხოლო $\theta = \theta_2 - \theta_1$ – მათ შორის კუთხეა,

$$\cos\theta = \cos(\theta_2 - \theta_1) = \cos\theta_1 \cos\theta_2 + \sin\theta_1 \theta_2 =$$
$$= \frac{x_1}{\|r_1\|}\,\frac{x_2}{\|r_2\|} + \frac{y_1}{\|r_1\|}\,\frac{y_2}{\|r_2\|} = \frac{x_1x_2 + y_1y_2}{\|r_1\|\,\|r_2\|}\,.$$

$x_1x_2 + y_1y_2$ გამოსახულება შეგვიძლია გამოვიყენოთ მანძილების და კუთხეების დასათვლელად r^2-ში. განვსაზღვროთ $\Phi : R^2 \times R^2 \to R$ ასახვა შემდეგნაირად

$$\Phi(r_1, r_2) = x_1x_2 + y_1y_2,$$

მაშინ

$$\|r\| = (\Phi(r_1,r_2))^{1/2}, \quad \cos\theta = \frac{\Phi(r_1,r_2)}{[\Phi(r_1,r_1)\Phi(r_2,r_2)]^{1/2}}\,.$$

θ კუთხე R^2-ის ორ ვექტორს შორის განიმარტება ცალსახად იმ პირობით, რომ $0 \leq \theta \leq \pi$. როცა $\theta = 0$, ან $\theta = \pi$, ამბობენ, რომ r_1 და r_2 არაელელეურებია (კოლინეარულია).

გამოყენებით მათემატიკაში $\Phi(r_1, r_2)$-ს აღნიშნავენ $r_1 \cdot r_2$-ით და უწოდებენ სკალარულ ნამრავლს. თუ $r_1 \neq 0$ და $r_2 \neq 0$, მაშინ $r_1 \cdot r_2 = 0$. მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\theta = \pi/2$. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ r_1 და r_2 ურთიერთმართობულია (ორთოგონალურია). მოვიყვანოთ სკალარული ნამრავლის თვისებები.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა .

1) $r \cdot r \geq 0$ და $r \cdot r = 0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $r = (0, 0)$;

2) $r_1 \cdot r_2 = r_2 \cdot r_1 \; \forall r_1, \, r_2 \in R^2$;

3) $r_1 \cdot (r_2 + r_2) = r_1 \cdot r_2 + r_1 \cdot r_3 \; \forall r_1, \, r_2, \, r_3 \in R^2$;

4) $\lambda(r_1 \cdot r_2) = (\lambda r_1) \cdot r_2 = r_1 \cdot (\lambda r_2), \, \forall r_1, \, r_2 \in R^2, \, \lambda \in R$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა .

1) თუ $r = (x, y) = R^2$, მაშინ $r \cdot r = (x^2 + y^2) \geq 0 \; \forall x, \, y \in R$ და $r \cdot r = 0$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $x = 0$ და $y = 0$.

2) $r_1 \cdot r_2 = x_1 x_2 + y_1 y_2 = x_2 x_1 + y_2 y_1 = r_2 \cdot r_1$.

3) და (4) მტკიცდება ანალოგიურად (დაამტკიცეთ!).

ზოგადად, თუ V ვექტორული სივრცეა R-ზე და $\Phi : V \times V \to R$ ასახვა აკმაყოფილებს (1)–(4) პირობებს, მაშინ $(V; \Phi)$ ვექტორულ სივრცეში განიხილება კუთხისა და სიგრძის ცნებები. Φ ასახვას ეწოდება V-ს შიგა ნამრავლი, ხოლო $(V; \Phi)$-ს – ვექტორული სივრცის შიგა ნამრავლი. კერძოდ, თუ განვმარტავთ $\Phi : R^n \times R^n \to R \; (n \in N)$ ასახვას შემდეგი წესით:

$$\Phi(a, b) \equiv a \cdot b = \sum_{i=2}^{n} a_i b_i,$$

სადაც $a = (a_1, a_2, \ldots, a_n)$, $b = (b_1, b_2, \ldots, b_n)$, მაშინ ეს ასახვა იქნება აღნიშნული თვისებების მქონე. განვიხილოთ a ვექტორის სიგრძე, როგორც $\|a\| = (a \cdot a)^{1/2}$. ხოლო

$$\cos(\widehat{a, b}) = \frac{a \cdot b}{\|a\| \, \|b\|} \quad (\text{კუთხე} \in [0, \pi]).$$

R^b შესაძლებელია განიმარტოს სხვა შიგა ნამრავლებიც.

ზემომოყვანილ გამრავლებას უწოდებენ ჩვეულებრივს ან ევკლიდურ ნამრავლს.

როცა $n = 1$, ეს ნამრავლი არის ჩვეულებრივი გამრავლება R-ში, ხოლო $\arccos \frac{xy}{|x| \, |y|}$ კუთხე არის 0 ან π, xy-ის ნიშნის შესაბამისად. $\| \cdot \|$ ნორმა არის R-ის $| \cdot |$ მოდულის განზოგადება და აქვს ანალოგიური თვისებები. მაგალითად,

შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ

$$\|a\| \geq 0 \;\; \forall\, a \in R^n,$$
$$\|a\| = 0 \;\; \text{მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა } a = 0,$$
$$\|\lambda a\| = |\lambda|\, \|a\| \;\; \forall\, a \in R^n \;\; \text{და } \lambda \in R,$$
$$\|a + b\| \leq \|a\| + \|b\| \;\; \forall\, a,\, b \in R^n.$$

$a \in R^n$ ვექტორს ეწოდება ერთეულოვანი, თუ $\|a\| = 1$ (ეს იგივეა, რომ $a{\cdot}a = 1$). თუ $a \in R^n \backslash \{0\}$, მაშინ $\frac{a}{\|a\|}$ არის ერთეულოვანი ვექტორი, რომელიც a ვექტორის თანამიმართულია. ერთეულოვან ვექტორს აღნიშნავენ $\widehat{a}$-ით.

თუ $B = \left\{\widehat{e}_1, \widehat{e}2, \dots, \widehat{e}_n\right\}$ არის R^n-ის ბაზისი ისეთი, რომ

$$e_i e_j = \begin{cases} 0, & \text{თუ } \; i \neq j \\ 1 & \text{თუ } \; i = j \end{cases},$$

მაშინ ბაზისს ეწოდება ორთონორმირებული.

R^n-ის ორთონორმირებულ ბაზისს, რომელიც აგებულია შემდეგი წესით

$$\widehat{e}_i = (0, 0, \dots, 0, \underbrace{\quad 1 \quad}_{i\text{-ურ ადგილას}}, 0, \dots, 0), \;\; 1 \leq i \leq n.$$

უწოდებენ სტანდატულ ბაზისს R^n-ში. R^2-ის და R^3-ის სტანდარტული ბაზისებია $(\widehat{i}, \widehat{j})$ და $(\widehat{i}, \widehat{j}, \widehat{k})$. განვიხილოთ ამ ბაზისთა გეომეტრიულ იინტერპრეტაცია. i და j ვექტორები R^2-ში ქმნიან მარჯვენა სისტემას, ხოლო მესამე oz ღერძი მართობია $\widehat{i}$ და $\widehat{j}$ ვექტორების შემცველი სიბრტყის, ამასთან მიმართულია ისე, რომ სამეული $(\widehat{i}, \widehat{j}, \widehat{k})$ იყოს მარკვენა (იხ. სურ 1.5).

განმარტება. ვთქვათ, $a = (a_1, a_2, a_3) \in R^3$ და $b = (b_1, b_2, b_3) \in R^3$, a და b ვექტორების $a \times b$ ვექტორული ნამრავლი არის

$$a \times b = (a_2 b_3 - a_3 b_2, a_3 b_1 - a_1 b_3, a_1 b_2 - a_2 b_1)$$

ვექტორი. "$\times$" ოპერაცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც $R^3 \times R^3 \to R^3$ ასახვა.

წინადადება. თუ $a,\, b \in R^3$, მაშინ

1) $\|a \times b\| = \|a\|\, \|b\| \sin\theta$, სადაც θ არის კუთხე a-სა და b-ს შორის;

2) $a \times b$ ვექტორი მართობულია a და b ვექტორების;



ნახ. 1.3

დამტკიცება.
1) $\|a \times b\|^2 = (a_2b_3 - a_3b_2)^2 + (a_3b_1 - a_1b_3)^2 + (a_1b_2 - a_2b_1)^2 =$

$$= a_2^2b_3^2 + a_3^2b_2^2 - 2a_2b_3a_3b_2 + a_3^2b_1^2 + a_1^2b_3^2 -$$
$$-2a_3b_1a_1b_3 + a_1^2b_2^2 + a_2^2b_1^2 - 2a_1b_2a_2b_1 =$$
$$= (a_1^2 + a_2^2 + a_3^2)(b_1^2 + b_2^2 + b_3^2) - (a_1b_1 + a_2b_1 + a_3b_3b)^2 =$$
$$= \|a\|^2\|b\|^2 - (a \cdot b)^2 = \|a\|^2\|b\|^2\Big(1 - \frac{(a \cdot b)^2}{\|a\|^2\|b\|^2}\Big) =$$
$$= \|a\|^2\|b\|^2(1 - \cos^2\theta) = \|a\|^2\|b\|^2\sin^2\theta.$$

2) ადვილი საჩვენებელია, რომ $a \cdot (a \times b) = 0$ და $b \cdot (a \times b) = 0$, $\Longrightarrow$ დასამტკიცებელი.

$a \times b$ ვექტორის გეომეტრიული ინტერპრეტაციისთვის შევნიშნოთ, რომ თუ

$$a = (a_1, 0, 0), \quad b = (b_1, b_2, 0),$$

მაშინ $a \times b = (0, 0, a_1 b_2)$ ამიტომ, როცა $a_1 > 0$, მაშინ

$$a \times b = \begin{cases} |a_1 b_2|\widehat{k}, & b_2 > 0 \\ -|a_1 b_2|\widehat{k}, & b_2 < 0 \end{cases},$$

$a \times b$ ვექტორის მიმართულება უნდა ავირჩიოთ ისე, რომ სამეული $(a, b, a \times b)$ იყოს მარჯვენა. ვექტორული ნამრავლი წარმოიდგინება შემდეგი სახით:

$$a \times b = \|a\| \cdot \|b\| \sin\theta \cdot \widehat{n},$$

სადაც $\widehat{n}$ ერთეულოვანი ვექტორია, რომელიც მართობული a და b ვექტორების. ამასთან, (a, b, n) მარჯვენაა. თუ $a \times b = 0$, მაშინ a და b წრფივად დამოკიდებულია, და თუ $\|a\| > 0$ და $\|b\| > 0$, მაშინ $a \times b = 0$ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ a და b კოლინეარულია, ვთქვათ, მოცემულია a და b ვექტორები (იხ. სურ 5.6) მაშინ $\|a \times b\|$ – ეს არის $OACB$ პარალელოგრამის ფართობი და $a \times b$-ს განიხილავენ, როგორც ფართობის ვექტორს.



ნახ. 1.4

მოვიყვანოთ ზოგიერთი თვისება (დაამტკიცეთ!).

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა .

1) $a \times b = -b \times a$;

2) $a \times (b + c) = a \times b = a \times c$;

3) $(\lambda a) \times b = a \times (\lambda b) = \lambda(a \times b)$;

4) $\widehat{i} \times \widehat{j} = \widehat{k}$, $\widehat{j} \times \widehat{k} = \widehat{i}$, $\widehat{k} \times \widehat{i} = \widehat{j}$;

5) $a \times (b \times c) = (a \cdot c)b - (a \cdot b)c$;

6) $a \times (b \times c) = b \cdot (c \times a) = c \cdot (a \times b) = -a \cdot (c \times b) = -b \cdot (a \times c) = -c(b \times a)$.

$a\times(b\times c)$ გამოსახულებას ხშირად უწოდებენ ორმაგ ვექტორულ ნამრავლს, ხოლო $a\cdot(b\times c)$-ს – შერეულ ნამრავლს. გეომეტრიულად $a\cdot(b\times c)$ არის a, b, c ვექტორებზე დაჭიმული პარალელეპიპედის მოცულობა.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . $\{a,b,c\}\subset R^3$ წრფივად დამოკიდებულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $a\cdot(b\times c)=0$.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . დავუშვათ, რომ a, b და c წრფივად დამოკიდებულია, მაშინ $\exists\,\lambda,\mu,\sigma\in R$, რომლებიც ერთდროულად არაა ნული და სრულდება

$$\lambda s+\mu b+\sigma c=0.$$

ზოგადობის დაურღვევლად ვიგულისხმოთ, რომ $\lambda\neq 0$, მაშინ

$$\begin{aligned}a=-\lambda^{-1}(\mu+\sigma c),&\\ a\cdot(b\times c)&=-\lambda^{-1}(\mu+\sigma c)\cdot(b\times c)=\\ &=-\lambda^{-1}\big[\mu b\cdot(b\times c)+\sigma c\cdot(b\times c)\big]=0.\end{aligned}$$

პირიქით, თუ $a\cdot(b\times c)=0$, მაშინ ან ა) a, b და c ვექტორებიდან ერთ-ერთი ნულია, ან ბ) a ორთოგონალურია $b\times c$ ვექტორის. b და c ორთოგონალურია $b\times c$ ვექტორის, ამიტომ $a=\lambda' b+\mu' c$ რაიმე $\lambda',\mu'\in R$. ე. ი. a, b და c წრფივად დამოკიდებულია.

და ბოლოს, მოკლედ განვიხილოთ "ვექტორული" ფუნქციის დიფერენცირებადობის საკითხი. ე. ი. R^n-ზე მოცემულია ჩვეულებრივი ნორმა. განვსაზღვროთ $f:R\to R^n$ წარმოებული ფუნქცია.

ერთგანზომილებიანი შემთხვევის განზოგადებით ვიტყვით, რომ f დიფერენცირებადია t წერტილში, თუ $\exists\,F(t)=(F_1(t),\dots,F_n(t))\in R^n$ ისეთი, რომ

$$\Big\|\frac{f(t+h)-f(t)}{h}-F(t)\Big\|\longrightarrow 0,\ \text{ როცა }\ t\to 0,$$

ე. ი. თუ f-ის კომპონენტებია $f_1,\dots,f_n$ ისეთი, რომ

$$\Big\|\frac{f_1(t+h)-f_1(t)}{h}-F_1(t),\dots,\frac{f_n(t+h)-f_n(t)}{h}-F_n(t)\Big\|\longrightarrow 0.$$

როცა $h\to 0$. ცხადია, თითოეული კომპონენტი მიისწრაფვის ნულისკენ, როცა $h\to 0$, ამიტომ $\frac{df}{dt}$ არსებობს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს $\frac{df_1}{dt},\dots,\frac{df_n}{dt}$ და

$$\frac{df}{dt}=\Big(\frac{df_1}{dt},\dots,\frac{df_n}{dt}\Big).$$

სხვაგვარად, "ვექტორული" ფუნქციის დიფერენცირებადობისთვის გვჭირდება მისი კომპონენტების დიფერენცირებადობა. მაგალითად, თუ $f:R\to R^3$ განსაზღვრულია შემდეგი წესით

$$f(t)=(2t^2,\ln t,\sin^2 t),$$

მაშინ

$$\frac{df}{dt}=\Big(4t,\frac{1}{t},2\sin t\cos t\Big).$$

ვთქვათ, მოცემულია $f : R \to R^3$ და $g : R \to R^3$. განვსაზღვროთ $f \cdot g : R \to R^3$ და $f \times g : R \to R^3$. დავუშათ, რომ

$$(f \cdot g)(t) = f(t) \cdot g(t) \text{ და } (f \times g)(t) = f(t) \times g(t),$$

მაშინ

$$\frac{d}{dt}(f \cdot g) = f \cdot \frac{dg}{dt} + \frac{df}{dt} \cdot g,$$
$$\frac{d}{dt}(f \times g) = f \times \frac{dg}{dt} + \frac{df}{dt} \times g.$$

(დაამტკიცეთ!)

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 5.4.

1. თუ V არის ვექტორული სივრცე F ველზე, მაშინ

$$O_F x = 0 \;\; \forall x \in V,$$
$$a0 = 0 \;\; \forall a \in F.$$

2. $(a; 1; 3) \in R^3$ ვექტორი $(a \in R)$ წარმოადგინეთ

$$S\{(1;1;0), (0;2;0), (0;0;4)\}$$

ვექტორების წრფივი კომბინაციის სახით. აჩვენეთ, რომ S არის წრფივად დამოუკიდებელი სისტემა. არის თუ არა S სისტემა R^3-ის ბაზისი?

3. აჩვენეთ, რომ თუ $\{x_1, \ldots, x_m\}$ არის V სივრცის წრფივად დამოუკიდებელი სისტემა, მაშინ $x_i \neq 0 \; \forall i$-თვის, $1 \leq i \leq m$.

4. ა) რომელია წრფივი გარდაქმნა?

$$T_1(x, y) = (a, y), \;\; a \in R \setminus \{0\},$$
$$T_2(x, y) = (\lambda x + y, \sigma y), \;\; \lambda, \sigma \in R \setminus \{0\},$$
$$T_3(x, y) = (x^2, 0),$$
$$T_4(x, y) = (x, 0).$$

ბ) განმარტეთ $T_2 \circ T_4$ და $T_4 \circ T_2$ ნამრავლი.

გ) დაამტკიცეთ, რომ თუ $T \in \mathrm{End}(V)$, მაშინ $T0 = 0$.

5. ა) თუ V არის ვექტორული სივრცე, მაშინ $p : V \to V$ გარდაქმნას ეწოდება პროექცია, თუ $(p \circ p)x = Px, \forall x \in V$. დაამტკიცეთ, რომ $p : R^2 \to R^2$ გარდაქმნა, სადაც

$$p(x, y) = \Big(\frac{1}{a-b}(ax - y + c); \frac{b}{a-b}(ax - y + c) + c\Big),$$

a, b, $c \in R$ და $a \neq b$, არის პროექცია R^2-ში. რა პირობებში სრულდება $p \in \mathrm{End}(R^2)$?

ბ) (4ა) სავარჯიშოს რომელი გარდაქმნაა პროექცია?

6. ვთქვათ, $T \in \mathrm{End}(V)$. $N(T) = \{x \in V : \ Tx = 0\}$ ქვესიმრავლეს ეწოდება ნულოვანი ქვესივრცე (სირთვი). აჩვენეთ, რომ $N(T)$ ქვესივრცეა V-ში. აჩვენეთ, რომ T-ს ანასახი ასევე ქვესივრცეა V-ში.

7. ვთქვათ, V ვექტორული სივრცეა R-ზე და $T \in \mathrm{End}(V)$. ამბობენ, რომ T-ს აქვს საკუთრივი მნიშვნელობა $\lambda \in R$, თუ $\exists$ არანულოვანი $x \in V$ ვექტორი, რომ $Tx = \lambda x$. x-ს ეწოდება T-ს საკუთრივი ვექტორი, რომელიც შეესაბამება λ-ს.

ა) აჩვენეთ, რომ თუ $T \in \mathrm{End}(V)$ ისეთია, რომ

$$T(x,y) = (x + ay; y),$$

მაშინ $\forall\,(p,0)$ სახის ვექტორი $(p \neq 0)$ არის T-ს საკუთრივი ვექტორი. რომელია მისი საკუთრივი მნიშვნელობა?

ბ) ვთქვათ, $T \in \mathrm{End}(V)$. V_λ-ით აღვნიშნოთ λ საკუთრივი მნიშვნელობების შესაბამისი საკუთრივი ვექტორების სიმრავლე. აჩვენეთ, რომ $V_\lambda \cup \{0\}$ რის ვექტორული ქვესივრცე V-ში. დაამტკიცეთ ანალოგიური დებულება $N(T)$-თვის.

8. იპოვეთ T_1, $T_2 \in \mathrm{End}(R^2)$-ის საკუთრივი ვექტორები და საკუთრივი მნიშვნელობები:

$$T_1(x,y) = (-y, x), \quad T_2(x,y) = (x, -y).$$

რა გეომეტრიული აზრი აქვს T_1-ს და T_2-ს?

9. დაამტკიცეთ

ა) თუ S, $T \in \mathrm{End}(V)$, მაშინ $S \circ T \in \mathrm{End}(V)$;

ბ) თუ $T \in \mathrm{End}(V)$-თვის არსებობს $S : V \to V$ გარდაქმნა ისეთი, რომ

$$S \circ T = T \circ S = I_V,$$

მაშინ $S \in \mathrm{End}(V)$;

გ) თუ $T \in \mathrm{Aut}(V)$, მაშინ $\Lambda^0(T) = \{0\}$.

10. დაამტკიცეთ, რომ თუ r_1, r_2, $r_3 \in R^2$ და $\lambda \in R$, მაშინ

ა) $r_1 \cdot (r_2 + r_3) = r_1 \cdot r_2 + r_1 \cdot r_3$;

ბ) $\lambda(r_1 \cdot r_2) = (\lambda r_1) \cdot r_2 = r_1 \cdot (\lambda r_2)$;

გ) $|r_1 \cdot r_2| \leq \|r_1\|\,\|r_2\|$;

დ) $\|r_1 - r_2\|^2 = \|r_1\|^2 + \|r_2\|^2 - 2\|r_1\|\,\|r_2\| \cos\theta$, სადაც θ არის კუთხე r_1-სა და r_2-ს შორის.

ე) $\big|\|r_1\| - \|r_2\|\big| \leq \|r_1 + r_2\| \leq \|r_1\| + \|r_2\|$. (ბოლო უტოლობა ცნობილია სამკუთხედის უტოლობის სახელით.)

ახსენით მათი გეომეტრიული აზრი.

11. გამოთვალეთ $a = (1,1,1)$, $b = (1,p,0)$, $p \in R$ ვექტორების პარალელური ერთეულოვანი ვექტორები. იპოვეთ ერთეულოვანი ვექტორი, რომელიც მართობულია a და b ვექტორების ერთდროულად.

12. ვთქვათ, a, b, $c \in R^3$ და $\lambda \in R$. დაამტკიცეთ, რომ

1) $a \times b = -b \times a$;

2) $a \times (b + c) = a \times b = a \times c$;

3) $(\lambda a) \times b = a \times (\lambda b) = \lambda(a \times b)$;

4) $\widehat{i} \times \widehat{j} = \widehat{k}$, $\widehat{j} \times \widehat{k} = \widehat{i}$, $\widehat{k} \times \widehat{i} = \widehat{j}$;

5) $a \times (b \times c) = (a \cdot c)b - (a \cdot b)c$;

6) $a(b \times c) = b \cdot (c \times a) = c \cdot (a \times b) = -a \cdot (c \times b) = -b \cdot (a \times c) = -c(b \times a)$.

13. გამოიყენეთ 5.4.12-ის შედეგები და აჩვენეთ, რომ $X : R^3 \to R^3$ არა ასოციურია (ე. ი. $a \times (b \times c) \neq (a \times b) \times c$, ზოგადად).

14. ვთქვათ, $g : R \to R^3$. დაამტკიცეთ, რომ

ა) $\dfrac{d}{dt}(f \cdot g) = f \cdot \frac{dg}{dt} + \frac{df}{dt} \cdot g$;

ბ) $\dfrac{d}{dt}(f \times g) = f \times \frac{dg}{dt} + \frac{df}{dt} \times g$.

გ) თუ $\|f(t)\| = a \ \forall t$-თვის, სადაც a $(a \in R)$ მუდმივია, მაშინ $\frac{df}{dt}$ ორთოგონალურია f-ის ყველა t-თვის. გამოთვალეთ

$$f(t) = (a\cos t, a\sin t, 0), \quad g(t) = (0, 1, t).$$

მესერები და ბულის ალგებრები

§ 1. მესერები და ბულის ალგებრები

ბულის ალგებრას ჩვენ უკვე გავეცანით ზემოთ. ვაჩვენებთ, რომ ბულის არაერთი ალგებრა არსებობს. დავიწყოთ უფრო ზოგადი სტრუქტურების, ე. წ. მესერების შესწავლა. ზოგიერთი მესერი ძალიან მნიშვნელოვანია გამოთვლების თეორიაში აპროქსიმაციის თვალსაზრისით. ერთი პროგრამა ახდენს მეორის აპროქსიქმაციას, თუკი მოცულობათა სივრცეში ერთი და იგივე გამოთვლები ტარდება.

გამოთვლა არის რაიმე მოცემულობებზე პროგრამის მოქმედების შედეგი. ამასთან, ეს პროგრამა დაწრილია რაიმე ენაზე. საზოგადოდ, გამოთვლილი თვისებები ჩაწერილი უნდა იყოს იმ ენის ტერმინებში, რომლითაც ეს პროგრამაა დაწერილი.

1.1. მესერები. შეგახსენებთ, რომ ρ ბინარული მიმართება S სიმრავლეზე არის ნაწილობრივი დალაგების მიმართება, თუ სრულდება რეფლექსურობა, ტრანზიტულობა და ანტისიმეტრიულობა. ე. ი. (S, ρ) არის ნაწილობრივ დალაგებული სიმრავლე, შესაძლებელია ρ ჩაიწეროს, როგორც "$\leq$", ხოლო $(S, \leq)$ – უბრალოდ S. ნაწილობრივ დალაგებულ სიმრავლეს ეწოდება წრფივად დალაგებული (ჯაჭვი), თუ $\forall\, x, y \in S$ ან $x \leq y$ ან $y \leq x$, ან სრულდება ორივე ერთად. საზოგადოდ, ნებისმიერი ნაწილობრივი დალაგება შეიძლება წარმოდგინდეს, როგორც წრფივი დალაგების გაერთიანება.

შევნიშნოთ, რომ ყოველი სასრული წრფივი დალაგება $(A, \leq)$ შეიძლება წაროვადგინოთ, როგორც

$$a_1 \leq a_2 \leq \cdot \leq a_n.$$

ასეთ შაემთხვევაში რეფლექსურობისა და ტრანზიტულობის დამტკიცება არაა საჭირო. 1.1(ა) ნახაზზე ნაჩვენებია $(A, \leq)$-ს წარმოდგენა. A-ს ჩავწერთ, როგორც $(a_1, a_2, \ldots, a_n)$.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . სასრულ სიმრავლეს ნაწილობრივ დალაგება შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც რაღაც ქვესიმრავლეთ წრფივი დალაგებების გაერთიანება. (დაამტკიცეთ!)

ამ ფაქტის გამოყენებით, ყოველი ნაწილობრივი დალაგება შეიძლება წარმოვადგინოთ ჯაჭვების საშუალებით. მიღებულ დიაგრამას უწოდებენ ჰასის დიაგრამას.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1.1. $\rho = \big\{(x, y \cdot x)$ არის y-ის გამყოფი$\big\}$ მიმართება, რომელიც განსაზღვრულია $\{1, 2, 3, 4, 6, 10, 12, 20\}$ სიმრავლეზე, გვაძლევს ჰასის



ნახ. 1.1

დიაგრამას (იხ. ნახ. 1.1(ბ)) და დაყოფილია ჯაჭვებად:

$$\{(1,2,4,12),(1,3,6,12),(2,6),(4,20),(2,10,20)\}$$

ეს დაყოფა ეკვივალენტურია $\{(2,6,12),(1,3,6),(1,2,10,20),(2,4,20),(4,12)\}$ სისტემის.

შევნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ $1\rho x$ $\forall x$-თვის მცემული სიმრავლიდან, დიაგრამაზე არ არის 1-დან გამავალი 8 ისარი. ეს მიიღწევა რეფლექსურობისა და ტრანზიტულობის თვისების გამო.

ვთქვათ, მოცემულია $(A,\leq)$ და $B\subseteq A$. ბუნებრივია ისმის კითხვა: B არის თუ არა შემოსაზღვრული ზევიდან (ქვევიდან) A-ს ელემენტებით? შემდეგში მოვძებნით უმცირეს ზედა საზღვარს (უდიდეს ქვედა საზღვარს), რომელიც აღინიშნება sup (inf). ეს განმარტებები მოცემული იყო თავი 2-ის მე-5 პარაგრაფში. მათ გამოვიყენებთ მესერების განხილვისას.

განმარტება. ნაწილობრივ დალაგებულ $(A,\leq)$ სიმრავლეს ეწოდება მესერი, თუ მის ყოველ წყვილს აქვს სუპრემუმი და ინფიმუმი. ამას აღვნიშნავთ შემდეგნაირად:

$$X\wedge Y-\inf(\{x,y\}),\quad X\vee Y=\sup(\{x,y\}).$$

ყოველი ნაწილობრივ დალაგებული სიმრავლე მესერი არ არის. მაგალითად, 1.1. მაგალითის ნაწილობრივ დალაგებუილი სიმრავლე არ არის მესერი, რადგან $12\vee 20$ არ არის განსაზღვრული.

$\wedge$ და $\vee$ ოპერაციები ნაწილობრივ დალაგებულ სიმრავლის წყვილებს შორის შეიძლება კიდევ უფრო განვაზოგადოთ.

ვთქვათ, $\wedge X = \bigwedge\limits_{x\in X} x = \inf X$, $\vee X = \bigvee\limits_{x\in X} x = \sup X$ ეს არის სასრული არაცარიელი X სიმრავლის $\sup X$ და $\inf X$.

ადვილი სანახავია, რომ არსებობს მრავალი სპეციალური ტიპის მესერები, რომელშიც შესაძლებელია სხვადასხვა ოპერაციების ჩატარება. განვიხილოთ სმი მათგანი.

განმარტება. L მესერს ვუწოდოთ დისტრიბუციული, თუ ის აკმაყოფილებს პირობებს:

$$x \wedge (y \vee z) = (x \wedge y) \vee (x \wedge z),$$
$$x \vee (y \wedge z) = (x \vee y) \wedge (x \vee z),$$

$\forall\, x,\, y,\, z \in L$.

ყველა მესერი არ არის დისტრიბუციული.

მაგალითი 1.2. 1.9 ნახაზზე გამოსახული მესერი არ არის დისტრიბუციული, რადგან

$$b \wedge (d \vee c) = b \wedge e = b,$$

მაშინ

$$(b \wedge d) \vee (b \wedge c) = a \vee a = a.$$

წინადადება. ვთქვათ, $(L, \wedge, \vee)$ დისტრიბუციულ მესერში სრულდება თანაფარდობები

$$x \vee y = x \vee z_1, \quad x \wedge y = x \wedge z.$$

მაშინ $y = z$.



ნახ. 1.2

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა. შევნიშნოთ, რომ
ა) $a \wedge b = b \wedge a$, $a \vee b = b \vee a$;
ბ) $a \wedge b \leq a \leq a \vee b$;
გ) $(a \wedge b) \vee a = a$, $a \wedge (a \vee b) = a$.
ამიტომ

$$y = y \vee (y \wedge x) = y \vee (z \wedge x) = (y \vee z) \wedge (y \vee x) = \\ = (z \vee y) \wedge (z \vee x) = z \vee (y \wedge x) = z \vee (z \wedge x) = z.$$

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . დავუშვათ, რომ $(L, \wedge, \vee)$ მესერში $0, 1 \in L$ და $0 \leq x \leq 1$, $\forall x \in L$, მაშინ

$$x \vee 1 = 1, \;\; x \wedge 1 = x, \;\; x \wedge 0 = 0, \;\; x \vee 0 = 0, \;\; \forall x \in L.$$

ასეთ მესერს უწოდებენ მესერს **გ ა ს რ უ ლ ე ბ ი თ**, თუ $\forall x \in L$-თვის $\exists \overline{x} \in L$ ისეთი, რომ $x \wedge \overline{x} = 0$, $x \vee \overline{x} = 1$ ($\overline{x}$-ს ეწოდება x-ის გასრულება).

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . თუ $(L, \wedge, \vee)$ არის დისტრიბუციული მესერი გასრულებით, მაშინ გასრულება ერთადერთია.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა. დავუშვათ, რომ x, y, $z \in L$ და

$$x \vee y = x \vee z (= 1), \quad x \wedge y = x \wedge z (= 0).$$

მაშინ წინა წინადადების ძალით $y = z$.

მესერის მესამე, სპეციალური ტიპი უჩვეულობა იმ თვალსაზრისით, რომ სასრული მესერების შესახებ არ ამბობს რაიმე ახალს.

ჩამოვაყალიბოთ მესერთა სხვაგვარი განმარტება წინადადების სახით.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა . L არის მარტივი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\vee x$ და $\wedge x$ არსებობს L-ის ყოველი არაცარიელი, სასრული X ქვესიმრავლისთვის.

(მტკიცდება ინდუქციით, დაამტკიცეთ!)

თუ L-ში განსაზღვრული $\wedge L$, იგი აღინიშნება O-ით და ეწოდება უმცირესი ელემენტი L-ში. ანალოგიურად, თუ L-ში არსებობს $\vee L$, აღინიშნება 1-ით და ეწოდება L-ის უდიდესი ელემენტი. განმარტების ძალით $\vee \varnothing = 0$.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . L მესერს ეწოდება სრული, თუ $\vee x$ და $\wedge x$ არსებობს ყველა X ქვესიმრავლეთათვის L-დან.

ყველა სასრული მესერი სრულია. განვიხილოთ Q სიმრავლე ჩვეულებრივი $\leq$ დალაგებით და უსასრულო სიმრავლე π-რიცხვის მიახლოებისას, სადაც რიცხვები ერთმანეთისგან განსხვავდება ათობითი თანრიგის მხოლოდ ერთი ციფრით. ამ აპროქსიმაციის ზედა ზღვარი, ცხადია, არის π, მაგრამ $\pi R \setminus Q$, მაშასადამე, $(Q, \leq)$ არ არის სრული მესერი. $(R, \leq)$ მესერი სრულია და $Q \subseteq R$.

შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ შესაძლებელია ყოველი მესერის გასრულება სრულ მესერამდე, თუმცა ამ საკითხს ჩვენ არ შევეხებით.

1.2. ბულის ალგებრები. მოვიყვანოთ ფორმალური განმარტება ზოგადი ბულის ალგებრების (ასე ეწოდება XIX საუკუნის მათემატიკოს ჯ. ბულის პატივსაცემად). სიმრავლეთა ალგებრა ბულის ალგებრის კერძო შემთხვევაა და თუმცა განსხვავებული ბულის ალგებრები სტრუქტურულად ,სგავსია, უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი შეიძლება არ იყოს ერთმანეთში ჩადგმული.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა . B სიმრავლეს $\vee$, $\wedge$ და $-$ ($\vee$ – "ან" ოპერაცია, $\wedge$ – "და" ოპერაცია, $-$ გასრულების ოპერაციაა, ხშირად $\vee$-ს ეწოდება დიზუნქციას, ხოლო $\wedge$-ს კონიუნქციას). ოპერაციებით ეწოდება ბულის ალგებრა. ბინარული ოპერატორები: $\wedge$, $\vee$ და უნარული ოპერატორი B-ს ორ განსხვავებულ ელემენტთან 0 და 1 აკმაყოფილებენ შემდეგ აქსიომებს: ყოველი a, b, და C-თვის B-დან

1) $a \vee b = b \vee a$;

2) $a \vee (b \vee c) = (a \vee b) \vee c$;

3) $a \vee 0 = a$;

4) $a \vee \overline{a} = 1$;

5) $a \wedge b = b \wedge a$;

6) $a \wedge (b \wedge c) = (a \wedge b) \wedge c$;

7) $a \wedge 1 = a$;

8) $a \wedge \overline{a} = 0$;

9) $a \wedge (b \vee c) = (a \wedge b) \vee (a \wedge c)$;

10) $a \vee (b \wedge c) = (a \vee b) \wedge (a \vee c)$.

ამრიგად, "და" და "ან" კომუტაციური, ასოციაციური და დისტრიბუციულია. თვითეულ მათგანს აქვს ერთეულოვანი ელემენტი და როდესაც გვაქვს ელემენტის კომბინაცია თვის დამატებასთან "და/ან"-ის საშუალებით, შედეგად ვიღებთ "ან/და"-ს მიმართ ერთეულოვან ელემენტს; ზემომოყვანილი ოპერატორები დაკავშირებულია კომპიუტერულ ლოგიკასთან, რომლის საშუალებითაც ხდება სქემების აგება. სხვა ბულის ალგებრებში შესაძლებელია უფრო მოსახერხებელი იყოს $\vee$ ჩავთვალოთ როგორც გაერთიანება, ხოლო $\wedge$ – როგორც თანაკვეთა. $\overline{a}$ ოპერაციას ჩაწერენ როგორც a' ან $\rceil a$.

ბულის ალგებრა შეგვიძლია განვმარტოთ როგორც დისტრიბუციული მესერის გასრულება. ამიტომ ბულის $(B(x), \cap, \cup')$ ალგებრის ანალოგიურად არაცარიელი X სიმრავლისთვის შეგვიძლია მივიღოთ მთელი რიგი თვისებები.

ინვოლუციის კანონი (ორმაგი უარყოფის კანონი). x-ის დამატების დამატება არის x, $x \in B$.

შთანთქმის კანონი. $\forall\, a,\, b \in B$-თვის სამართლიანია

$$a \wedge (a \vee b) = a, \quad a \vee (a \wedge b) = a.$$

იდემპოტენტურობის კანონი. ყოველი ელემენტი B-დან იდემპოტენტურია $\wedge$ და $\vee$-ის მიმართ.

მორგანის კანონი. $\forall\, a,\, b \in B$-თვის სამართლიანია

$$\overline{a \wedge b} = \overline{a} \vee \overline{b}, \quad \overline{a \vee b} = \overline{a} \wedge \overline{b}.$$

ინვოლუციურობისა და მორგანის კანონებიდან გამომდინარეობს, რომ თუ ავიღებთ B ბულის ალგებრას $(B, \vee, \wedge, -)$ და გარდავქმნით ახალ სისტემად ან x-ის ასახვით $\overline{x}$, ან $\wedge$ და $\vee$ ოპერაციების დახმარებით, მაშინ მიღებული სისტემა კვლავ ბულის ალგებრაა. ეს ფაქტი ცნობილია ორადულობის პრინციპის სახელით. მართლაც, მორგანის კანონები შეიძლება მივიღოთ სხვაგვარადაც, ყოველი ელემენტის ასახვით თავის დამატებაში.

ახლა ჩვენ მოვიყვანთ თეორემას, რომელიც გვიჩვენებს, როგორი სტანდარტული ფორმით ჩაიწერება ბულის გამოსახულებები. ამის უშუალო შედეგია, რომ ორი ოპერატორი საკმარისია ყველა ბინარული ფუნქციის აღსაწერად. შემოვიტანოთ აუცილებელი ტერმინოლოგია.

ამბობენ, რომ ბულის A და B ფორმულები ეკვივალენტურია ($A \equiv B$ ან $A \longleftrightarrow B$), თუ ისინი გამოსახავენ ერთი და იგივე ფუნქციას. უმარტივეს შემთხვევაში ეს არის ეკვივალენტობის მიმართება.

ც ხ რ ი ლ ი 1.1.

A	B	$A \longleftrightarrow B$
0	0	1
0	1	1
1	0	0
1	1	1

ანალოგიურად, ამბობენ, რომ A იწვევს B-ს იმპლიკაციას ($A \to B$), თუ სრულდება 1.3 ცხრილის გამოსახლებები (ჭეშმარიტობის ცხრილი).

ისრები ხშირად სხვადასხვა აზრს ატარებენ. აქ $A \to B$ არის ზუსტად იგივე, რაც $(\rceil A) \vee B$, ხოლო $A \equiv B$ იგივეა, რაც $(A \to B) \wedge (B \to A)$. ლოგიკურად $A \to B$ აღნიშნავს “თუ A, მაშინ B” (ე. ი. თუ A ჭ-ია, მაშინ B-ც ჭ-ია). ხშირად $\longrightarrow$ და $\longleftrightarrow$ სიმბოლოებს უწოდებენ პირობით და უპირობო ოპერატორებს, შესაბამისად.

ჩვეულებრივ უარყოფის აღმნიშვნელ შემდეგ სიმბოლოებს იყენებენ.

$$A \not\equiv B = \rceil(A \equiv B), \quad A \uparrow B = \rceil(A \wedge B),$$
$$A \not\longrightarrow B = \rceil(A \longrightarrow B), \quad A \downarrow B = \rceil(A \vee B).$$

